საერთო გაზეთი

№43 (406) • 16 ნოემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ფრაგმენტები წიგნიდან

დონალდ ტრამპი:

გაძლიერების დროა

„როცა წერას შევუდექი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალი 15 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. მას შემდეგ ვალი 18 ტრილიონამდე გაიზარდა და საცაა 20 ტრილიონს გადააჭარბებს. კარგად ჩაუკვირდით, რა რიცხვია!“

„მე მაკრიტიკებენ იმის გამო, რომ ჩინელებს მტრებს ვეძახი. სხვანაირად რა უნდა ვუწოდო ხალხს, რომელიც მანიაკური შეუპოვრობით ესწრაფვის ჩვენი ქვეყნის დაქცევას და ჩვენს სამუშაო ადგილებს იპარავს? ხალხს, რომელიც ჯაშუშობით ცდილობს ჩვენი იმ ტექნოლოგიების მოპარვას, რომლებიც ძირს უთხრის ჩვენს ვალუტას და ანგრევს ჩვენი ცხოვრების წესს?“

„ამერიკული ოცნება მკვდარია, მაგრამ მე მას მკვდრეთით აღვადგენ“

ალექსანდრ პოტიომკინი – ეროვნებით გერმანელი, საქმიანობით – მწერალი და ბიზნესმენი, მოწოდებით – მეგრელი



ქვეჯელავას საბაყაყეთი და კომბალი - ყველაზე უხერხული მახათი

ოდესელების თქმით, მიხეილ სააკაშვილის წასვლით, ოდესაში „კანონიერი ქურდების“ რაოდენობა ერთით შემცირდა

დიდი თურქობა აჭარაში

SOS! საქართველოში ტრანსნაციონალური კრიმინალური დაჯგუფებები მომრავლდნენ!!!

დონალდ ტრამპი:

გაძლიერების დრო

70 წლის დონალდ ტრამპი ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე და ამერიკის ისტორიაში რეკორდსმენი პრეზიდენტია – ყველაზე უხუცესი პირველად არჩეულ პრეზიდენტებს შორის (რონალდ რეიგანი 69 წლისა იყო, როცა თეთრი სახლის ბინადარი გახდა).

ტრამპის ლიტერატურული ტრამპლინი გამოდგა 1990 წელს გამოცემული წიგნი „თავის გადარჩენა მწვერვალზე“, რომელსაც იმავე ათწლეულში კიდევ ორი წიგნი მოჰყვა: „გადარჩენის ხელოვნება“ და დაბრუნების ხელოვნება“ (1989 წლიდან მოყოლებული, 8 წლის განმავლობაში, ტრამპს ფინანსური კრიზისის ხანა დაუდგა. წიგნების სათაურები და თემატიკა სწორედ ამით არის ნაკარნახები).

2000 წლის შემდეგ დონალდ ტრამპის ავტორობით გამოცემულია ათამდე წიგნი და კიდევ რამდენიმე – თანაავტორებთან ერთად. მათგან აღსანიშნავია: „ამერიკა, რომელსაც ვიმსახურებთ“, „როგორ გავმდიდრდეთ“, „იაზროვნე მასშტაბურად და ნუ შეფერხდები!“ „წარმატების ფორმულა“, „ტრამპი არასოდეს ნებდება. როგორ ვაქციე ჩემი ყველაზე დიდი პრობლემები წარმატებებად“, „დასახიჩრებული ამერიკა: როგორ გავხადოთ ამერიკა ისევ დიდი“.

ბოლო წლებშია გამოცემული დონალდ ტრამპის წიგნი „გაძლიერების დროა: ვაქციოთ ამერიკა კვლავ დიდ სახელმწიფოდ!“, რომლის პირველი თავის თარგმანს ვთავაზობთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს.



მომავალ სამშაბათს თქვენ გაეშურებით საარჩევნო უბნებისკენ, სადაც მიიღებთ კიდეც გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, სწორედ ამ დროს უნდა ჰკითხოთ საკუთარ თავს: ახლა უფრო უკეთ ცხოვრობთ, ვიდრე ოთხი წლის წინ?

რონალდ რეიგანი

ეს წიგნი იმიტომ დავწერე, რომ ქვეყანა, რომელიც მიყვარს, სრულ ეკონომიკურ კატასტროფას განიცდის.

როცა წერას შევუდექი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალი 15 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. მას შემდეგ ვალი 18 ტრილიონამდე გაიზარდა და საცაა 20 ტრილიონს გადააჭარბებს. კარგად ჩაუკვირდით, რა რიცხვია! ვაშინგტონის ეგრეთ წოდებულმა ლიდერებმა სასწაული რომ მოახდინონ და გადამხდელთა თანხებიდან ყოველდღიურად მილიარდი დოლარის ეკონომია გასწიონ, ამ ვალის გადახდას 38 წელი დასჭირდება! თანაც მე მხოლოდ ვალის ძირითად თანხაზე ვლაპარაკობ. მოყვანილ ანგარიშში პროცენტები არ შედის.

მაგრამ ჩვენ არ გვაქვს 38 წელი სახელმწიფო ვალის გადასახდელად. ეს პრობლემა, ვფიქრობ, სულ ოთხ, მაქსიმუმ რვა წელში უნდა მოგვარდეს.

ბიზნესში ყოველდღე ვხედავ, როგორ ძარცვავენ და შეურაცხყოფენ ამერიკას. ჩვენ ქვეყნის სასაცილოდ ვიქეცით, ერთგვარ სულელ მსოფლიო ბიჭუნად, რომელსაც ყველა იფიცებს, მაგრამ კეთილად არავინ მოიხსენიებს. ამერიკას პატივს არ სცემენ. ამას თქვენც ხედავთ და გრძნობთ ყველგან, ისევე როგორც მე.

ერთ მაგალითს მოვიყვან. ჩინეთი, მანიპულირებს რა თავისი ვალუტით და მის დევალვაციას ეწევა, ასეულობით დოლარით გვატყუებს. რასაც არ უნდა ამბობდნენ ვაშინგტონში სულით მშვენიერი მოლაყბეები, ჩინეთის ხელმძღვანელები არ არიან ჩვენი მეგობრები. მე მაკრიტიკებენ იმის გამო, რომ მათ მტრებს ვეძახი. სხვანაირად რა უნდა ვუწოდო ხალხს, რომელიც მანიაკური შეუპოვრობით ესწრაფვის ჩვენი ქვეყნის დაქცევას და ჩვენს სამუშაო ადგილებს იპარავს? ხალხს, რომელიც ჯაშუშობით ცდილობს ჩვენი იმ ტექნოლოგიების მოპარვას, რომლებიც ძირს უთხრის ჩვენს ვალუტას და ანგრევს ჩვენი ცხოვრების წესს? მე მგონი, ასეთ ხალხს მტრებს უწოდებენ. თუ გვინდა, ამერიკა მთელ მსოფლიოში ისევ უპირველეს ზესახელმწიფოდ იქცეს, გვჭირდება პრეზიდენტი, რომელმაც იცის, თუ როგორი ძალისმიერი პოლიტიკა გაატაროს ჩინეთის მიმართ, როგორ აჯობოს მოლაპარაკებებზე ჩინელებს და არ მისცეს უფლება, ყოველ ნაბიჯზე წნეხში გვაქცევდნენ.

აი, კიდევ ერთი პრობლემა – სანავთობო კრიზისი. ერთი ბარელის ფასი 85 დოლარი უაზრობად გვეჩვენებოდა. ახლა კი OPEC-ს (ნავთობის ექსპორტიორთა სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია) პირი დაუღია და ფასებს სულ უფრო და უფრო მაღლა სწევს, და ბანკისკენ ჩვენი ფულების ასაღებად მიმავალი ჩუმ-ჩუმად დაგვცინის. შედეგად, თქვენ და თქვენი ოჯახები გალონ საწვავში იხდით 3 დოლარს, 4 დოლარს, 5 დოლარს, საწვავი კი კიდევ და კიდევ ძვირდება. უკაცრავად და, რა არის OPEC-ი? მაგიდასთან მჯდარი 12 ახალგაზრდა... ამერიკა რომ არ იცავდეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს და არ უფრთხილდებოდეს, მათი ხსენებაც არ იქნებოდა. სად ჩანს მისი პასუხისმგებლობა? რა აზრი აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას, თუკი ეს ხელისუფლება სუსტია და არსაით მივყავართ? რით უნდა გაამართლო პრეზიდენტი, რომლის პასუხი სანავთობო კრიზისზე ასეთია: არ გავამწვავოთ ურთიერთობა OPEC-თან, უფლება არ მიეცეს ამერიკულ სანავთობო კომპანიებს, დაკავდნენ მათი უშუალო საქმით – მოიპოვონ ნავთობი, და გავხსნათ ჩვენი სტარტეგიული მარაგები? ეს არ არის ლიდერობა. ეს ლიდერობაზე უარის თქმაა.

მოგვწონს თუ არა, ნავთობი ღერძია, რომლის გარშემოც ბრუნავს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკა. როცა ნავთობის ფასი იზრდება, ყველაფერი ძვირდება. საკმარისია დავფიქრდეთ: ყიდულობთ ფუნთუშას. რა გზით ხვდება ფუნთუშა მაღაზიაში? რა საწვავზე მუშაობს ის სატვირთო მანქანა, რომელსაც პური დააქვს? რა მოწყობილობა გამოიყენა ფერმერმა მოსავლის ასაღებადს? მოწყობილობებსა და მანქანებს სჭირდება საწვავი – ნავთობი. და როცა მწარმოებლისთვის ფასები იზრდება, ეს ზრდა გადმოდის თქვენზე მოხმარების საგნების უფრო მაღალი ფასების სახით. მერგო პატივი, განათლება მსოფლიოს საუკეთესო ბიზნესსკოლაში მიმეღო. უორტონის ბიზნესის სკოლაში. თუმცა იმის გასაგებად, რა ხდება ხოლმე ასეთ დროს, ბიზნესის დარგში პრესტიჟული დიპლომები საჭირო არ არის. საკმარისია მარტივი მათემატიკური ცოდნა.

და მაინც, ჩინეთი ყოველდღე გვირტყამს, როგორც მოკრივის „მსხალს“, OPEC-ი ბოლომდე გვიცარიელებს საფულეებს, ახალი სამუშაო ადგილები კი არსად ჩანს. რას აკეთებს ასეთ დროს პრეზიდენტი ობამა? სტუდენტური სპორტის ნაციონალური ასოციაციის ფინალური საკალათბურთო მატჩების ბადეს ავსებს. მდიდრულ მიღებებს მართავს თეთრ სახლში. ყური დამიგდეთ: მეც, ისევე როგორც ყველა სხვას, კალათბურთიც მომწონს და მდიდრული მიღებებიც. მაგრამ თუკი თქვენ ამერიკის პრეზიდენტი ხართ და თქვენი ქვეყანა თვალწინ იწვის, თქვენი პირველი ინსტინქტი-სურვილი უნდა იყოს.... ყოველ შემთხვევაში, არც მიღებები და არც საღამოები. გასაკვირი არ არის, რომ ამერიკა სრული ბანკროტია.

იცით თუ არა, რომ ყოველი მეშვიდე ამერიკელის სასურსათო ბარათების მეშვეობით არსებობს. დაფიქრდით ამაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე აყვავებულ ქვეყანაში, ხალხი შიმშილობს. 2011 წლის მარტში, ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში, სურსათზე ყველაზე მკვეთრად გაზრდილი ფასების მოწმენი გავხდით. თავი მოუყარეთ

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ყველაფერს – ენერგომატარებლებზე ფასების ელვისებურ ზრდას, უმუშევრობას, რაც შრომისუნარიანი მოსახლეობის 20 პროცენტს აჭარბებს, ობამას ფუჭი დანახარჯების ორგიებს. დაუმატეთ ფედერალური მთავრობის მიერ ჯანდაცვის სისტემის ანექსია – და შედეგი გულს მოგიკლავთ: ჩვენ მტკიცედ ვადგავართ ეკონომიკური კატასტროფის გზას.

თუ ამავე გზაზე გავაგრძელებთ სიარულს, თუ კიდევ ერთხელ ავირჩევთ პრეზიდენტად ბარაკ ობამას, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის დატოვებული ამერიკა აღარ იქნება ისეთი, როგორშიც ჩვენდა საბედნიეროდ გავიზარდეთ. ამერიკული ოცნება დაგირავებული აღმოჩნდება. ბორცვზე მდებარე გაბრწყინებული ქალაქი ნელ-ნელა ნგრევას დაიწყებს და ქოხმახებით დაფარულ მიყრუებულ ადგილად იქცევა. როგორც პრეზიდენტი რეიგანი იტყოდა, დილა აღარ იქნება ამერიკული. ჩვენ დავიტირებთ ამერიკას, იმ ამერიკას, რომელიც ბარაკ ობამას „ვახტზე“ დგომისას დავკარგეთ. დოლარი, როგორც საერთაშორისო ვალუტა, ჩამოიქცევა. ჩვენი ეკონომიკა ისევ ჩალპეპა (სავსებით რეალურ საფრთხედ მიმაჩნია ორმაგი ღრმა რეცესია, რომელიც შეიძლება დეპრესიად შემოგვიბრუნდეს). და ამერიკის, როგორც მსოფლიოში უპირველესი ეკონომიკური ზესახელმწიფოს ადგილს ჩინეთი დაიკავებს.

არადა, ეს გარდაუვლობით როდია გამოწვეული. თუ გავძლიერდებით და მკაცრ ზომებს მივიღებთ, ხელახლა ვაქცევთ ამერიკას ძლიერ – და პატივსაცემ – ქვეყნად. გონივრულად არჩეულ პრეზიდენტს მართლაც შეუძლია გაამდიდროს ამერიკა, თუკი მსხვილ გარიგებებში შუამავლობას იტვირთებს. ჩვენს პრეზიდენტებს ყოველთვის არ აღვიქვამთ დაქირავებულ მოხელეებად, რომელთაAმოვალეობაა საქმიანი მოლაპარაკებები, არადა, სწორედ ასეთები არიან ისინი. პრეზიდენტები – ის ადამიანები არიან, რომლებიც ჩვენთვის მთავარ გარიგებებს დებენ. ამ გარიგებების შედეგები ეფექტიანია იმდენად, რამდენადაც ეფექტიანია ის ხალხი, რომლებიც მათ ასრულებს. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი უმაღლესი მთავარსარდალია. ის ნიშნავს მოსამართლეებს და შეუძლია ხელი მოაწეროს ან ვეტო დაადოს კანონპროექტებს. და რით არის დაკავებული დანარჩენ დროს? მე დაგისახელებთ პრეზიდენტის ერთ მნიშვნელოვან საქმეს: პრეზიდენტი ამერიკის მთავარი მომლაპარაკებელი პირი და მისი მთავარი სპეციალისტია გარიგებების დადებისას. სავარაუდოდ, ის უნდა იყოს ჩვენი წარმომადგენელი სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებებზე, რომლებიც გვიცავს და ჩვენთვის სარგებელი მოაქვს. პრეზიდენტის მოვალეობაა, შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც აყვავებულია თავისუფალი ბაზრები, სადაც შეიძლება შეიქმნას კერძო სექტორი და აყვავდეს ჩვენი ეკონომიკა. თუ პრეზიდენტი ძლიერი მომლაპარაკებელია და ხელსაყრელ გარიგებებს დებს, ამერიკა მოგებულია. და თუ პრეზიდენტი იმას არ აკეთებს, რასაც მისგან მოელიან, და ცუდ გარიგებებს თანხმდება, ამის საფასურს თქვენ და თქვენი შვილები გადაიხდით.

ახლა კი ნახეთ, რა გარიგებები დაიდო ობამას ხელში: მოუხერხებელი, დამამძიმებელი და ანემიური. მე თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობის მომხრე ვარ. ბოლოს და ბოლოს, ბიზნესი მაქვს მთელ მსოფლიოში. მაგრამ, აბა ნახეთ, რა გარიგება დადო ობამამ სამხრეთ კორეასთან. ის იმდენად უვარგისია, თითქმის შეუძლებელია დაიჯერო, რომ ვიღაცას შეეძლო ასეთ პირობებს დათანხმებოდა. თეორიულად ივარაუდებოდა, რომ ეს შეთანხმება სტიმულს მისცემდა ამერიკულ ექსპორტს სამხრეთ კორეაში. სინამდვილეში კი, ობამას ხელმოწერილი შეთანხმება, პრაქტიკულად, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბალანსის აღსადგენადაც კი არ გამოდგება. ამ შეთანხმებას შეუძლია ამერიკული სამრეწველო ძლიერების წალეკვა, ამერიკაში სამუშაო ადგილების ლიკვიდაცია და იმ საბაჟო გადასახადების გაუქმება, რომლებსაც სამხრეთ კორეა ამერიკის შეერთებულ შტატებს თავისი საქონლის ამერიკულ ბაზარზე გასაღებისთვის უხდის. რაში სჭირდებოდა ობამას ამგვარ პირობებზე დათანხმება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბანქოს ყველა ქაღალდი ხელთ გვაქვს? სამხრეთ კორეას მოსწონს, რომ ამერიკელი სამხედროები იცავენ მას ჩრდილოეთი კორეისგან. თუმცა ამერიკისგან ამ ჭუჭყიანი საქმის შესრულება მათ არ უნდა სჭირდებოდეთ: სამხრეთ კორეას შეიარღებულ ძალებში 600-იდან 700 ათასამდე კაცი ჰყავს. და მიუხედავად ამისა, სამხრეთ კორეაში 28 500 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა. რატომ?

რომც ამართლებდეთ სამხრეთ კორეაში ამერიკელი მოსამსახურეების ყოფნას, საკითხავია, რატომ არ გვიხდის ეს ქვეყანა სრულად იმის საფასურს, რომ ჩვენ მათ ვიცავთ? (დღესდღეობით, თავის ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედროების ყოფნასთან დაკავშირებული დანახარჯების მხოლოდ ნაწილს იხდის). მეტიც, რატომ აწერს პრეზიდენტი სავაჭრო ხელშეკრულებას ისეთი პირობებით, როგორიც კორეელებს სურთ, და არა ისეთს, რომელიც ამერიკას მაქსიმალურ უპირატესობას მისცემდა? შეიძლება, პრეზიდენტი ობამა კარგი საზოგადო ორგანიზატორია, მაგრამ არაფრით არ ვარგა საერთაშორისო გარიგებების დასადებად. ეს არც გვაკვირვებს: ობამას თავის სიცოცხლეში არ შეუქმნია საწარმოები და არ ყოფილა მათი ხელმძღვანელი. მისი, როგორც მომლაპარაკებლის სპეციალისტის კარიერა გულისხმობს ერთადერთს: მოძებნოს გზები, რათა გადასახადების გადამხდელებს რაც შეიძლება მეტი გასამრჯელო ჩამოაყრევინოს იმ განსაკუთრებული ჯგუფისთვის, რომლის ინტერესებსაც ობამა იცავს. ეს არ არის ის სპეციალისტი, რომელიც ჩვენ ყველას გვჭირდება.

ახლა კი ჩინეთზე. თითო ამერიკელზე ოთხი ჩინელი მოდის. ჩინეთის მოსახლეობა უზარმაზარია, ამ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება კი – დიდზე დიდი და განაგრძობს ზრდას. ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში მეორე ადგილზეა ეკონომიკური სიმძლავრეების მხრივ. ჩვენ ვაშენებთ ჩინეთის კეთილდღეობას, როცა ყველანი მათ საქონელს ვყიდულობთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან, ამერიკაში უკეთესი ხარისხის პროდუქციას ვაწარმოებთ. მე ეს ვიცი, მე ბევრნაირ საქონელს ვიძენ. მინა, თაბაშირმუყაო – თვითონაც იცით, რომ ასეთ მასალებს დიდი ოდენობით ვყიდულობ. ყოველ ჯერზე, როცა ეს შესაძლებელია, ყიდვისას ამერიკულ საქონელს ვანიჭებ უპირატესობას. სამწუხაროდ, უამრავი შემთხვევაა, როცა ამერიკულ საწარმოებს არ შეუძლიათ ამერიკული საქონლის ყიდვა, იმიტომ რომ ამერიკელი მწარმოებლები ვერ უძლებენ ჩინური ნაწარმის ფასების კონკურენციას, იუანის გაცვლით კურსთან დაკავშირებული ჩინელთა გაიძვერობის გამო. ჩინეთი თავისი ვალუტით რომ არ მანიპულირებდეს, ჩინელ მწარმოებლებს იოლად ვაჯობებდით კონკურენტულ ბრძოლაში. მაგრამ ჩინელები გაცვლითი კურსით თაღლითობენ და სამრეწველო ჯაშუშობას ეწევიან – ის კაცი კი, ვინც ჩვენი მთავარსარდალი გვგონია, თაღლითობის უფლებას აძლევს მათ. ჩინეთთან ურთიერთობა – ეს არის ჩვენი საჯარო შეურაცხყოფა. ეს ურთიერთობა არასამართლიანია ამერიკელი მუშებისა და ამერიკელი მწარმოებლების მიმართ. თუ ამავე გზაზე გავაგრძელებთ სვლას, ამერიკას აღარ ექნება შანსი, კვლავ გამდიდრდეს.

გავიხსენოთ – 2011 წლის იანვარში ბარაკ ობამამ მონურად ქედი მოუხარა ჩინეთის პრეზიდენტ ხუ ცინტაოს და გულითადად მიიღო თეთრ სახლში. კომუნისტ ლიდერს ოფიციალური სამთავრობო სადილის გამართვითაც კი დასდო პატივი. ჩინეთის ეკონომიკა იზრდება ისეთი ტემპებით, რომელიც პროცენტულად ორნიშნა ციფრებით იზომება, და ეს ყველაფერი ხდება ჩვენს ხარჯზე. თანაც ჩინეთი თავისი ვალუტის ნებისმიერი რყევის დროს თაღლითობს. იგი ყველაზე მსხვილი კომერციული ჯაშუშია, რომელიც, სამწუხაროდ, ისევ და ისევ აგრძელებს ადამიანის უფლებების დარღვევის პოლიტიკას. და ყველაფერ ამას ობამა პასუხობს იმით, რომ ჩინელ სტუმრებს ფიანდაზად უფენს წითელ ხალიჩას? ეს არაკომპეტენტურობაა, თითქმის წილნაყარი ღალატთან.

ობამამ, ფაქტობრივად, საერთაშორისო არენაზე ჩინეთის ლეგიტიმაცია მოახდინა. და რა მიიღო სანაცვლოდ? საექსპორტო გარიგებები, რომელთა საერთო მოცულობა უბადრუკი 45 მილიარდია. ობამას გუნდმა იგი თვალის დახამხამებაში ჩინებულ მომლაპარაკებლად გამოაცხადა. 2009 წელს ჩვენი ქვეყნების საგარეოსავაჭრო დეფიციტმა 230 მილიარდი დოლარი შეადგინა. და სავაჭრო კონტრაქტები საცოდავ 45 მილიარდ დოლარზე – ეს შეურაცხმყოფელი რამ არის. როცა ხუ ციანტო უყურებს, თუ ვინ ზის მის მოპირდაპირედ მოლაპარაკებების მაგიდასთან, ხედავს უნიათობასა და დილეტანტობას. და ეს აძლევს მას უფლებას, იფიქროს, რომ შეუძლია ჩვენ ყიდვა რაღაც ნამცეცების ფასად. ჩემი აზრით, ამერიკის ღირსებით ვაჭრობა არ შეიძლება. არ გვჭირდება ლოლიაობა კომუნისტებთან და მათგან რამდენიმე პატარა კონტრაქტის ხვეწნა-მუდარით მიღება. ამ თავის მოჭრის სანაცვლოდ ჩინელებთან მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა იჯდეს ნამდვილი მთავარსარდალი, რომელიც მოითხოვს ნამდვილ – და ბევრად უკეთეს – გარიგებებს. ან ჩინეთი წესების შესაბამისად ითამაშებს, ან ამერიკის შეერთებული შტატები ჩინურ საქონელს საბაჟო გადასახადებით დაბეგრავს. და მორჩა. ამის ნაცვლად 2012 წელს ამერიკასა და ჩინეთს შორის სავაჭრო დეფიციტი 315 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ჩინელები უბრალოდ დაგვცინიან.

მე მიყვარს ამერიკა. და როცა რაღაც გიყვარს, შენი სიყვარულის ობიექტს იცავ თავგამეტებით, გააფთრებითაც კი. ამერიკა მსოფლიოს უდიდესი ქვეყანაა. მე არ უნდა მიხდებოდეს ბოდიშის მოხდა ჩემი ქვეყნის გამო, იმ სიამაყის გამო, რასაც მის მიმართ ვგრძნობ, ან ჩემი სურვილისთვის, ვხედავდე, კვლავაც როგორ ძლიერდება და მდიდრდება ამერიკა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი თავისუფლება სიმდიდრეს ეფუძნება. მაგრამ ჩვენ მეტისმეტად დიდხანს გვიბრიყვებდნენ, მეტისმეტად ხანგრძლივად გვიყენებდნენ სხვა ქვეყნები, და მეტისმეტად ხანგრძლივად ცუდ სამსახურს გვიწევდნენ ვაშინგტონელი პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთ წარმატებას ზომავენ იმით, რამდენად სწრაფად შეუძლიათ გაბერონ სახელმწიფო ვალი (და თქვენი საგადასახადო ტვირთი) მათთვის საყვარელი სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად.

ამერიკას შეუძლია იმოქმედოს და იცხოვროს უკეთ. ვფიქრობ, ამას ჩვენ ვიმსახურებთ. აი, რატომ გადავწყვიტე ამ წიგნის წერა. გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჩვენ უნდა მივიღოთ, მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და მეტისმეტად დიდი შედეგებიც უნდა მოჰყვეს, და არ გვაქვს უფლება, უბრალოდ თავი ავარიდოთ და მხოლოდ თვალყური ვადევნოთ. მე ვიცი, როგორ უნდა მოგვარდეს ჩვენ წინაშე არსებული პრობლემები. მე ვიცი, ამერიკა როგორ გახდეს კვლავ მდიდარი. მე საწარმოები დავაფუძნე მთელ მსოფლიოში. ურთიერთობა მქონია სხვა სახელმწიფოების ლიდერებთან. ამერიკაში მე შევქმენი ათეულათასობით სამუშაო ადგილი. მთელი ცხოვრებაა, გარიგებებს ვდებ და გამოვიმუშავებ ნამდვილ, ძალიან დიდ ფულს. მე ვცხოვრობ იმით, რომ ხორცს ვასხამ დიდ პროექტებს, და დღესდღეობით ჩემი ქონება ათ მილიარდ დოლარს აჭარბებს.

ამერიკის ძველი სიმდიდრის დაბრუნება ჩვენგან შეუპოვრობასა და ძალას ითხოვს. შემდეგ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ ამერიკის საქმე – ეს არის ბიზნესი. ჩვენ გვჭირდება პრეზიდენტი, რომელსაც ესმის ბიზნესის არსი, პრეზიდენტი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ამერიკის ძლიერება, უსაფრთხოება და თავისუფლება. ასეთი პრეზიდენტი შეძლებს დადოს გარიგებები, ხელსაყრელი ამერიკისთვის, და არა იმ ქვეყნებისთვის, რომლებთანაც ამერიკა მოლაპარაკებებს აწარმოებს. პრეზიდენტი არ „ქმნის“ სამუშაო ადგილებს; ეს მხოლოდ ბიზნესით არის შესაძლებელი. სამაგიეროდ, პრეზიდენტს შეუძლია შექმნას გარემო, პირობები, რომლებიც მოგვცემს საშუალებას – მეწარმეებს, მცირე თუ დიდ ბიზნესმენებს – ამერიკა მდიდარი გავხადოთ.

ზიანმა, რაც ამერიკას მიაყენეს დემოკრატებმა, სუსტმა რესპუბლიკელებმა და ამ ვაიპრეზიდენტმა, ისეთ უბედურებაში ჩაგვითრია, როგორიც ცხოვრებაში არასოდეს გვინახავს. პრობლემების მოგვარებას ჩვენი გონიერება და ძლიერება სჭირდება. არ შეიძლება დროის დაკარგვა. თუმცა ოპტიმიზმის მიზეზი ჩვენ მაინც გვაქვს. ჩვენ ხომ ამერიკელები ვართ. ჩვენ გაგვაჩნია პოტენციალი, ერთადერთი, გვჭირდება კარგი ხელმღვანელობა.

მოდით, ამერიკა კვლავ დიდ სახელმწიფოდ ვაქციოთ!

მოამზადა

ელზა ნაბახტეველმა

დიდი თურქობა აჭარაში

ნოემბერი ბათუმში თბილია და შავი ზღვა ისე ლივლივებს, ბანაობა მოგინდება...

ორი მამაკაცი ბრასით კიდევაც მიიწევს მინავლებული მზისკენ ზღვის ლურჯი სამანის მიმართულებით...

თუ გინდა, კარგად დაისვენო და მიწიერი მშვენიერება იხილო, შემოდგომის ბათუმს უნდა ეწვიო. თქვენ ნახავთ წყნარ, მოალერსე ქალივით მაცდურ და მიყუჩებულ პალმებიან ქალაქს...

ბათუმი თურქეთის ნაწილია, – აცხადებს ერდოღანი, ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ ჩვენ ერთი ხალხი ვართ.

ბათუმის ტაქსის ფანჯრებიდან მოჩანს ქუჩებში მობორიალე ჩადრიანი ქალები და მუქკანიანი, ულვაშებდაყენებული, გალაკტიონის თქმის არ იყოს, „თურქის თემის“ კაცები.

„არაა საჭირო თურქული აგიტაცია ბათუმში, – ბრაზიანი ტონით ლაპარაკობს ტაქსის მძღოლი. ეს არის ვიღაცის მიერ დაგეგმილი პოლიტიკის ნაწილი.

როგორ ამბობენ, თურქები ჩვენი მეგობრები იყვნენო. სირცხვილია, ამას რომ ქართველი კაცი იტყვის. როის იყო თურქი ქართველის ძმა, ამიხსენით ვინმემ.

70 წელიწადი თათრებს გვეძახდნენ აჭარლებს...

ირაკლი ჯაშმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ერთხელ გვითხრა: კაი ხალხი ხართ აჭარლები, მაგრამ იქით იყურებით, თურქეთისკენო. ახლა ვინ იყურება „იქეთ“, ჩვენ თუ ესენი?

ბათუმის ხელმძღვანელობა ვერაფერს ვერ გადაწყვეტს, თუ დედაქალაქიდან არ იქნება მითითება.

ავტონომიამ თავისი როლი კარგა ხანია, შეასრულა. აღარ არის საჭირო, აჭარას ავტონომია ჰქონდეს. არაფერი ფუნქცია ამას არა აქვს, ქაღალდზეა მხოლოდ.

– **რომ გააუქმონ, ხალხი წინააღმდეგი წავა. ამ საკითხზე, თქვენნაირად, ალბათ, ბევრი არ ფიქრობს.**

– კი, ბევრი იქნება წინააღმდეგი, მაგრამ მე ერთი რამე მიკვირს – საქართველოა გადასარჩენი და რა დროს ავტონომიაზე ლაპარაკია?!

ადრე კი, ბატონო, საჭირო იყო და შეასრულა თავისი ისტორიული როლი...

– **ერდოღანს მართლა ქართული ფესვები აქვს?**

– არავითარი ქართული ფესვები, არ მოგატყუოთ არავინ.

– **რატომ აქვს დიდი გული თურქეთის მმართველს – ბათუმი ჩვენიაო.**

– ვერც მეესწრება მაგას.

– **თქვენ აჭარელი ხართ?**

– მე ვარ ქართველი, – კვლავ საშინლად ბრაზობს ჩემს შეკითხვაზე ტაქსის მძღოლი და რაღაცას ბურტყუნებს ისე, რომ არ მესმის, რას ლაპარაკობს...

* * *

ბათუმში ბევრია თურქული კაფე და რესტორანი, ხოლო პროსტიტუცია აქ პირდაპირ ჰყვავის. საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ აჭარაში გაშლილია ე. წ. სექსუალური

ტერორიზმი. ჩამოჰყავთ ქალბატონები მეზობელი ქვეყნებიდან, ყოველგვარი სამედიცინო შემოწმების გარეშე ამუშავებენ ბათუმში და ქალაქის სიახლოვეს. ვრცელდება მრავალნაირი ვენერიული და კანის დაავადებები. ათასობით უზბეკი, ყაზახი, რუსი, უკრაინელი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი დაბინავებულია ძვირადღირებულ ბინებსა და სასტუმროებში. ასევე ათასობით, ასიათასობით თანხა გაედინება აჭარიდან სხვადასხვა მიმართულებით ამ ქალბატონებისგან თავიანთ ქვეყნებში.

სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია კანონი უცხოელთა მიგრაციის შესახებ. ეს კანონი, ცხადია, უნდა არეგულირებდეს საზღვრის გადმოკვეთის, აქ მოღვაწეობის და ქვეყნიდან გასვლის პროცედურებს.

მარტივი ლოგიკაა, თუ უცხოელმა საქართველოში ათმაგი მოგება არ ნახა, საქართველოში არ დარჩება.

ქართველი, მგონი, მსოფლიოში ყველაზე იაფი მუშახელია, რომელსაც მონურად და უუფლებოდ ამუშავებს უცხოელი დამქირავებელი თვით საკუთარ ქვეყანაში. როგორც თქვეს, ერთი წუთითაც რომ დააგვიანოს უცხოურ კომპანიაში მომსახურე მუშამ, ხელფასის თითქმის ნახევარი ეჭრება.

ვარშალომიძის მმართველობის დროს განსაკუთრებით გააქტიურებულან თურქები. გასართობი ობიექტები მოუწყვიათ და რამდენიმე ადგილას კიდევაც გადაუკეტავთ პლაჟის ტერიტორიები.

დიახ, თურქებს განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭებოდათ „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას. რაც, საქმეში ჩახედული ხალხის მტკიცებითაც, რეჟიმის მხარდაჭერისთვის და ხალხის დამონებისთვის ხელსაყრელი გზა და საშუალება იყო. ხოლო ის 40 თუ 50 000 თურქი, რომლებსაც სააკაშვილმა მოქალაქეობა უბოძა, „ნაცმოძრაობის“ პოტენციური ამომრჩევლები გახლდნენ.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, აჭარაში 32 000 თურქი ცხოვრობს თავიანთი ოჯახებით, რომლებიც, უახლოეს ხანში, შესაძლებელია, 64 000 გახდნენ, რითაც ლეგიტიმური უფლება ექნებათ, დააყენონ თავიანთი კანდიდატი, ვთქვათ, ბათუმის ქალაქის მერის პოსტის დასაკავებლად...

ცნობილია, რომ ნაციონალური ხელისუფლების დროს ძალიან ბევრი ობიექტი გასხვისდა თურქ მოქალაქეებზე სიმბოლურ ფასად, 1 ლარად.

ხელშეკრულებების მიხედვით, ყველა გასხვისებულ ობიექტზე კონკრეტული სამუშაოები უნდა შესრულებულიყო და გარკვეული რაოდენობის მუშახელი უნდა დასაქმებულიყო.

ობიექტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დღეს დაკეტილია და ცხადია, იქ არავინაა დასაქმებული.

გთავაზობთ 2005 წლიდან აჭარის რეგიონში თურქულ კომპანიებზე გასხვისებული ობიექტების მცირე ჩამონათვალს:

1. ქობულეთის რ-ნის დაბა ჩაქვში, შპს „ჩაქვის ჩაის კომბინატი“, ამჟამად ფლობს თურქული კომპანია „შამბალა-ჩაქვი“.

2. დაბა ჩაქვი – ჩაქვის ჩაის ფაბრიკა, ამჟამად, გურშით ზია ქოსეს საკუთრებაა.

3. „ხუცუბნის შემფუთავი ქარხანა“, ამჟამად ეკუთვნის **Doruk nut and Food company**“-ს, დირექტორი იამანი ჩათალაი.

4. აგროტექსერვისი ქობულეთი, ამჟამად, ფლობს თურქეთის მოქალაქე ილმაზ ბაირამი.

5. ბობოყვათი 1.972,7m^2 შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული 15.968 m^2 მიწის ნაკვეთი, რომელსაც ამჟამად ჯემალ ბილგინგულ უოღლუს მინდობილობით ჯოშარ ფარუქზი ფლობს.

6. სოფ ხუცუბანში 7.197,9 m^2 შენობა-ნაგებობები, მასზე მიმაგრებული 24 253 m^2 ნაკვეთი, ამჟამად ჯემალ ბილგანგულ უოღლუს მინდობილობით ჯოშარ ფარუქის საკუთრებაა.

7. ხუცუბანი (სოფლის ყოფილი კოლმეურნეობის საწყობის შენობა) 568,8 m^2 და მასზე მიმაგრებული 584,4 m^2

მიწის ნაკვეთი, ფლობს შპს „გუჩლუ თურქალის“ დირექტორი დენიზჰან ქალე.

8. 7.3525მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 24.448 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ქობულეთში – შპს „აჯთიმკორპორაცია“.

9. დაბა ჩაქვში 348,2 მ² შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული 137,9 მ² მიწის ნაკვეთი – ფლობს შპს „ფაზის ფლანთი“.

10. ხულოს სამრეწველო კომბინატი – ბრიტანეთის მოქალაქე იბრაჰიმ ბოზქურთი.

11. დაბა ხულო, 2.242,64 მ² შენობა-ნაგებობა და 2.902 მ² ნაკვეთი და მანქანა-დანადგარები, სამედიცინო აღჭურვილობა, ინვენტარი, სატრანსპორტო და სხვა ძირითადი საშუალებები – შპს „ენიმედი“.

12. ხელვაჩაური, მინისტრთა საბჭოს ყოფილი სამთავრობო აგარაკი ხალიბაურში – თურქული კომპანია **Nurol instant**.

13. ხელვაჩაური, „ხელვაჩაურის ჩაის კომბინატის“ საწესდებო კაპიტალიდან გამოტანილი შენობა-ნაგებობები – თურქული კომპანია – შპს **„BTM Textille“**.

14. ხელვაჩაური, სოფ-გონიო, „გონიოს საავადმყოფოს“ შენობა-ნაგებობა – ჯაუჯსუს სირიალ კომპანი.

15. ხელვაჩაური, სოფ. ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსი, საბოცვრე საამქროები და დამხმარე შენობა-ნაგებობები – თურქული კომპანია შპს „ქართუტექსი“.

16. მახინჯაურის შემფუთავი ქარხანა – შპს **„Georgian Kar-sa“**.

17. სოფ. ახალშენი, უნივერმაღი – თურქული კომპანია შპს „ბანა“.

18. ხელვაჩაური, სოფ. ადლიაში მიწის ნაკვეთი 39.342მ² – ფლობს შპს **„Geoconstraction&Mari Management“**.

19. სოფ. გონიოში 766 მ² შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი – ფლობს შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“.

20. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სამრეწველო ზონაში 22.606 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მიმაგრებული 3.032,7მ² ფართის შენობა-ნაგებობა თურქული კომპანია შპს „გრანგარ ჯორჯიას“ ხელშია.

21. ხელვაჩაურში არმატურის საამქროს შენობა და მასზე მიმაგრებული 9.514მ² არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ქამილ ჩევრუქის მფლობელობაშია.

22. სოფ. ახალშენში 4.677,3მ² შენობა-ნაგებობა და 15.693 მ² მიწის ნაკვეთი – შპს „ალოღლუ-გეორგია“.

ეს არის მცირე ნაწილი იმ ჩამონათვალისა, რაც გასხვისებულია თურქ მოქალაქეებზე აჭარის რეგიონში. როგორც ამბობენ, ხელშეკრულებებით დადებული პირობები, უმეტესწილად, დარღვეულია და საჯარიმო სანქციები არავისზე არაა გაცემული.

რაში და რატომ აინტერესებს უცხოელ ინვესტორს, კერძოდ კი თურქ ბიზნესმენებს და საქმიან ადამიანებს საქართველოში ობიექტების შესყიდვა? სხვა მოსაზრებებთან ერთად არსებობს კონკრეტული რეალობა – თურქეთის მოქალაქე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეძენილი ობიექტის შეძენის შემთხვევაში, თითქოსდა წარმოების გასაშლელად, დიდძალ გრანტებს იღებს ადგილობრივი ხელისუფლებისგან, რითაც შანსი ეძლევა, იმ თანხით არა საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ საკუთარ ქვეყანაში გაშალოს ბიზნესსაქმიანობა. ამბობენ, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, თურქების მიერ შესყიდული საწარმოები არის დაკეტილი და უპატრონობისგან გაოხრებული. შენობების ნაწილს „ინვესტორები“ ადგილობრივებზე აქირავებენ თურმე.

მთელი ბათუმი მალე ნაქირავებ ოფისებში იქნებაო, ამბობენ აქაურები.

* * *

აჭარაში, თითქმის ისე, როგორც ლას-ვეგასში, ჰყვავის სათამაშო ბიზნესი. სადაც გაიხედავ, ყველგან უზარმაზარი შენობები ბრწყინავს, ციმციმებს და მოსახლეობას „სათამაშოდ“ იწვევს.

მოგეხსენებათ, თურქეთში აკრძალულია კაზინოს ტიპის დაწესებულებების გახსნა და ფუნქციონირება.

ამბობენ, რომ ბათუმში კაზინოებს, ძირითადად, თურქი მოქალაქეები ფლობენ, ერთ-ერთი უზარმაზარი სათამაშო სახლის მფლობელი კი ჰოლანდიელი ბიზნესმენიც ყოფილა...

* * *

არსებობს ასეთი გამონათქვამი: ფული შობს გემოვნებასო.

მაგრამ ფული ბადებს ძალაუფლებასაც.

აჭარა, ფულით, თითქმის თურქების ხელშია, რაც ნიშნავს, რომ ძალაუფლება ხალხზე, მოსახლეობაზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, უცხო ერის წარმომადგენლების პრეროგატივა ხდება და რა მნიშვნელობა აქვს, რა იქნება გაფორმებული ქაღალდზე, თუ ხალხის ბედი, შემოსავლები, ცხოვრება უცხოელებზე, ამ შემთხვევაში კი თურქებზე იქნება დამოკიდებული?!

ეკონომიკის სპეციალისტების აზრით, გამოსავალი ამ სიტუაციიდან არის ის, რომ შეიქმნას რამდენიმეკაციანი ეკონომიკური სამსახური, რომელიც შეისწავლის უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსავლების ბრუნვას და მის ასახვას სახელმწიფოს ბიუჯეტზე.

სპეციალისტები მიმტკიცებენ, რომ გამაოგნებელი ციფრები დაიდება, რადგან, სრულიად ადვილი შესაძლებელია, უცხოელები საქართველოში შავ ბუღალტერიას აწარმოებდნენ...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18
ბათუმი-თბილისი

(გაგრძელება იქნება)

განათლების სისტემაში უამრავი რამ არის შესაცვლელი და მათ შორის, პირველ რიგში, განათლების მინისტრი

ალექსანდრე ჯეჯელავა, სააკაშვილივით, „ახალი ქართველის“ შექმნას აპირებს?

წინა კვირას ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებითა და ლარის კურსის ვარდნით გამოწვეული აჟიოტაჟი თითქმის გადაფარა განათლების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას სკანდალურმა განცხადებამ, რომელიც ქართული ზღაპრებისა და მულტფილმების რევიზიას და კომბლეს მორალურ-ზნეობრივ მხარეს ეხებოდა.

„ხშირად ვსაუბრობ, ზღაპრის გმირებით დაწყებული, მულტფილმის გმირებით დამთავრებული, რამხელა გავლენა აქვს ადამიანზე მისი ბავშვობის გმირებს. შესაბამისად, შესაცვლელი გვაქვს პრაქტიკულად ყველაფერი. მაგალითად, შეამჩნევდით, არ გვაქვს ქართული მულტფილმები. ძველები გვაქვს, რომლებიც საბჭოთა მულტფილმებია... კომბლე მოძალადეა და ცუდი მეცხვარეა. მასთან ორი პრეტენზია მაქვს. ორი ცხვარი ჰყავს და მეცხვარეს რატომ უნდა ჰყავდეს ორი ცხვარი თუ დაფიქრდებით, მიხვდებით, იმიტომ არის ცუდი მეცხვარე, რომ ცხვრის მოვლით არ არის დაკავებული, კომბლის მთლელია.“ „სუპერმენი“ და „სპაიდერმენი“ სასაცილო რაღაცეები არ არის. ისინი მასწავლებლები არიან, ბავშვებისთვის გმირები არიან. შესაბამისად, ჩვენ დაწყებული გმირებიდან, ესეც გასაკეთებელი გვაქვს, დამთავრებული ზღაპრებით, საბავშვო ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით, სასკოლო პროცესით და ა.შ.“ – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ჯეჯელავამ შეფიქრიანებულ საზოგადოებას ახალი თავსატეხი გაუჩინა: რა „ეზღაპრება“ პრობლემებით გამოტენილი უწყების ხელმძღვანელს? ვინ კითხავს მინისტრს ბავშვი „კომბლეს“ წაიკითხავს თუ „ალიბაბა და ორმოც ყაჩაღს“ და ხომ არ ცდილობს ჯეჯელავა ბავშვებისთვის ახალი ფასეულობების ჩამოყალიბების გზით, „ახალი ქართველის“ შექმნას?

სწორედ იმ დღეებში, როცა განათლების მინისტრი ქართული ზღაპრებისა და მულტფილმების მომავალზე ბჭობდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს 65 000-მდე პედაგოგიდან სერტიფიცირებული მხოლოდ 17.491-ია და პედაგოგებს უჭირთ იმ საგანში გამოცდის ჩაბარება, რომელსაც თავად ასწავლიან.

რამდენად მნიშვნელოვანია ზღაპრებისა და მულტფილმების შეცვლაზე საუბარი განათლებისა და მეცნიერების სისტემის წინაშე არსებული გამოწვევების პირობებში, რა არის სისტემაში სასწრაფოდ შესაცვლელი და როგორ უნდა შეექმნათ ფინეთის მსგავსი წარმატებული განათლების სისტემა? ამ და სხვა თემებზე პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიის პროფესორი, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ვახანია გვესაუბრა:

— ჩემი აზრით, ამ თემაზე ამდენი საკამათო და ყურადღების მისაქცევი, არაფერია. ზოგადად, კომბლე მეცხვარე კი არა, კომბლების მთლელი იყო და არც ორი ცხვარი ჰყავდა, მაგრამ თუნდაც ჰყავდეს, ვისი საქმეა, რამდენი ჰყავს? თუ პრობლემა ისაა, რომ ვიღაც ჩვენი ცნობიერების შეცვლას ცდილობს, გეტყვით, რომ ადამიანის შეგნებაში რაღაცა ნამდვილად შესაცვლელია, მაგრამ ზღაპრები არაფერ შუაშია. თუ მულტფილმებზეა საუბარი, მათი 90% მართლაც უვარგისია, მაგრამ ეს ქართულ მულტფილმებს ყველაზე ნაკლებად ეხება. კომბლესთან სუპერმენისა და სპაიდერმენის ხსენებაც არასწორი მგონია, რადგან ეს უკანასკნელი ზღაპარი კი არა, ვიღაცის დაწერილი და გადაღებული მულტფილმებია. ქართული ხალხური ზღაპარი ანდერსენის ზღაპრებთანაც კი არ უნდა შევადაროთ იმიტომ, რომ ის პროფესიონალი მწერალი იყო და ლიტერატურული ზღაპრის ჟანრში წერდა. თუ იაპონურ, რუსულ და სხვა ერების ხალხურ ზღაპრებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ქართული ხალხური ზღაპარი ყველა თვალსაზრისით, უფრო ლმობიერია. არც ის არის მართალი, რომ ზღაპარში ძალადობა არ უნდა იყოს. თუკი სხვა მხრივ, იმ ზღაპარში ყველაფერი კარგადაა და ბოლოს კეთილად მთავრდება, ბავშვის ფსიქოლოგიაზე არ იმოქმედებს.

— ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებულ საჯარო ლექციაზე განათლების მინისტრმა განათლების სისტემის უმთავრეს პრობლემად „უინტერესო სკოლის“ არსებობა დაასახელა. „იქნებ ამიხსნათ, რატომ უნდა ისწავლოს ბავშვმა ქართული ნაწარმოებიდან საზეპიროები? ვერ ამიხსნით, რადგან ამის ახსნა არ არსებობს. საზეპიროებს მეხსიერების განვითარებისთვის ასწავლიან, ვინაიდან უწინ, ინტერნეტამდე, მეხსიერება იყო და შესაბამისად, ეს საჭიროც იყო. ახლა კი აღარ სჭირდებათ, მაგრამ ინერციით, ასევ ვთქვათ „რაზგონით“ მაინც უვითარებენ.“ – განაცხადა ბატონმა ჯეჯელავამ. ბატონო ზურაბ, იქნებ აგვიხსნათ, საზეპიროების ცოდნა მხოლოდ მეხსიერების განვითარებისთვის არის აუცილებელი?

- ასე მსჯელობა უკვე შეცდომაა, რადგან უნდა დაზუსტდეს, რა ასაკის მოსწავლეზეა საუბარი. სამი წლის ბავშვი სხვაა, ექვსი წლის სხვა, ათი წლის სხვაა და ცამეტი წლის სულ სხვა სამყარო და სხვა ფსიქოლოგია. ზოგიერთ სკოლამდელი ასაკის ბავშვს თავად აქვს მოთხოვნილება, რომ ტექსტები და ზღაპრები დაიზეპიროს და ეს მხოლოდ მეხსიერების ვარჯიში კი არა, ენობრივი ფორმების დაუფლებასაც ნიშნავს. ამიტომ, ათ წლამდე საზეპიროები საჭიროა და სასარგებლო. სკოლამდელ ასაკში, პირველ კლასსა და ნაწილობრივ მეორეშიც, ბავშვის ძირითადი ყურადღება მიმართულია ენობრივი ფორმების მიმართ. ბავშვს შინაგანი მოთხოვნილება აქვს, დაეუფლოს მშობლიური ენის ფორმებს და ტექსტების დაზეპირებაც ამისთვის არის საჭირო. ენობრივ ფორმების და არა ლექსიკის, იმიტომ, რომ შეიძლება სიტყვების მნიშვნელობა არ ჰქონდეს გააზრებული და ამ ასაკში არცაა საჭირო. მოკლედ, ყველაფერი ასაკზეა დამოკიდებული. ჩემი ავტორობით გამოცემულ მეთოდიკურ სახელმძღვა-

ნელოში წერია, რომ მეხუთე კლასამდე საზეპიროები აუცილებელია, მეხუთე კლასის შემდეგ კი ნებაყოფლობითი. ანუ თუ ბავშვი საზეპიროს ისწავლის, კარგია, მაგრამ სავალდებულო აღარ არის და უსწავლელობისთვის არავინ უსაყვედურებს. გარდა ამისა, ბავშვი თვითონ არჩევს, რა მოცულობის და რომელი ნაწყვეტი ისწავლოს. ვფიქრობ, ზეპირად სწავლაზე გაცილებთ უკეთესი იქნება, რომ კარგად წაიკითხოს, მაგრამ ვინმე ასწავლის კარგად წაკითხვას? ამაზე საერთოდ, არავინ მუშაობს.

— როგორც ვიცი, ზღაპრებისა და მულტფილმების შეცვლამდე, განათლების სისტემაში სხვა ცვლილებებია გასატარებელი. თქვენ რისი შეცვლით დაიწყებდით?

- ალბათ, იმის თქმა უფრო გამიჭირდება, რა არ არის შესაცვლელი, რადგან, თითქმის ყველაფერი შესაცვლელია. ჩემი აზრით, განათლების მინისტრმა პირველ რიგში, უნდა დაითხოვოს შაშკინის დროინდელი კადრები და წესიერი კონკურსის საფუძველზე, ყოველგვარი ნეპოტიზმის, კლანურობისა და ნაცნობის გარეშე, შეარჩიოს კადრები. ამის შემდეგ, ცვლილებები უნდა დაიწყოს განათლების კანონიდან, ამას უნდა მოჰყვეს ეროვნული სასწავლო გეგმა, სტანდარტები, შეფასების სისტემა, სახელმძღვანელოები და ა.შ. რა თქმა უნდა, კანონის შეცვლა პარლამენტის საქმეა, მაგრამ შესაძლოა, ინიციატივა მინისტრის მხრიდან განხორციელდეს. კანონი, რომელიც ხარისხიანი სწავლებისთვის სკოლის უმცირეს ინიციატივასაც კი კრძალავს, აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ეროვნული სასწავლო გეგმა თითქოს გადაამუშავეს, მაგრამ თითქმის არაფერი გაუმჯობესებულა და ძირითადად, იგივე დარჩა. ყველაზე დიდი უბედურებაა, რომ ის საშინლად გადატვირთულია და ბავშვი ვერანაირად ვერ დაძლევს. ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან, დაწყებული კვაჭანტირაძიდან, ყველა მინისტრს ერთსა და იმავეს ვწერთ, რომ სკოლაში უბედურება ტრიალებს, რომელიც ყველაფერს ანადგურებს. ევროპას მაინც მიბაძონ რამეში.. ჩემი მოგონილი კი არა, განათლების მეცნიერების საერთაშორისო პრაქტიკაა, რომელიც ჩვენმა ნეპოტიზმით და დეიდაშვილ-მამიდაშვილობით დანიშნულმა თანამდებობის პირებმა არ იციან.

- დაგვიკონკრეტეთ, რის ცოდნას გულისხმობთ?

— რისთვის ვაკეთებთ სასწავლო გეგმებს, სტანდარტებს და სახელმძღვანელოებს. ბავშვისთვის ხომ? ამიტომ სტანდარტიც, პროგრამაც, მასწავლებელიც, სახელმძღვანელოც და ყველაფერი ბავშვის დონის შესაფერისი უნდა იყოს. თუ ბავშვის ცოდნის ნულია, ამ ნულიდან უნდა დავიწყოთ მოთხოვნის ეტაპობრივი მატება. მიზეზთა გამო, განათლების სისტემაში არ ხდება სწრაფი ცვლილებები. ისეთი ბრწყინვალე რეფორმაც რომ იყოს, როგორიც ფინეთში განხორციელდა, შედეგის მიღწევას დრო ჭირდება. სასწაულად არის მიჩნეული, რომ ფინეთმა 40 წელიწადში წარმატებული რეფორმა განახორციელა და შესანიშნავი განათლების სისტემა შექმნა. დღეს ფინეთის განათლების სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და საერთაშორისო რეიტინგების საუკეთესო ათეულში მყარი პოზიცია უკავია. ჩვენც ეტაპობრივად, 5 წელიწადში 20%-იანი მატებით უნდა მოვახერხოთ წარმატებული სისტემის შექმნა. 5 წელიწადში განათლების ხარისხის 20%-იანი მატება დიდი გამარჯვებაა. როცა ამას მიაღწევ, 5 წლის მერე კიდევ 20% მიუმატებ და ა.შ. ჩვენთან კი რა ხდება? მატება კი არა, 1980-იანი წლებიდან დაწყებული, ყოველწლიური კლება და დაქვეითება გვაქვს და ყოველი მომდევნო წელიწადი უარესია ვიდრე წინა. სხვათა შორის, განათლების დონეს შესანიშნავად გვაჩვენებს KAთ-ის გამოცდების შედეგები. ასეთ რეალობაში, სტანდარტების ნორმირება უნდა მოხდეს არსებული დონიდან და არა იქიდან გამომდინარე, რა მიზანი გვაქვს. ჩვენი დღევანდელი სტანდარტები 20%-ით კი არა, 200%-ით მეტია, ვიდრე ბავშვების რეალური დონე. ასეთი შეუსაბამობა ბავშვებში აგრესიას და დანაშაულის მატებასაც კი იწვევს. აი, ეს არის სასწრაფოდ შესაცვლელი და არა ზღაპრები და მულტფილმები. ბავშვი ყოველ დღე რწმუნდება სკოლაში, რომ ის ყველაფერში უვარგისია და მასწავებელმა მის უცოდინარობაზე თვალი თუ არ დახუჭა, ნიშანს

ვერ მიიღებს. ასეთ სიყალბეში არიან მასწავლებელიც და მოსწავლეც და ერთმანეთს თვალში ნაცარს აყრიან. ეს გრძელდება წლების განმავლობაში და მე ის კი არ მიკვირს, რაც ახალგაზრდებში ხდება, ის მიკვირს, ეს ბავშვები მეტ-ნაკლებად, კიდევ ჭკუაზე რომ არიან. ყველაზე დიდი სიმახინჯე და უბედურებაა, რომ ბავშვს გულს უცრუებ სკოლაზე, წიგნზე, სწავლაზე, შრომაზე და ქუჩისკენ და კორუფციისკენ უბიძგებ. კორუფციაა, რომ ბავშვი სიყალბით იღებს ნიშნებს წლების განმავლობაში. ასე ვაპირებთ სამოქალაქო საზოგადოების აღზრდას? სანამ სწავლა მოტყუებასა და სიყალბესთან არის გათანაბრებული, განათლების ხარისხზე საუბარი ზედმეტია და სანამ სტანდარტების საკითხი არ მოგვარდება, არაფერს აზრი არა აქვს.

- როგორც ვიცი, საუკეთესო შედეგების მქონე, სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი გაქვთ ქართული ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, დაწყებით განათლებაში, სამოქალაქო განათლებაში, რუსულ და ინგლისურ ენებში, ამიტომ მინდა განათლების მინისტრის კიდევ ერთი ინიციატივის შესახებ გკითხოთ, რომელიც მასწავლებელთა გამოცდაზე ბარიერის მოხსნას ეხება. „ჩაჭრილი მასწავლებელი აღარ გვეყოლება და სიტყვა „გამოცდაც“ მინდა, რომ ამოვიღო ამ სისტემიდან. არ შეიძლება, გამოსცადო ის ადამიანი, რომელიც 30 წლის განმავლობაში გამოსცადა ცხოვრებამ.“ — ბრძანა ალექსანდრე ჯეჯელავამ, თუმცა ისიც ბრძანა, რომ მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეს კარგ შედეგზე ვერ გაიყვანს, სკოლას დატოვებს.

— ვფიქრობ, ბარიერის მოხსნა არაფრით არ შეიძლება, რადგან გამოცდა აზრს კარგავს. ტესტში ალალბედზეც რომ შემოხაზო პასუხები, 15% ისედაც მოაგროვებ, ამიტომ ბარიერი 30% ნაკლები არ უნდა იყოს. თავის დროზე, ჩვენ ვსაუბრობდით, რომ სასერტიფიკაციო ტესტებში შესამცირებელი იყო შინაარსობრივი შეცდომები და ხარვეზები, გასაუმჯობესებელი იყო გამოსაცდელებისთვის ქულების მინიჭებისა და აპელაციის სისტემა. ეს ყველაფერი რომ მოგვარებულიყო, ამჟამად სერტიფიცირებულ მასწავლებელთა წილი არა 30 %, არამედ 50-60 % იქნებოდა. სამინისტრომ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ საშუალოსთან მიახლოებული ხარისხის საგანმანათლებლო სტანდარტები და სახელმძღვანელოები მიაწოდებინა მასწავლებლისთვის. სამინისტროს თავისი მწვრთნელებისთვისაც კი არა აქვს დაწესებული სავალდებულო სერტიფიცირება და ხშირად სასერტიფიკაციო გამოცდებზე ჩაჭრილი პირები უტარებენ ტრენინგებს მასწავლებლებს. ასე, რომ ჩვენი განათლების სისტემის სავალალო მდგომარეობა არა მასწავლებელთა, არამედ განათლების სამინისტროს და მთელი მისი სისტემის ბრალია.

ნელი თორდია
571 35 36 88

რა შეიცვლება ტრამპის პრეზიდენტობის დროს საქართველოსთვის?

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:

— ბატონო სოსო, რა შეიცვლება ტრამპის პრეზიდენტობისას საქართველოსთვის?

— მოდით ასე ვთქვათ, არც ბარაკ ობამას დროს ყოფილა საქართველო ამერიკის საგარეო პოლიტიკის პროირიტეტი და არც ტრამპის დროს იქნება. უკვე რამდენიმე წელია, არაბული გაზაფხულის, სირიის მოვლენების და სხვათა გამო, საქართველოსთვის აღარავის სცხელა. საქართველო, დღეს, პრიორიტეტი არაა არც რუსეთისთვის, არც ევროპისთვის და არც ამერიკისთვის. ევროპისთვის დღეს პრიორიტეტია ლტოლვილებით გამოწვეული პრობლემები, ამერიკისთვის — ძირითადად, საშინაო პოლიტიკა და ნატოსთვის — ბალტიის ქვეყნები და პოლონეთი, მათი დაცვის გაძლიერება. ასე, რომ საქართველოსთან მიმართებაში დიდი არაფერი შეიცვლება. შეიძლება ჩვენი ვირტუალური იმედი, ილუზია უფრო რეალობისკენ გადაიხაროს. შეიძლება იგივე, „ნაცმოძრაობის“ წევრები, რომლებსაც სულ იმის იმედი აქვთ, რომ ხვალ ნატოში მიგვიღებენ, ზეგ ევროკავშირში, ცოტა ღრუბლებიდან დედამიწაზე დაეშვნენ და ჩვენმა მთავრობამაც, ქართულმა დიპლომატიამ ცოტა თავი შეაჯანჯღაროს, კრეატიული გადაწყვეტილებები ეძებოს და უფრო დაბალანსირებულ პოლიტიკაზე იფიქროს. ამიტომ, არ შეიძლება ვთქვათ, რომ ტრამპის არჩევა ეს არის აპოკალიფსი, კატასტროფა, არავის ეგონოს კლინტონი მოვიდოდა და მეორე დღეს ნატოში მიგვიღებდნენ, მესამე დღეს კი ევროკავშირში. ყველა მოვლენას თავისი დადებითი, უარყოფითი მხარეები აქვს. მთავარია, ჩვენ თავად გვქონდეს სწორი პოზიცია, პასუხი ყველა გამოწვევაზე. მნიშვნელოვანია როგორ დააკომპლექტებს ტრამპი მთავრობას. ამერიკაში მინისტრები ისე არ მოდიან როგორც სხვა ქვეყნებში — სამ მილიონიან ქვეყანაში არავინ რომ არ იცნობს და უცებ, პარლამენტარი ხდება, ასევე, უცებ ინიშნებიან მინისტრები, რომლებსაც დანიშვნამდე ერთი კვირით ადრე დარგის სპეციალისტებიც კი არ იცნობდნენ. ამერიკაში, ასე არ ხდება. იქ ხელისუფლებაში ცნობადი სახეები მოდიან რომელთა მიმართ პრესას, საზოგადოებას სრული ინფორმაცია აქვთ.

— თქვენ, ახლა ახსენეთ, საქართველო ამერიკისთვის არც ამჯერად იქნება პრიორიტეტიო. თუმცა, რამდენად შეიძლება შეიცვალოს სიტუაცია ზოგადად მსოფლიოში, ასევე, რუსეთთან მიმართებაში. თუნდაც, რამდენად ვიქნებით რუსეთსა და ამერიკას შორის ვაჭრობის საგანი, ტრამპმა ხომ შეიძლება სულაც ხელპირი დაიბანოს და თქვას: რაც გინდათ ის უქენით საქართველოსო.

— კი, ასეთი ვერსია არსებობს, თუმცა ამ აზრს ამერიკაშიც და რუსეთშიც უფრო მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს, ვიდრე მომხრე. აი, ტრამპი და პუტინი შეიძლება ახალ იალტაზე შეთანხმდნენ. ისე როგორც 1945 წელს იალტაში დემოკრატმა რუზველტმა და დემოკრატმა ჩერჩილმა მშვენივრად გამოძებნეს საერთო ენა დიქტატორ სტალინთან და ევროპა გავლენის სფეროებად გაიყვეს, წითელი ხაზი გაავლეს. ასეთ საშიშროებაზე, დღეს, ამერიკაშიც და რუსეთშიც ბევრი იწერება. მაგრამ ტრამპი შეძლებს ამის გაკეთებას? — მას ეს შეიძლება კიდეც უნდა, გეგმაშიც აქვს, მაგრამ აქვს კი რესურსი, დასაყრდენი?! ამერიკის საზოგადოებაში მას დასაყრდენი არ ექნება, ეს გამორიცხულია. გარდა ამისა, ამით ტრამპის ანტირეიტინგი დღითიდღე გაძლიერდება. გადავხედოთ, თუნდაც მის დაპირებებს, რომლებიც არჩევნებამდე ათი დღით ადრე გამოაქვეყნა. მან ჩამოთვალა თუ რას გააკეთებს, კერძოდ, მექსიკასთან კედელს ავაშენებ, მექსიკის მთავრობა გადაიხდის ამის ფულსო, ასევე, კონგრესის წევრთა არჩევის ვადას შევამცირებო. მაგალითად, ტედი კენედი 40 წელი იყო სენატორი. ტრამპი ამერიკელებს ჰპირდება, რომ ეს პოსტი, პრაქტიკულად, უვადო აღარ იქნება, დადგინდება მკვეთრი ვადები, ვთქვათ, სენატორი შეიძლება ორჯერ აირჩეს, კონგრესმენის წარმომადგენელთა პალატის წევრი შეიძლება არჩეული იყოს მხოლოდ სამჯერ და არა 15-ჯერ. ამას შეძლებს? — ძნელი სათქმელია. გარდა ამისა, ტრამპი ამერიკელებს დაჰპირდა, რომ ამერიკაში მრეწველობას დააბრუნებს. აქ ლაპარაკია შემდეგზე: 20-30 წელია ამერიკიდან დიდი ქარხნები, ფაბრიკები კორპორაციებს ჩინეთში, ვიეტნამში, ინდონეზიაში და მექსიკაში გააქვთ. რატომ? — იქ, მუშახელი იაფია, პროდუქციას იქვე აწარმოებენ და მერე, ეს პროდუქცია ამერიკაში უბაჟოდ შემოაქვთ და დიდ ფასად ყიდიან. ტრამპი ამბობს, რომ ამ პროდუქციაზე ვთქვათ, იგივე „ფორდს“, „ჯენერალ-მოტორსს“, ასევე, მსუბუქ მრეწველობას პროდუქციის შემოტანაში ბაჟს დავუწესებო. ე.ი. ტრამპი აპირებს მთელს სისტემას ომი გამოუცხადოს? — ეს ცოტა დონკიხოტურია. სხვათა შორის, ასეთი დაპირებებით მოვიდა კარტერიც და ამიტომაც იყო, რომ

ოთხი წელი ძლივს გაძლო, ბოლო ორი წელი კარტერის რეიტინგი 30-32% იყო. პირდაპირ ვთქვათ, იგი რეიგანმა ცალი ხელით დაამარცხა. ტრამპისაც იგივე ელის. ეიფორია მალე გაივლის. დღეს, რუსეთში დიდი ეშხით იწერება, რომ ამერიკა გაიყო, დაძაბუნდა, ეს დემოკრატიის კრახიაო. კი, ამერიკელები დღეს შოკში არიან, მაგრამ 10-20-ჯერ მეტ შოკში იყვნენ ვიეტნამის შემდეგ, უფრო ძლიერ შოკში იყვნენ გასული საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს დიდი დეპრესიის დროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამერიკის ინსტიტუტები იმდენად ძლიერი და მყარია, რომ მათ ამოუწურავი შიდა რესურსი აქვთ, რაც მსოფლიოში არცერთ სხვა ქვეყანას არ აქვს, ირთვება მეორე სუნთქვა და ამერიკა ისევ ლიდერი ხდება. ასე, რომ ტრამპი ლირიულ გადახვევად იქცევა. გავა რამდენიმე წელი და ამერიკელები მას ირონიულად გაიხსენებენ. იგივე, კარტერისგან განსხვავებით, ტრამპს პატივისცემით არავინ მოიხსენიებს. იმიტომ, რომ იგი თვითონ ანტიამერიკანიზმია. ტრამპი ძალიან პრაგმატიკოსი აღმოჩნდა. მან ზუსტად მიაგნო იმ ნერვს, რა უნდოდათ რიგით, მთავრობის მიერ დავიწყებულ ამერიკელებს. ვინაიდან ამერიკაში არ არსებობს და ალბათ, არც იარსებებს ადმინისტრაციული რესურსი, ამ გაბრაზებულმა, შინაგანად ბოღმადაგროვილმა ამერიკელებმა, რომლებიც გამოკითხვებისას პასუხს თავს არიდებდნენ, 8 ნოემბერს გაისროლეს, მთელი დაგროვილი წყენა ამ დღეს გამოავლინეს. ამ წყენას ადმინისტრაციული რესურსი ვერ ჩაახშობდა, იქ, გაყალბება წარმოუდგენელია. თუმცა, ამერიკაშიც ხდება უცნაური რაღაცები – შეიძლება ერთმა კანდიდატმა მეტი ხმები დააგროვოს, ამ დროს პრეზიდენტი მეორე გახდეს. 2000 წელს ბუში-უმცროსმა არჩევნებში ნახევარი მილიონით ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე მისმა მოწინააღმდეგე ელ გორმა, მაგრამ პრეზიდენტი ბუში გახდა. იმიტომ, რომ პრეზიდენტს ამერიკელები კი არ ირჩევენ, არამედ 270 კოლეგიის წევრი, რომლებიც 13 დეკემბერს შეიკრიბებიან და ოფიციალურად იტყვიან, რომ პრეზიდენტი ტრამპია. მანამდე ტრამპი პრეზიდენტი არაა. რა ხდებოდა 2000 წელს? ელ გორი რომელმაც ნახევარი მილიონით მეტი ხმა მიიღო ძნელად ეგუებოდა დამარცხებას და ხმების გადათვლა რამდენჯერმე მოითხოვა. იქ, ისე კი არ ხდება როგორც ჩვენთან: ნინო ბურჯანაძეს იღლიაში ამოდებული აქვს გაყალბებული ოქმები, დადის ტელევიზიიდან ტელევიზიაში, ვერ მიაღწია, რომ ერთი უბანი გაიხსნას და ხმები გადათვალონ. ფლორიდაში თითო ხმა ხელით გადათვალეს. ამიტომ, იქ, სულ სხვა სისტემაა, ესაა ინსტიტუტების ძალა, რომელიც ტრამპსაც არ მისცემს უფლებას თავის ცოტა შარლატანური, პოპულისტური, დემაგოგიური განცხადებები მერე, რეალობად აქციოს – ვერც კედელს ააშენებს, ვერც მრეწველობას დააბრუნებს და ვერც რეფორმებს გაატარებს თავის ჯკუაზე. თუმცა, ელემენტარულად, პრეზიდენტს შეუძლია, კონგრესის მიერ დაწუნებული აქტებით, შეამციროს ამერიკის ყურადღება ევროპის, საქართველოსნაირი ქვეყნების მიმართ. პრეზიდენტს, ასევე, უფლება აქვს ჯარი გამოიყვანოს და სირიის კოალიციიდან გამოვიდეს, შეიძლება პუტინთან რაღაც შეთანხმებებიც დადოს, მაგრამ ეს არ იქნება დიდ პოლიტიკაში გადამწყვეტი, ვინაიდან თვითონ ტრამპის დასაყრდენი სოციალური ბაზა მწირია. მან გულუხვად გასცა დაპირებები, ამერიკელი ხალხის მეხსიერება კი ცოტა გრძელია. ისინი ამ დაპირებებზე პასუხს მოითხოვენ, მაგრამ ტრამპი ამ დაპირებებს ვერ შეასრულებს. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ თავად ტრამპი შეიცვლება და უფრო პრაგმატიკოსი გახდება, ვინაიდან იგი, სისტემას ვერ შეცვლის. ტრამპი უბრალო ამერიკელების თვალში დავითია, რომელიც გოლიათს დაეჭიდა. გოლიათი არის ეს სისტემა – ვაშინგტონი თავისი ბიუროკრატიული აპარატით. ტრამპი ამბობს: ნახეთ, რა ხდება თანამდებობებზე მყოფი პირები მერე ინიშნებიან სადღაც მრჩევლებად, კერძო ფირმებში და ისევ ხალხის ფულზე ცხოვრობენ, ამ დროს, რიგითი ამერიკელი, განსაკუთრებით თეთრკანიანები, დავიწყებულნი არიანო. ეს რევოლუციურ-პოპულისტურია. ტრამპმა ზუსტად გათვალა რით უნდა მოეგო გაბრაზებული ამერიკელების გული. მაგრამ დაპირებების დრო რომ დადგება, აქ, უკვე ტრამპი სულ სხვანაირი იქნება. ამას მალე ყველა ვნახავთ.

– ტრამპის ერთ-ერთი დაპირება ჯარის გამოყვანასთან დაკავშირებით რამდენად რეალურია? ხომ არ მოხდება ისე, რომ ტრამპი იძულებული გახდება დაპირებები შეასრულოს, მან ხომ იცის ამერიკელმა ხალხმა რატომაც აირჩია?

– რაც შეეხება ჯარის გამოყვანას, ეს ლოზუნგი ამერიკაში ყველა პრეზიდენტის დროს პოპულარულია იმიტომ, რომ სენატორებისა და პრეზიდენტების შვილები კი არ იღუპებიან, არამედ რიგითი ამერიკელების შვილები. ამიტომ თუ ტრამპმა ჯარები გამოიყვანა, ეს რეალობად იქცევა, მაგრამ იცით, ეს მხოლოდ ერთი მომენტია. ტრამპს უნდა სავაჭრო ომი გამოუცხადოს ჩინეთს და ამავე დროს ჩინეთის მოკავშირე პუტინთან მეგობრობა დაიწყოს, ეს არ გამოვა. პუტინი არჩევანის წინაშე თუ დადგა – ტრამპი თუ ჩინეთი, იგი ყოველთვის ჩინეთს აირჩევს. იმიტომ, რომ იცის ამერიკაში დღეს ტრამპია, ხვალ სხვა მოვა. დავუბრუნდეთ ჯარის გაყვანას, კი, ეს შეიძლება გააკეთოს, მაგრამ ის, რომ საზღვრები ჩაკეტოს და ამერიკაში არცერთი მუსულმანი არ შეუშვას, ეს უკვე თვითონ ამერიკელების ბუნების საწინააღმდეგოა. კი განაწყენებულნი არიან, რომ ვიღაც მუსულმანი შემოდის, კლავს, მაგრამ თვითონ ამერიკის ინსტიტუტები იმდენად ძლიერია, რომ იზოლაციონალიზმი რომელიც ერთხელ უკვე დაამარცხა რუზველტმა, ამერიკაში, ისე რომ ხელახლა რეალურ ძალად იქცეს, მეორედ ვეღარ გაბატონდება. ტრამპი სხვა პრობლემების წინაშე უფრო წაიტეხავს კისერს, იგივე ჩინეთთან მიმართებაში. ახლა, თქვა: ჩინეთს სავალუტო სპეკულიანტად გამოვაცხადებო. ჩინეთი იენის კურსს ხელოვნურად დაბლა სცემს, ეს 20 წელია ასეა. ამერიკა, მსოფლიო ბანკი ყველა ეხვეწება პეკინს: ნუ აკეთებ ამას, ხელოვნურად ნუ სცემ ვალუტის კურსსო, რითაც ექსპორტი იაფდება. ტრამპმა თქვა: არავითარი კომპრომისი, ჩინეთს ფინანსურ მაქინატორად გამოვაცხადებ და მათ მსოფლიო ფინანასურ ბაზრებს გადავუკეტავო. ჩინეთი გიგანტია, იგი მსოფლიოში მეორე ეკონომიკაა. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, დღეს, მსოფლიოში ჩინეთის ეკონომიკა თუ არ უსწრებს, ყოველ შემთხვევაში, ამერიკის ეკონომიკას არ ჩამორჩება. ტრამპს ამის არც ჭკუა, არც ძალა, არც რესურსი არ აქვს. მას არასოდეს მიიღებს იგივე თავისი პარტიის ხელმძღვანელობა. ტრამპის დასაყრდენი არის გაბრაზებული ამერიკელები, მაგრამ ისინი თუ გუშინ ვაშინგტონზე იყვნენ გაბრაზებულნი, სადაც ობამა იყო, დღეს, ვაშინგტონში ტრამპი იქნება. მან თქვა: ბოლო 25 წელია მარტო ბუშები და კლინტონები არიან პრეზიდენტებიო. მაგრამ ახლა, ვაშინგტონში თვითონ იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ოდესელების თქმით, მიხეილ სააკაშვილის წასვლით, ოდესაში „კანონიერი ქურდების“ რაოდენობა ერთით შემცირდა

სააკაშვილი – ჩამოწერილი პოლიტიკური ფიგურა, დევნილი, დამნაშავე, ჩარეცხილი, რომელიც თავის მშობელ ამერიკასაც აღარ სჭირდება?! რა გზას დაადგება სოროსის კვერცხუჯრედისგან შექმნილი აწ უკვე უნომრო ნაციონალი და ვინ გადაეფარება ამბრაზურასავით კაცს, რომელმაც გაყიდა და რომელიც გაყიდეს?

მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური საფლავის გათხრა, მიმდინარე თვის პირველი რიცხვიდან დაიწყო, 2-3 ნოემბერს რამოდენიმე პრესკონფერენცია ჩაატარა. მის გააქტიურებას წინ, ჯერ ხარკოვში „თანამებრძოლის“ „ზელიონკით“შეღებვა უძღოდა შემდეგ 2-ნოემბერს მისი თანაგუნდელის ლევ ფარცხალაძის კიევის ადმინისტრაციიდან გათავისუფლება, არადა მიშა ლევს მომსახურეობის სააგენტოს „შეფად“ ამზადებდა...6 ნოემბერს დიდი რეფორმატორის დიდი გენერალი გიორგი ლორთქიფანიძე გადადგა და შვიდ ნოემბერს გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო მიხეილმაც, რომელიც იმას ებრძვის რაც მასშია (კორუფცია, ყაჩაღობა, ტერორი, ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა და ყველა სისაძაგლე რაც სს კოდექსში არსებობს) 7 ნოემბერი საკრალური დღეა მიშასთვის, საქართველოში სისხლიანი შემოდგომის მოწყობის ცხრა წლის თავზე გამოუვალი მდგომარეობის გამო იძულებული გახდა ოდესის გუბერნატორის თანამდებობა დაეტოვებინა, ოლქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის გიორგი ლორთქიფანიძის კრიმინალური წარსულის და აწმყოს შესახებ ჩვენს გაზეთში ოდესელი რესპონდენტის რამდენიმე ინტერვიუ დაიბეჭდა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რესპონდენტი თავის ვინაობას მალავდა, მეც მაფრთხილებდა- ეტყობა კარგად არ იცნობ და არ იცი, რაზე არიან წამსვლელები „ატამანი“ლორთქიფანიძე და მისი ხროვაო-კრიმინალებთან „მებრძოლ ატამანს“სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა ოდესის უსაფრთხოების სამსახურმა და სამხედრო პროკურატურამ, მათი კონტროლი საბედნიეროდ მიშას ხელარეწიფებოდა და ჯერ საყვარელიძე „გაუბუნძულეს“ თავის მექრთამე პროკურორებთან ერთად და შემდეგ არაერთი კრიმინალური ბანდა გაანეიტრალეს რომლებსაც ლორთქიფანიძე ლობირებდა... ასევე დააკავეს თანამშრომლები რომლებიც ნარკოტიკების რეალიზაციით იყვნენ დაკავებულები და „ატამანის“ დროშის ქვეშ „ცურავდნენ“ რეფორმატორ ლორთქიფანიძეს ისეთი დერეფორმირებული პოლიცია დაუტოვებია კარგა ხანი, რომ გაუჭირდებათ ფეხზე წამოაყენონ მის მიმართ უკრაინული მედია კრიტიკულადაა განწყობილი და ჩინოსნების წყაროზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში დანაშაულმა 200% მოიმატა ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი ნულს გაუტოლდა.

„ადამიანმა“ პოლიციიდან გაათავისუფლა პროფესიონალები და „ქუჩიდან“დანიშნა არაპროფესიონალები მაგალითად „პრიმორსკის“პოლიციის უფროსად 26 წლის ბარმერი დანიშნა რომელსაც არც შესაბამისი გამოცდილება და არც განათლება გააჩნდა შესაბამის თანამდებობაზე დასანიშნად. ასევე ტაიროვსკის პოლიციის უფროსად „მანიკურშა“ დაუნიშნავს, ასეთი საკადრო პოლიტიკიდან მიიღო კიდეც შესაბამისი შედეგი. ოლქის პოლიციის ჩინოსნები და უბრალო მოქალაქეებიც გაკვირვებულები იყვნენ ლორთქიფანიძის ოთხკაციანი დაცვით, რადგან როცა ოლქის პირველი პოლიციელი დაცვით დადის ესეიგი ვერ არის კარგად საქმე უსაფრთხოების მხრივ. ოდესას ასეთი რამ არ ახსოვს. სააკაშვილი ხშირად ტრაბახობდა, რომ ლორთქიფანიძე ქრთამს არ იღებდა, არადა რა საინტერესოა, „შევროლეტი“ რომლითაც გადაადგილდებოდა სულ ცოტა 250000$ ღირებულების ყოფილა, მისი დაცვაც 100000$ ავტო მანქანით მოძრაობდა. ძვირფასი ავტომანქანების და აგარაკების გარდა, ბიჭი გიორგი, გურმანიც ყოფილა და ყოველდღე ოდესის საუკეთესო რესტორნებში სადილობდა და ვახშმობდა „აზუმა“და „ფრატელის“ხშირი სტუმარი გახლდათ სადაც ერთი პერსონის სადილი მინიმუმ 1500 გრინვიდან იწყება... ოდესაში დარჩენილ პოლიციის თანამშრომლებს თურმე ღამე, გარეთ გადაადგილების ეშინიათ, საინტერესოა რას ავალებდა ასეთს „შეფი“,სამაგიეროს გადახდის შიშით პოლიციელები დაზაფრულები რომ დატოვა?

უკრაინის მთავარ პროკურორი აღშფოთებული ყოფილა ოდესის ოლქში კატასტროფული კრიმინოგენული სტატისტიკით, 90-იან წლებშიც კი არ ყოფილა უკრაინის არცერთ ოლქში ისეთი კატასტროფული სიტუაცია როგორც დღეს ოდესის ოლქში.

უკრაინის მე-5 არხის გადაცემაში სტუმრობისას საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და უკვე ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა არაერთ საკითხზე ისაუბრა, მათ შორის იმაზეც, თუ როგორ მოკრძალებულად ცხოვრობდა საქართველოში პრეზიდენტობისას.

სააკაშვილმა პოროშენკოსთან მისი პიროვნების შედარებისას, წამყვანის მიერ დასმული შეკითხვის – თუ რა გამოსდის მასზე უკეთესად პოროშენკოს – საპასუხოდ თქვა, რომ მან 100 000 დოლარის შოვნაც ვერ შეძლო, მაშინ, როდესაც პოროშენკომ მილიარდები იშოვა, მისთვის კი ჩვეულებრივი ადამიანების საფიქრალის გაგებაა უფრო ადვილი, მას მათ ადგილას თავის დაყენება შეუძლია, რადგან მისი თქმით, იგი გაცილებით უფრო ახლოს არის ადამიანებთან მატერიალური მდგომარეობით, და მეორე მომენტია ის, რომ იგი „ადამიანებთან ურთიერთობას ეთაყვანება“. „მე არასოდეს მიცხოვრია მდიდრულ რეზიდენციებში, როდესაც მე პრეზიდენტი ვიყავი, თითქმის ყოველ საღამოს ჩვეულებრივ კაფეში ვიჯექი. ნუ, პატარა ქვეყნაა, რა თქმა უნდა, უკრაინა სხვა ისტორიაა“. მან გადაცემაში უკრაინის პოლიციაში არსებულ კორუფციაზეც ისაუბრა და თქვა, რომ პოლიციის რეფორმა ჩაფლავდა, რადგან არასაკმარისია საპატრულო პოლიციისთვის მატერიალური უზრუნველყოფის საშუალებები.

სააკაშვილმა გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტმა პოროშენკომ იგი შეიძლება ქართულ მხარეს გადასცეს. „ძალიან კარგი აზრის ვარ პეტრო პოროშენკოზე. ვფიქრობ, მსგავს რამეს იგი არ გააკეთებს. უბრალოდ, წარმოიდგინეთ ჰიპოთეტურად, რომ პოროშენკო საქართველოს გადამცემს, თუნდაც ასე იყოს, საქართველოში 600 000 მომხრე მყავს და ზუსტად ერთ კვირაში მე უკვე თავისუფლებაზე ვიქნები.“ აღნიშნული სიტყვების თვითონაც არ ჯერა მიხოს და მძაფრად გრძნობს, რომ ფორტუნამ სამუდამოდ მიატოვა. ისიც კარგად იცის ვინ „მიეხმარება“უახლოესი გარემოცვიდან სამუდამოდ გამოამწყვდიოს ციხეში. მიხო განსაცდელში ჩავარდნილ ვირთხას გავს, თუმცა „დოპინგი“ურთიერთგამომრიცხავ აზრებს აფრქვევინებს და ძალიან სასაცილო მდგომარეობაში აგდებს, ისედაც გაბანძებულს ბოლომდე აბანძებს.

მიხო მტკივნეულად აღიქვამს პოროშენკოს რიტორიკას „ჩამოსულებზე“ და ამბობს, რომ როდესაც ის კიევში საქართველოდან სასწავლებლად ჩავიდა თითქმის იმ პერიოდში მოლდავეთიდან პოროშენკოც ჩავიდა და ისინი ორივე ჩამოსულები იყვნენ. ეხლაც იგივე განმეორდა და ორივე ჩამოსულებად ითვლებიან და უკრაინელებისთვის უცხოელ პოლიტიკოსებად და მათი გუნდის წევრები უცხოელ ჩინოვნიკებად. (არ იქნე-

ბა ურიგო ამ ორი „უცხოელის“კიევის პოლიტიკური რინგის ყურება, მე ფსონს პოროშენკოზე დავდებდი) საკაშვილი კიევში ერთ-ერთ ბრიფინგზე დაჭერით დაემუქრა კალამოისკის, ხელისუფლებაში ახალი პარტიით მოსვლის შემდგომ და კიდევ მისი „პრივატ ბანკის“ ნაციონალიზაციით. (თითქოს მეტი აქტივები არ ჰქონდეს) რადგან „ღრმად“ დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის დავალებას ასრულებდა როცა მის საკუთრებაში მყოფი ტელევიზია „1-1“ მის საქმიანობას უარყოფითად აშუქებდა. საკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ კალამოისკის ვერც შვეიცარია უშველის და ვერც ვერაფერიო. რამდენად შეეშინდება გაბანძებული მიხოსი ოლიგარქს ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია გუბერნატორ და პრეზიდენტყოფილი ვეღარც გვირაბს თხრის და ვეღარც ცურავს. ბოლოდროინდელ გამოსვლებში მხოლოდ ტრაბახობს, მის ურთიერთობაზე პეტრო პოროშენკოსთან „ჩააკვეხა“ დონალდ ტრამპი წლების წინ თვლიდა, რომ საკაშვილის გამოცდილების გამოყენება შეიძლებოდა და იგივე აზრზე იყო ჰილარი კლინტონი, პოროშენკომ ეს შანსი ხელიდან გაუშვა. ანუ ხალხს განუცხადა, კლინტონთანაც დალაგებული ურთიერთობა მაქვს და ტრამპიც მწყალობსო, თუმცა წყალობის მაგას აღარაფერი ეტყობა, ჩვეულებრივი მოსიარულე გვამია... „მე დღეს ვაცხადებ, რომ ვაფუძნებთ ახალ პოლიტიკურ გუნდს, რომლის მიზანია, არსებული პოლიტიკური ელიტის შეცვლა, რომელიც აკონტროლებს რადას, ჩვენი მიზანია ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, საკაშვილის გუნდში არ იქნება არც ერთ ის დეპუტატი, რომელიც ერთ ვადაზე მეტი იყო უკრაინის უმაღლესი რადას წევრი. საკაშვილის თქმით, მისი გუნდის საარჩევნო სიაში არ იქნება, არც ერთი ბიზნესმენი. ჩვენ მხარს დავუჭერთ ბიზნესს, მაგრამ ჩვენ არ შევიყვანთ ბიზნესმენებს რადაში, საკაშვილი განმარტავს, რომ მის გუნდში იქნებიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები, რომლებსაც სურთ არა ფულის კეთება და მოღვაწეობა ოლიგარქებისთვის, არამედ საკუთარი ქვეყნის სამსახურში ყოფნა.

ოდესაში, ყოფილი გუბერნატორის კაბინეტის ფანჯრების წინ, მოსახლეობამ და ქალაქის საბჭოს დეპუტატებმა სახალხო დღესასწაული მოაწყვეს მწვადების და ქართული „ჰანგების – წადი დასვიდანია-ს“ თანხლებით ოდესა, მიშას „წაშავებას“ ზეიმობდა, 7 ნოემბერი ოდესის გათავისუფლების დღედ გამოცხადდა. იხსენებდნენ სახალხო დეპუტატს დიმიტრი გოლუბოვს რომელმაც პირველმა დაიწყო მიხეილის და მისი გუნდის მხილება და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ მტკიცებულებების შეგროვება. შემდეგ სხვებიც შეუერთდნენ ოდესის გათავისუფლების მოძრაობას.

ოდესის ყოფილი გუბერნატორი, მიხეილ საკაშვილი იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდით იყო დაკავებული. აღნიშნული განცხადება ოდესის ქალაქის საბჭოს დეპუტატმა, ვლადიმერ ვარეშჩენკომ გააკეთა. ადგილობრივ მედიასთან ინტერვიუში დეპუტატი აცხადებს, რომ მიხეილ საკაშვილს „საბაჟო იარაღის კონტრაბანდისა და ნარკოვაჭრობისთვის სჭირდებოდა“. მისი თქმით, მიხეილ საკაშვილი „პროფესიონალი თაღლითი, ავანტიურისტი და მოღალატეა“. ვლადიმერ ვარეშჩენკოს შეფასებით, საკაშვილის გუბერნატორის თანამდებობიდან გადადგომით, „ოდესაში ერთით ნაკლები კანონიერი ქურდია“. მისივე თქმით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, რომელზეც სამშობლოში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული 4 მუხლით, რაც 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, უმაღლეს რადაში შეღწევას შეეცდება, რათა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს კონკურენტი გახდეს შემდგომ კი მთლიანად უკრაინას უხელმძღვანელოს. „მიხეილ საკაშვილს უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალება სურს“, ქალაქის საბჭოს დეპუტატმა დიმიტრი პალატინმა გახარებულმა აღნიშნა, რომ „ქართველი პოლიტდევნილები ოდესას ტოვებენ, ქალაქი ჩვეულ რეჟიმში ჩადგება, სითბო და სიყვარული დაისადგურებს ჩვენს საყვარელ ქალაქში, ქართველი ვარიაგების წასვლით გახარებული გახლდათ ქალაქის საბჭოს დეპუტატი დენის გრიგორიევი რომელიც იმედს იტოვებდა, რომ რეფორმატორების ოდესიდან და საერთოდ უკრაინიდან გაყრის შემდგომ ქართველებს და უკრაინელ ხალხებს შორის ურთიერთობა აუცილებლად აღსდგება. სახალხო ზეიმზე ჩინოსნები და უბრალო ოდესელი მოქალაქეები რეფორმატორების წასვლის სიხარულით გახლდნენ გამთლიანებულნი. ნაცებს ეროვნებათა შორის ლოში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული 4 მუხლით, რაც 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, უმაღლეს რადაში შეღწევას შეეცდება, რათა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს კონკურენტი გახდეს შემდგომ კი მთლიანად უკრაინას უხელმძღვანელოს. „მიხეილ საკაშვილს უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალება სურს“, ქალაქის საბჭოს დეპუტატმა დიმიტრი პალატინმა გახარებულმა აღნიშნა, რომ „ქართველი პოლიტდევნილები ოდესას ტოვებენ, ქალაქი ჩვეულ რეჟიმში ჩადგება, სითბო და სიყვარული დაისადგურებს ჩვენს საყვარელ ქალაქში, ქართველი ვარიაგების წასვლით გახარებული გახლდათ ქალაქის საბჭოს დეპუტატი დენის გრიგორიევი რომელიც იმედს იტოვებდა, რომ რეფორმატორების ოდესიდან და საერთოდ უკრაინიდან გაყრის შემდგომ ქართველებს და უკრაინელ ხალხებს შორის ურთიერთობა აუცილებლად აღსდგება. სახალხო ზეიმზე ჩინოსნები და უბრალო ოდესელი მოქალაქეები რეფორმატორების წასვლის სიხარულით გახლდნენ გამთლიანებულნი. ნაცებს ეროვნებათა შორის შუღლის ჩამოგდება და საუკუნეების მანძილზე ნაშენების ნგრევა განსაკუთრებით ეხერხებოდათ და ეხერხებათ. მიმდინარე წლის 29 აგვისტოს 9 წლის გოგონას მკვლელობის ბრალდებით 21 წლის ბოშა კაცი ეთნიკური რუსებით და ბულგარელებით დასახლებული სოფ. ლოშჩინივკადან (ბოშების პატარა თემი ცხოვრობდა) დააკავეს და ამ საზარელ დანაშაულზე დააკისრეს პასუხისმგებლობა. (სარწმუნო წყაროს ცნობით მიშას იმ სოფლის ხელში ჩაგდება უნდოდა და უდანაშაულო კაცი დააპატიმრეს) რეფორმატორების წაქეზებით, საღამოს ახალგაზრდების კრიმინალური დაჯგუფება ანტი-ბოშური განწყობით დაერია ადგილობრივებს. იყო ქვების სროლა, ფანჯრების მსხვრევა, სახლების გადაწვა და ქონების განადგურება. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, რადგან ბოშები უკვე ტერიტორიას იყვნენ გაცლილი. (მოსალოდნელ თავდასხმის საშიშროების შესახებ „შერჩეულმა“ პირებმა გააფრთხილეს) თუმცა ამ ეპიზოდის ტირაჟირებული ვიდეო მასალის საფუძველზე ბევრი უკრაინელი დამკვირვებელი სიტუაციას სასაკლაოდ მოიხსენიებდა და ეთნიკური შუღლით მოტივირებულ სასტიკეზე აპელირებდა. ხელისუფლებამ მყისიერი რეაგირება მოახდინა. მას შემდეგ, რაც ადგილობრივებმა მოითხოვეს ბოშების დაახლოებით ექვსი ოჯახის (50 სულის) სამუდამო გაძევება, სოფლის საბჭომ ავტობუსები გამოჰყო მათ გასაყვანად. სასტიკი მოვლენების დასრულებისთანავე ოდესის რეგიონის გუბერნატორმა და საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფები და გასამხედროებული კონტიგენტი განათავსა სოფელში მისივე პოლიციის უფროსის პირადი განკარგულებით. (ლორთქიფანიძე რეჟისორობის კურსებს, მიხეილთან ერთად გადიოდა) თუმცა, გუბერნატორის რეაქციის მეორე ელემენტმა უფრო მეტად ჩააგდო საგონებელში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები. ინციდენტის შესახებ ინფორმაციის გასვლისთანავე და ოთხშაბათს გოგონას დაკრძალვის შემდეგ გაკეთებულ კომენტარებში საკაშვილმა ისეთი რამ განაცხადა საჯაროდ, რაც ასეთ დაძაბულ პერიოდში აფეთქებას უფრო გავდა.

„სრულად ვიზიარებ ლოშჩინივკას სოფლის მოსახლეობის აღშფოთებას“ თქვა გუბერნატორმა და დასძინა, რომ სოფელში „სრული განუკითხაობა იყო, ამორალური ბუნაგი და მასიური ნარკოვაჭრობა ყვაოდა. ბოშები ანტი-სოციალურ ელემენტები იყვნენ და ეს პრობლემა ადრევე საფუძვლიანად უნდა აღმოგვეფხვრა. ახლა კი უბრალოდ ვალდებულნი ვართ ეს გავაკეთოთ“.

მოკლედ, მიშა გახდა შიკე, ახალი პოლიტიკური პარტიაც დააფუძნა და ვადამდელ არჩევნებსაც ითხოვს უკრაინაში, ამის შესახებ განცხადება პარასკევს, კიევში გააკეთა შიკეს ახალი უტოპიური გაერთიანების სახელწოდება – „ახალი ძალების პლატფორმა-ა“. ექსპერტი არ ვარ, მაგრამ ყველა პარამეტრით პოლიტიკური გვამები არ ცოცხლდებიან. პოროშენკო უზარმაზარი ქვეყნის პრეზიდენტი ვერ გახდებოდა „უფროსი ძმების“ მხარდაჭერის გარეშე, მათ კი დამარცხებულები და გაბანძებულები არ უყვართ... ასე, რომ შიკემ დროა ისეთი ადგილი მოძებნოს საიდანაც ვერ ამოთხრიან და მშვიდად შეძლებს იქცეს მიწად.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ალექსანდრ პოტიომკინი – ეროვნებით გერმანელი, საქმიანობით – მწერალი და ბიზნესმენი, მოწოდებით – მეგრელი

„საერთო გაზეთში“ (2016,X,№40) გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ ბიზნესმენ ალექსანდრ პოტიომკინთან „მარგალი კოჩი — ალექსანდრ პოტიომკინი“, მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რაზეც მეტყველებს რედაქციაში განხორციელებული უამრავი ზარი და გაზეთის ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნებული ათასობით კომენტარი.

მკითხველთა ფართო წრის ინტერესის გათვალისწინებით გთავაზობთ ალექსანდრ პოტიომკინის ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც რუსულ ინტერნეტ-სივრცეში გამოქვეყნდა.

„რუს მეცნიერებსა და ნაციონალური ბიზნეს-ელიტის წარმომადგენლებს არასოდეს უწერიათ ისეთი მაღალი ლიტერატურა, მწერლებს კი არასოდეს მიუღწევიათ ისეთი წარმატებებისთვის მეცნიერებასა და მეწარმეობაში, როგორსაც მან მიაღწია.

ალექსანდრ პოტიომკინი რამდენადაც ლეგენდარული, იმდენად იდუმალი პიროვნებაა, მოჭარბებული ამბიციები რომ ჰქონოდა, ჩვენთვის თანამედროვეობის საუკეთესო მწერლად, ახალი ეპოქის ნიცშედ იქნებოდა ცნობილი — ასე აფასებენ ალექსანდრე პოტიომკინის მოღვაწეობას ავტორიტეტული ექსპერტები.

ალექსანდრ პოტიომკინი — ფილოსოფოსი, ბიზნესმენი, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი. იგი მრავალი წიგნის ავტორია, რომელთა შორის არის რომანები და მოთხრობები, წიგნები ეკონომიკის შესახებ: „რუსი პაციენტი“, „მანია“, „კაბალა“, „ადამიანი გაუქმებულია“, „განდევნილი“, „უარყოფილი“, „მოთამაშე“, „ელიტური ეკონომიკა“; „ვირტუალური ეკონომიკა“; „ბიუროკრატიული ეკონომიკა“; „საინჟინრო გრაფიკა“; „სამგანზომილებიანი მოდელირება“ და სხვ.

„მე სოხუმში დავიბადე, სამხედრო ტყვეების ბანაკში. დედაჩემი გერმანელია. ის ეგრეთ წოდებულ შრომით არმიაში მსახურობდა სხვა სამხედრო ტყვეებთან ერთად, რომლებიც დანგრეულ ინფრასტრუქტურას აღადგენდნენ საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. როდესაც 1953 წელს დედა შინ, გერმანიაში გაუშვეს, ჩემი წაყვანის ნება არ მისცეს, — ჰყვება ბატონი ალექსანდრ პოტიომკინი. — ბავშვთა სახლში გამგზავნეს. მერე კი მიშვილეს და 17 წლამდე აფხაზეთში ვცხოვრობდი. სკოლის დასრულების შემდეგ ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, მერე კი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გადავედი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ შვიდი წელი „კომსომოლსკაია პრავდაში“ ვიმუშავე. 70-იანი წლების ბოლოს დედამ ჩემი გერმანიაში წაყვანის შესახებ დააყენა საკითხი. მაშინ წითელი ჯვრის დახმარებით ომის შედეგად დანგრეული ბევრი ოჯახი გაერთიანდა“.

კითხვაზე, ბავშვთა სახლში და საბჭოთა გარემოში გაზრდილი ახალგაზრდისთვის როგორი იყო კაპიტალისტურ სამყაროში მოხვედრა, ბატონი პოტიომკინი პასუხობს:

— რა თქმა უნდა, ეს იყო სრულიად სხვა სამყარო. განსხვავება უზარმაზარი იყო. განსაკუთრებით ადამიანთა მენტალობაში და მათ ურთიერთობებში. საბჭოთა კულტურის უდიდესი მიღწევა იყო მსოფლმხედველობა, რომლის თანახმადაც სხვადასხვა ერების ადამიანებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ ვიყავით გლობალური ქვეყანა, რადგან სსრ კავშირი უნიკალური სოციალური პროექტი იყო. რა თქმა უნდა, თავისი მტკივნეული ხარვეზებით, მაგრამ თავისი საბოლოო მიზნით მაინც ეპოქალური. ამჟამინდელი სამყაროც აღიარებს იგივე საყოველთაო აყვავებისა და პროგრესის სოციალურ დოქტრინას, მე კი ძალიან მეპარება ეჭვი მის წარმატებით განხორციელებაში. ჩემი აზრით, დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა ახალი ადამიანის, homo sapiens-ის ახალი ტიპის შექმნა გენური ინჟინერიისა და ნანოტექნოლოგიების საშუალებით.

გერმანიამ ხელგაშლილმა მიმიღო — მათთვის მე უკანასკნელი მსოფლიო ომის მსხვერპლი ვიყავი. ამ სტატუსმა საშუალება მომცა მიმეღო მრავალი სოციალური პრეფერენცია: მაღალი სტიპენდია გოეთეს ინსტიტუტსა და ბონის უნივერსიტეტში. მე კატერგორიულად არ მინდოდა სოციალური შემწეობით მეცხოვრა და დავიწყე სამსახურის ძებნა. გფრ-ში ჟურნალისტად მუშაობა, რომელიც სსრ კავშირთან კონფრონტაციაში იყო, არ შემეძლო, რადგან ეს საკუთარი თავის ღალატი იქნებოდა, მე სხვა გზა ავირჩიე. მე ბავშვობიდან ბევრი რამ ვიცოდი თამბაქოს შესახებ. ადრეული ასაკიდან ბებიასთან (მშვილებელი ოჯახიდან) ერთად დავდიოდი თამბაქოს მინდვრებში და ვკრეფდით ფოთლებს, ვამზადებდი მათ ფერმენტაციისთვის, ანუ გასაშრობად. კარგად ვიცნობდი ბოტანიკურ ჯიშებს, როგორ უნდა მომეკრიფა, რომელი ფოთლები იყო არომატიზებული. ბონის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დავიწყე მუშაობა თამბაქოს მრეწველობაში, მაგრამ მალევე დავიწყე საკუთარი ბიზნესი — დამოუკიდებლად ვყიდულობდი თამბაქოს მოლდავეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში ისეთი უმსხვილესი კომპანიების გერმანიის განყოფილებებისთვის, როგორიცაა British Anerican Tobacco, Philip Morris. ყველაზე ძვირფასი თამბაქო — სამსუნი საქართველოში იზრდებოდა. ეს არის მაღალარომატიზირებული ელიტური თამბაქო, რომელიც დღესაც ყოველთვის შედის თამბაქოს დეკუპაჟში და დელიკატურ გემოს ანიჭებს მას. ერთი კგ სამსუნის ფასი მაშინ სამი დოლარი იყო, ვყიდულობდი ასობით, ათასობით ტონას. ეს იყო ჩემი ბიზნესი.

ჟურნალ Cosmopolitan-ის გერმანულმა ვერსიამ 1987 წელს გამოაქვეყნა ჩემი ფოტო და თან წერდა, რომ აღმოაჩინეს საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი გერმანიაში. გერმანელები გაოცებული იყვნენ ჩემი წარმატებებით და გადაწყვიტეს, რომ ამაში სპეცსამსახურების ხელი ერია. სინამდვილეში კი მე ყველანაირად შემოწმებული ვიყავი. უბრალოდ, აქტიური ადამიანი ყოველთვის ყურადღებას იპყრობს.

— როცა ემიგრაციაში მიდიოდით, დაბრუნებას, ალბათ, არ აპირებდით?

— ემიგრანტი არასოდეს ვყოფილვარ. მე დედის გამო წავედი გერმანიაში. ამ სიტუაციაში კანონი უფლებას მაძლევდა ორმაგი მოქალაქეობა შემენარჩუნებინა. მხოლოდ ერთი რამ მევალებოდა: კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, უნდა მევლო პოლიტმეცადინეობებზე, რომელიც საელჩოში იმართებოდა. მე პატიოსნად ვასრულებდი ამ მოთხოვნას, რამაც მოგვიანებით ძალიან დიდი დახმარება გამიწია. მე კეთილსაიმედო ადამიანთა სიაში აღმოვჩნდი ბონის საელჩოში, სადაც მიმიწვიეს და შემომთავაზეს რაისა გორბაჩოვას პირად პროექტში მონაწილეობის მიღება. მას საბჭოთა კავშირში ჟურნალ Burda Moden-ის გამოცემა სურდა.

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რას აკეთებდით?

— მე მქონდა თამბაქოს ქარხნები უკრაინაში, რომლებიც დღესაც მუშაობს. დავიწყე ბიზნესის ისეთი სახეობის ათვისება, როგორიც უბაჟო ვაჭრობაა. ეს ნიშა რუსეთში სრულიად თავისუფალი იყო, შერემეტიევოშიც კი არ იყო მაღაზიები. მე დავიწყე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების მშენებლობა ჩრდილო-დასავლეთში.

— თქვენ მაღალი რანგის ჩინოვნიკი, უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესმენი და ცნობილი ლიტერატორი ბრძანდებით. რა უფრო ახლობელია თქვენთვის. როგორ ისურვებდით, რომ წარედგინეთ საზოგადოების წინაშე?

— მე ყმაწვილობიდან გამოკვეთილი მქონდა შეგრძნება, რომ ჩემი მოწოდება, სადაც თავს კარგად ვიგრძნობ — ლიტერატურაა. მაინტერესებს ეკონომიკაც, მეცნიერებაც და ბიზნესიც, მაგრამ მთავარი, ჩემთვის ყველაზე ახლობელი, ყოველთვის მწერლობა იყო. ამიტომ, როცა საგადასახადო სამსახურიდან წავედი, ლიტერატურით დავკავდი.

მიხარია, რომ შემიძლია საყვარელი საქმე ვაკეთო. როდესაც წერ, შენ აღფრთოვანებას განიცდი. ალბათ, დრო მოვიდა. ახლა უკვე აღარ გავრვბივარ პლაჟზე გოგონების გასაცნობად.

— თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ძალიან დაკავებუ-

ლი ადამიანი ხართ, ნაყოფიერი მწერალიც ბრანდებით. სად პოულობთ ამდენ დროს, თუ ძალიან სწრაფად წერთ?

– სწრაფად ვწერ? იძულებული ვარ, რადგან დრო არასოდეს მყოფნის. მაგალითად, რომანი „კაბალა“ მატარებელში დავწერე ჩინეთისკენ რომ მივემგზავრებოდი, მერე უკანა გზაზეც. ჩინეთში სამი მგზავრობა და რომანი მზად იყო. ბოლო 12 წლის განმავლობაში თვითმფრინავით აღარ დავფრინავ.

– **რატომ?**

– მე ამას სექსუალური თამაშების შედეგს ვუწოდებ. პატარაობისას, ხუთი წლის ასაკში, როდესაც ბავშვთა სახლში მოვხვდი, პირველი ეროტიკული გამოცდილება მივიღე. მე და ერთი გოგონა ექიმობანას ვთამაშობდით, თავიდან მე ვმკურნალობდი მას, მერე ის და, როცა ყურში ნემსი გამიკეთა, მარცხენა მემბრანა დამიზიანა. დროთა განმავლობაში განმივითარდა დაავადება, რომელსაც ვესტიბულარული აპარატის მოშლა ჰქვია. ამის გამო ვერ ვიტან სიმაღლეს, მაშინვე თავბრუსხვევა მეწყება.

– **ალექსანდრ პეტროვიჩ, ევროპის უდიდესმა გამომცემლობამ Hachette-მა შემოგთავაზათ ექსკლუზიური ხელშეკრულება ყველა თქვენი ნაწარმოების მსოფლიოში გამოცემასთან დაკავშირებით, გარდა ბულგარეთისა და რუსეთისა, სადაც უკვე სხვა გამომცემლობებთან თანამშრომლობთ. ისინი წარმოგადგენენ პარიზის წიგნის ბაზრობაზე. ბუნინის შემდეგ თქვენ ხართ პირველი, ვისაც ამგვარი ხელშეკრულება შესთავაზეს. ამასთან, რუსეთში თვლიან, რომ თქვენ ყველასთვის არ წერთ. რა, ჩვენი მკითხველი სხვაზე ბრიყვია?**

– რომ მდომებოდა სახელი და საყოველთაო ცნობადობა, სარეკლამო კამპანიას გავაჩაღებდი და წიგნების რეალიზაციაც გაიზრდებოდა. მე მეწარმე ვარ და ეს საქმე კარგად ვიცი. მაგრამ არ მინდა ფული დავხარჯო, რათა მწერლის სახელი შევიქმნა. მესმის, რომ დღეს ბევრ რუსს არ შეუძლია ლიტერატურის კითხვა, ისინი გადარჩენის რეჟიმში ცხოვრობენ და ამიტომ მკითხველთა ფართო წრისთვის არ ვწერ. მე თანამოსაუბრეს ვეძებ. რუსული პრესა და მწერლობა ზევიდან მიყურებს. მწერლებს შორის ნაცნობები არ მყავს და ლიტერატურულ შეხვედრებზეც არ დავდივარ.

– **ჩემი აზრით, რუსეთში დღეს მთელი საზოგადოების ინტელექტუალური კულტურის უარყოფა მიმდინარეობს**

– ადამიანს მხოლოდ ლიტერატურის საშუალებით შეუძლია გაიმდიდროს საკუთარი თავი. თუ ადამიანს დაბალი ინტელექტი აქვს, იგი სწორად ვერ აღიქვამს ამჟამინდელ რთულ სამყაროს და მისი მართვა ადვილია. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი საზოგადოება დღეისასთვის სექსით არის დაავადებული. რა ხდება, როდესაც ინტელექტუალური ენერგია სექსუალურ ენერგიად გარდაიქმნება? ადამიანი იცლება და იგი უკვე არაფრისთვის ვარგა. მას არ აინტერესებს ლიტერატურა, მუსიკა, ფილოსოფია, მეცნიერება, არ აინტერესებს შემოქმედებითი მუშაობა, პრინციპში, იგი ხდება გამოყენებითი საზოგადოების პროდუქტი. ეკონომიკას ინტელექტუალები არ სჭირდება, იმისათვის, რომ თანამედროვე ეკონომიკამ ეფექტურად იმუშაოს, მომხმარებელი სჭირდება. აი, რატომ მიტაცებს ახალი ადამიანის შექმნის იდეა.

– **თქვენი რომანები უფრო ფილოსოფიურია. მათში საუბარია ადამიანის სრულყოფის იდეასა და ცხოვრების აზრის ძიების შესახებ.**

– ეს ჩემს სამეცნიერო მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. რამდენიმე წლის წინათ ბაზარზე გამოჩნდა ვენტერ კრეიგის ინსტიტუტში შემუშავებული აპარატი, რომელსაც დნმ-ის სინთეზი შეუძლია. ახალი ტექნოლოგიების დახმარებით, უბრალოდ რომ ვთქვათ, შესაძლებელი ხდება ატომების შეკრება, მოლეკულების შეწებება და უჯრედების გაყოფა. ახლა ამ მიმართულებით ვმუშაობ, ვქმნი ატომების შეკრების ტექნოლოგიას. 30-40 წლის შემდეგ კაცობრიობას ბევრი რამის გაკეთება შეეძლება. გაჩნდება დანადგარები, რომლებსაც შეეძლებათ ახალი ბიოლოგიური არსებების შექმნა. ახლა ვმუშაობთ იმაზე, რომ სინთეზატორის დახმარებით დაწყებით დონეზე შევცვალოთ მომავალი ემბრიონის ინტელექტუალური პოტენციალი.

ანი გაუქმებულიას“ შესახებ ალექსანდრ პროხანოვი წერდა: „იგი ჯვარს უსვამს ადამიანს და სოციუმს. ალექსანდრ პოტიომკინი ამბობს, რომ კაცობრიობა უნდა განიწმინდოს და მის ადგილზე უნდა აღმოცენდეს რაღაც სუპერმანქანები და ზეგმირები“.

– სიმართლე გითხრათ, მე ნაკლებად მჯერა კარგი მომავლის. ამჟამად არსებული გლობალური კრიზისებიდან ყველაზე მეტად უმთავრესი, ანთროპოლოგიური კრიზისი მაღელვებს, თავად ადამიანის ბუნების კრიზისი. წარსულში დაბრუნება შეუძლებელია დედამიწის ამჟამინდელი შვიდმილიარდიანი მოსახლეობით. ერთადერთი გამოსავალი ადამიანის გენეტიკური მოდიფიცირებაა და რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესი!

– **ამ ახალი ბიოლოგიური არსებების სინთეზირება ხომ ადამიანის ბაზაზე მოხდება. ესე იგი თქვენ, უბრალოდ, სუპერმენს ქმნით. მის ნაცვლად ფრანკენშტეინი რომ გამოვიდეს?**

– როცა დნმ-ის დონეზე მუშაობ, წინასწარ შეიძლება საბოლოო პროდუქტის განჭვრეტა და პროექტირება. მეჩვენება, რომ საუბარი ჩვენს წარმოდგენაში არსებულ ადამიანს არ ეხება. ეს რაღაც სულ სხვა იქნება. როგორ ვხედავ მომავალს? ადამიანი სულაც არ არის სრულყოფილი არსება. ის მალე გადაშენდება. რატომ? იმიტომ, რომ იმ სახით, როგორიც ის დღეს არის, მისი მომავალი განვითარება შეუძლებელია. ჩვენ ვამბობთ, რომ კოსმოსს ვიპყრობთ, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ ვიპყრობთ. უბრალოდ, დედამიწის ახლომდებარე ორბიტაზე გავდივართ. იმისათვის, რომ ადამიანი ნამდვილად გავიდეს კოსმოსში, ის ბიოლოგიურად უნდა შეიცვალოს. მას სრულიად სხვა გარსი უნდა ჰქონდეს. ვგულისხმობ არა რაკეტას, არამედ თავად არსებას. ჩვენ უკან, სამყაროში დაბრუნების გზას უნდა დავადგეთ. ხოლო იმ ბიომასით დაბრუნება, რომლისგანაც ჩვენ შევდგებით, შეუძლებელია – ჩვენ ხომ იმ სხეულის მფლობელები ვართ, რომელიც ექვს გრადუსზე სიცივისგან კვდება, ხოლო 50 გრადუსზე – სიცხის გამო. მოდით, ახალი ადამიანი შევქმნათ. ბიოსამყაროში უამრავი სამშენებლო მასალაა. მისი საშუალებით შეიძლება უფრო მდგრადი არსების შექმნა, რომელსაც შეეძლება ცურვა, ფრენა, ატმოსფეროს გარეთ არსებობა და სრულიად განსხვავებული ტემპერატურის რეჟიმის ატანა. დარწმუნებული ვარ, რომ კაცობრიობა ცხოვრების ამგვარ ფინალთან ან დასაწყისთან მივა.

ფრაგმენტები ინტერვიუდან „Who is mr. Potemkin“, ჟურნ. „Элита общества“

მოამზადა
ბელა გველესიანმა

რედაქციისაგან:

ბატონო ალექსანდრე, პირველ ყოვლისა, კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული თქვენი ინტერვიუს შემდეგ თქვენ ერთბაშად ყველაზე პოპულარული და საყვარელი ადამიანი გახდით სამეგრელოში.

თქვენ მთელ მსოფლიოშო პოპულარული ადამიანი ხართ, მაგრამ ის განსაკუთრებული სითბო და სიყვარული, რითაც სამეგრელომ გიპასუხათ, შეიძლება სხვაგან ვერ იგრძნოთ.

უამრავი ადამიანი გვირეკავს და გვთხოვს, გადმოგცეთ უდიდესი მადლობა იმ უანგარო და გულწრფელი სიყვარულის გამო, რაც თქვენ სამეგრელოს მისამართით გამოამჟღავნეთ ჩვენი გაზეთის მე-40 ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

ასევე ათასობით გამოხმაურება აქვს ჩვენს საიტზე განთავსებულ ამ მასალის ელექტრონულ ვერსიას და აქაც დიდ მადლობას გიხდიან, გლოცავენ, გეფერებიან.

ალექსანდრ პოტიომკინი – ეროვნებით გერმანელი, საქმიანობით – მწერალი და ბიზნესმენი, მოწოდებით – მეგრელი. – აი, ასეთია ბატონი ალექსანდრე, უაღრესად ნიჭიერი და მრავალმხრივი ინტერესების ადამიანი.

ჩვენს მკითხველებს ვპირდებით, რომ „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე კიდევ ბევრჯერ შეხვდებით ბატონ ალექსანდრე პოტიომკინს, საქართველოს ერთგულ მეგობარს და გულშემატკივარს.

ვახტანგ ხარჩილავა
„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი

„ამერიკული ოცნება მკვდარია, მაგრამ მე მას მკვდრეთით ალვადგენ“

ერთხელ ამერიკაში გაიმარჯვა უმრავლესობამ უმცირესობის მიერ დემოკრატიის სახელით თავსმოხვეულ ძალადობაზე...

თუ ტრამპი მართლაცდა ასეთი საძაგელი კაცია თავისი გამოვლინებებით: სექსისტი, რასისტი, ანტისემიტისტი და ა.შ რატომ დაუჭირა მხარი აშშ-ს მოსახლეობამ, იმავე აფროამერიკელებმა, მექსიკელებმა, სხვებმა და სხვებმა?

იმიტომ, რომ ტრამპი ამერიკელ ხალხს პირდება: უარს იტყვის იმ საგარეო პოლიტიკური კურსის გაგრძელებაზე, რომელმაც ამერიკა თითქმის გაბანკროტებამდე მიიყვანა.

მას შემდეგ, რაც ამერიკის კონტინენტის აბორიგენი მოსახლეობის თავის ქალებზე აშშ შეიქმნა, მათ მიერ ჩადენილ ყველა ბოროტებას რა ჩამოთვლის, მაგრამ მოკლე ჩამონათვალის გახსენებაც საკმარისია ტრამპის პოზიციების გასამყარებლად:

1776 წელს აშშ-ის დამოუკიდებლობისთვის დაწყებული პირველი ომი 1783 წელს დამთავრდა, მაგრამ დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად საჭირო იყო მეორე ომი (1812-1815წწ), პარალელურად ადგილობრივ მოსახლოებასთან, ინდიელებთან და აჯანყებულ მონებთან ანგარიშის გასწორება – 1800 წელს ათასამდე აჯანყებული მონა ჩამოაღრჩვეს ვირჯინიაში, ამ დროს მონებს ერთი კაციც არ მოუკლავთ...

1833 წელს აშშ-ის არგენტინაში შეჭრიდან დაწყებული, დღემდე არ დასრულებულა აშშ-ის შეჭრა სხვადასხვა მიზეზითა და მოტივით სხვადასხვა ქვეყნებში სამხედრო ოპერაციები, ინტერვენციები თუ სხვა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ჩარევები დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის სახელით, რასაც თან ათასობით უდანაშაულო ადამიანის სისხლი სდევს.

აშშ ერთმანეთის მიყოლებითა და არაერთგზის შეჭრა ქვეყნებში: არგენტინა, მექსიკა, პერუ, ფიჯი, ჩინეთი, ახალი გრენადა (კოლუმბია); ინდოჩინეთის საარტილერიო დაბომბვა... ვეფხვის კუნძულის ოკუპირება, შეჭრა ურუგვაიში, პანამაში პანამის ყელის ხელში ჩასაგდებად; თავდასხმა იაპონიის ნავსადგურზე და შეჭრა ანგოლაში; არაპროვოცირებული თავდასხმა მექსიკაზე, სადამსჯელო ექსპედიცია ჩინეთში, თავდასხმა მიდვეის კუნძულებზე; მრავალგზის შეჭრა იაპონიაში, ურუგვაისა და კოლუმბიაში; ჯარების შეყვანა ჩინეთსა და ჰავაის კუნძულებზე, შეჭრა მექსიკაში, თავდასხმა სამოას კუნძულებზე, ჯარების შეყვანა ეგვიპტეში, თავდასხმა კორეაზე.

ამერიკის პრეზიდენტმა უილიამ მაკ-კინლიმ განაცხადა, რომ ელაპარაკა ღმერთს, რომელიც შუაღამისას თეთრი სახლის ერთ-ერთ დერეფანში მიდიოდა და მან უბრძანა, ხელთ ეგდო ფილიპინის კუნძულები რათა გაექრისტიანებინა ისინი – დაიხოცა 600 000 ფილიპინელი.

1945 წელი – ორი ატომური ბომბის ჩამოგდება უკვე დამარცხებულ იაპონიაში, რის შედეგადაც დაიღუპა 200 000-მდე ადამიანი (ზოგი მონაცემით ნახევარ მილიონამდე), ხოლო ოკუპაციის შემდეგ მილიონობით ადამიანი...

აშშ-ის შურისძიება იუგოსლავიაში 1946 წელს; ჩინეთის დაბომბვა 1946-1949 წლებში; იტალიის პროამერიკული ძალების დაფინანსება არჩევნების დროს, არჩევნების შედეგების გაყალბება და მასობრივი მკვლელობები პოლიტიკური ნიშნით ცსს-ის მიერ; იგივე ქმედებები და სამხედრო მხარდაჭერა საფრანგეთში, რასაც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა მოჰყვა (1947-1949წწ); იმავე წლებში საბერძნეთი – აშშ-ის ჯარები მონაწილეობენ სამოქალაქო ომში და მხარს უჭერენ ფაშისტებს; საომარი მოქმედებები ფილიპინებზე, დაიღუპა ათასობით ფილიპინელი და აშშ-მა პრეზიდენტად დასვა დიქტატორი მარკოსი; ისევ პერუ, ნიკარაგუა – სწორედ მაშინ თქვა პრეზიდენტმა რუზველტმა დიქტატორ ანასტასიო სომოსაზე „შეიძლება იგი ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია“;

კოსტა-რიკა, ალბანეთი, კორეა (1950-1953 წწ) – მილიონამდე ამერიკელი ჯარისკაცის შეიარაღებული ინტერვენცია და ასობით ათასი კორეელის დაღუპვა. მხოლოდ 2000 წელს გახდა ცნობილი ათობით ათასი პოლიტპატიმრის მკვლელობის ფაქტი და ის, რომ ამერიკელები კორეაში აქტიურად იყენებდნენ ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს;

ვიეტნამი, ბრიტანული გაიანა, ირანი, გვატემალა – პრეზიდენტმა ბილ ქლინტონმა აღიარა, რომ ვაშინგტონი არაერთხელ ერეოდა გვატემალას შიდა საქმეებში და სამოქალაქო ომში 200 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ეს ყველაფერი მეორდებოდა და მეორდებოდა.

1982 წელი – გვატემალა. აშშ ეხმარება გენერალ ეფრაინ რიოს მონტს ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. შედეგად, 17 თვის განმავლობაში ინდიელთა 400 სოფელი განადგურდა.

1983 წელი – გრენადა. იმ მოტივით, რომ თითქოსდა კუნძულზე 1200 კუბელი კომანდოსი იმყოფებოდა აშშ-მა გრენადაში შეჭრის გადაწყვეტილება მიიღო და ასობით ადამიანი იმსხვერპლა. მალევე გაირკვა, რომ კუნძულზე კუბელთა საერთო რაოდენობა 200 კაციც არ იყო და მათგან მესამედი სამოქალაქო სპეციალისტი იყო. როდესაც გაერო-ს ასამბლეამ დაგმო მომხდარი რეიგანმა ასე შეაფასა: „მან (ინფორმაციამ) ჩემი საუზმეც კი არ დააბრკოლა“...

1983 წელი – ანგოლა. 1984 წელი – ნიკარაგუა. 1985 წელი – ჩადი. აშშ-ის მხარდაჭერილი პრეზიდენტ ჰაბრეს რეპრესიული რეჟიმი აქტიურად იყენებდა წამების საშინელ მეთოდებს. რეჟიმის სწავლებას და დაფინანსებას აშშ უზრუნველჰყოფდა.

1985 წელი – ჰონდურასი. აშშ ნიკარაგუელი კონტრასების დახმარებით აგზავნიდა სამხედრო მრჩევლებს და ადამიანის წამების სპეციალისტებს, რომელთაც სახელი გაითქვეს არაადამიანური დაუნდობლობით.

1986 წელი – ლიბია. აშშ-მა დაბომბა ტრიპოლი და ბენღაზი, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა.

1986 წელი – კოლუმბია. „ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად“ დევიზის ქვეშ აშშ რეალურად მხარს უჭერდა პროამერიკულ რეჟიმს. აშშ-მა კოლუმბიას მასობრივად გადასცა სამხედრო ტექნიკა მას შემდეგ, რაც კოლუმბიის მთავრობამ ერთგულება დაუმტკიცა „სოციალური წმენდით“. „წმენდისას“ არაადამიანურად აწამებდნენ დაკავებულებს. „წმენდის“ ნახევარწლიან პერიოდში მოკლეს 3000-ზე მეტი ადამიანი, რის შემდეგაც აშშ-მა გამოაცხადა, რომ ჩამოყალიბდა „დემოკრატიული მმართველობის ფორმა და არ არღვევს

ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს“... 1988-1992 წლებში პოლიტიკური მოტივით მოკლეს 9500 ადამიანი, ამ რიცხვში არ შედის 313 მოკლული გლეხი და 830 დაკარგულად ჩათვლილი პოლიტაქტივისტი. მომდევნო ორ წელში პოლიტიკური ნიშნით მოკლულთა რიცხვი 2000-მდე გახდა.

1988 წელი – თურქეთი, ქვეყნის პროამერიკულად განწყობილი მთავრობის სამხედრო მხარდაჭერა უკმაყოფილო ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი რეპრესიების დროს, როდესაც ფართოდ გამოიყენებოდა წამება ბავშვების ჩათვლით და დახოცეს ათასობით ადამიანი. შედეგად, თურქეთი აშშ-ის ფინანსურად მხარდაჭერილ ქვეყნებს შორის მესამე ადგილზე აღმოჩნდა. თურქეთი შეიარაღების 80%-ს აშშ-იდან ყიდულობდა და ქვეყნის ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზები განლაგდა. 1995 წელს დაიწყო კამპანია ქურთი უმცირესობის წინააღმდეგ, განადგურდა 3500 სოფელი, საცხოვრებელი ადგილიდან აიყარა 3 მლნ ადამიანი და ათი ათასობით ჩახოცეს. ამ ფაქტებს,

ცხადია, არ შეუწუხებია აშშ და არც მსოფლიო თანამეგობრობა...

1989 წლი – პანამა. აშშ-ის შეიარაღებული ინტერვენცია პანამაში. პრეზიდენტ ნორიეგას გამოკეტვა ამერიკულ ციხეში. დაიღუპა ათასობით პანამელი, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში მათი რიცხვი 560-მდე შემცირდა. გაერო-მ დაგმო ეს ოკუპაცია, აშშ-მა ვეტო დაადო, სსრკ არ ჩაერია საქმეში, უკვე დაწყებული იყო „პერესტროკის“ დათმობის კურსი.

1989 წელი – რუმინეთი. 1990 წელი – გვატემალა. აშშ სამხედრო მხარდაჭერას უცხადებს გვატემალის პროამერიკულ მთავრობას „კომუნიზმთან ბრძოლის“ საქმეში რაც გამოიხატა მასობრივ მკვლელობებში. სამხედრო შეტაკებებს 200 000 ადამიანი შეეწირა, განადგურდა 440-ზე მეტი სოფელი, ათი ათასობით მოქალაქე გადაიხვეწა მექსიკაში, მილიონზე მეტი ლტოლვილი მოქალაქე საკუთრივ ქვეყანას დარჩა, ღარიბთა რაოდენობამ მოსახლეობის 75% შეადგინა. ათი ათასობით ადამიანი შიმშილით გარდაიცვალა; გაიხსნა ბავშვთა აღზრდის „ფერმები“, რომელთა ორგანოები ამერიკის და ისრაელის მდიდარ მოქალაქეებზე იყიდებოდა...

1991 წელი – ერაყი. აშშ-მა წამოიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია ერაყის წინააღმდეგ რომლის დროსაც დაიღუპა მინიმუმ 150 000 მშვიდობიანი მოქალაქე. მშვიდობიანი ობიექტების მიზანმიმართული დაბობვა ერაყის მოსახლეობის დასაშინებლად ხორციელდებოდა – მეტი არაფერი...

ქუვეითი, სომალის ოკუპაცია – შეიარაღებული ძალადობა მშვიდობიან მოსახლეობაზე, რომლის დროსაც რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპა;

ანგოლა – ნავთობისა და დანამატების ინტერესის გამო აშშ-ის დაფინანსებულმა და იარაღით აღჭურვილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა არჩევნები მაინც წააგო და... დაიღუპა 650 000 ადამიანი. როდესაც აშშ-მა თავისი მიიღო, საომარი მოქმედებების შეწყვეტა მოსთხოვა „ფავორიტს“, მაგრამ უარი მიიღო. ამ დროს ითქვა ამერიკელი დიპლომატის მიერ ცნობილი ფრაზა „თოჯინების პრობლემა ის არის, რომ ისინი ყოველთვის არ რეაგირებენ, როცა ძაფს მოქაჩავენ“...

1993-1996 წლები – ბოსნია, სერბების დაბომბვები;

1994-1996 წლები – ერაყი – შიმშილითა და დაავადებებით იღუპებოდნენ მშვიდობიანი მოქალაქეები, არ წყდებოდა დაბომბვები, ტერაქტებს უწყობდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, რათა უკმაყოფილება გაძლიერებულიყო სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ.

ჰაიტი, რუანდა – ცსს-ის აგენტ ჯონას სავიმბას ხელმძღვანელობით 800 000-მდე რუანდელს ყელი გამოჭრეს (საუბარია ხუტუს ხალხის ამოწყვეტაზე). რუანდის არმია აშშ-ის სახსრებით არსებობდა და ამერიკული ინსტრუქტორების მიერ იწვრთნებოდა.

1995 წელი, ისევ მექსიკა, შემდეგ ხორვატია, 6000 ათასი დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქე ისევ რუანდაში; კონგო, სუდანი...

1998 წელი – საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებით, გაეროსა და უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, ნატო-ს ძალების გამოყენებით აშშ-მა დაიწყო იუგოსლავიის სუვერენული სახელმწიფოს 78-დღიანი საჰაერო დაბომბვა. 32 000 საბრძოლო გაფრენის დროს გამოყენებული იყო 21 000 ტონა ბომბები, რაც ჰიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ბომბის სიმძლავრეს ოთხჯერ აღემატება...

გადატრიალება ბელგრადში და ამერიკელების საძულველი მილოშევიჩის ჩამოგდება; სერბების წინააღმდეგ თავიანთივე გაწვრთნილი ალბანელი ტერორისტების დევნა მაკედონიაში, სახალხო მღელვარების შიშით ისევ ჯარების შეყვანა ფილიპინებში, ვენესუელა...

2003 წელი – ისევ ფილიპინები, ერაყი, ლიბერია, სირია, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში, ისევ ჯარების შეყვანა ჰაიტზე, პროამერიკული სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში, ლიბიის დაბომბვები...

ტრამპის „ფრთიანი“ ფრაზებიდან ერთ-ერთია „აშშ-მა თავისთან ელ ჩაპო დაპატიჟა, მექსიკიდან გამოქცეული ნარკობარონი და მას შესთავაზა აშშ-ის მოქალაქე გამხდარიყო. ეს იმიტომ, რომ ჩვენმა ლიდერებმა არ იციან „არა-ს“ თქმა.

სხვათაშორის, ტრამპი ის ერთადერთთაგანია, ვინც გაბედა და ჯონ მაკ კეინს გაუბედა სიმართლის მიხლა, (ამის შესახებ „საერთო გაზეთი“ წერდა): „მაკკეინი ომის გმირი არ არის. ის გმირად ითვლება იმიტომ, რომ ტყვედ იყო. მე უპირატესობას ვანიჭებ ადამიანებს, რომლებიც ტყვედ არ ჩავარდნილან“. ამ ფრაზებით რისი თქმა უნდოდა ტრამს, ცხადია, მიხვდება ის, ვისაც „ჯეკ მაუსის“ (ჯონ მაკკეინის) „საბრძოლო ისტორიისთვის“ გვერდზე მაინც თუ ჩაუვლია, პუტინი კი, არაფერ შუაშია, მხოლოდ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე „კგბშნიკია“...

„ამერიკული ოცნება მკვდარია, მაგრამ მე მას მკვდრეთით აღვადგენ!“ – ეს დონალდ ტრამპის სიტყვებია. ჩვენ ჩვენი „ქართული ოცნების“ მკვდრეთით აღდგენა გაგვჭირვებია და ნეტავ, „ამერიკული ოცნების“ მკვდრეთით აღდგომა არ დაგვეხმარება რამენაირად, რომ ჩვენი „ქართული ოცნებაც“ გავაცოცხლოთ?

უცნაური კაცი რომ არის ბატონი დონალდ ტრამპი, არა ერთხელ გამოავლინა, მაგრამ ერთი თუ იკითხა ვინმემ, განა რა არ მოსწონს ასეთი ამ კაცს ამ ამერიკისგან, რატომ უპირებს შეძლებისდაგვარად გადაკეთებასო?

სტუდია „ძIM-მა“ გაავრცელა საინტერესო სტატისტიკური მონაცემები „ნიღაბჩამოხსნილი სახე“, რომელსაც არავინ ამხელს საქვეყნოდ:

აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა მსჯავრდებულთა პროცენტული მონაცემებით. აშშ-ის ციხეებში განსაკუთრებული ბრძანებით დაშვებულია ცემაც. აშშ-ში ადამიანის სიკვდილით დასჯაც მოქმედებს და ის ვრცელდება არასრულწლოვანებზეც. გასული ათი წლის მანძილზე მსოფლიოში არასრულწლოვან სიკვდილმისჯილთა 2/3 აშშ-ზე მოდის. ცნობისათვის, აშშ-ში მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 5% ცხოვრობს, თუმცა სერიული მკვლელების 74% სწორედ აშშ-ში მცხოვრებია.

აშშ პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში ნარკომანებისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობით; აშშ რეკორდსმენია ბავშვთა ძალადობაში. გასული ათი წლის მანძილზე აშშ-ში გარდაიცვალა 4-ჯერ მეტი ბავშვი, ვიდრე ჯარისკაცი ავღანეთსა და ერაყში; ბავშვთა გარდაცვალების 78% გამოწვეულია ბავშვებთან გულცივი დამოკიდებულების გამო. ყოველი მე-5 ამერიკელი დაავადებულია ფსიქიურად.

აშშ პირველ ადგილზეა როგორც სამშობლო გენმოდიფიცირებული საკვებისა. იგი პირველობას არავის უთმობს გენმოდიფიცირებული კომპონენტებით შექმნილი საკვების წარმოებასა და იმპორტს რის გამოც თვით ამერიკელებიც იტანჯებიან გასუქებით;

აშშ პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში იმ დროშების დაწვის რიცხვით, რომელსაც წვავენ დემონსტრანტები მსოფლიოში.

ეგებ, ამ კაცს, დონალდ ტრამპს, სამართლიანად არ მოსწონს ბევრი რამ და სწორედ „ამერიკული ოცნების“ ახდენა აქვს მიზნად ევროპული კორექტირებებით?

საქმე იმაშია, რომ დონალდ ტრამპი სრულებითაც არ არის ტრამპი, ის დრამფია. მისმა გერმანელმა ბაბუამ საკუთარი გვარის „ამერიკულად გაკეთილშობილებაზე“ აშშ-ში ჩასვლისთანავე იზრუნა და დრამფი ტრამპად შეცვალა. ტრამპების ოჯახი 1885 წლიდან ცხოვრობს აშშ-ში, ვერავინ მოედავება...

აი ასეთ ამერიკაზე ღქვეს უარი დონალდ ტრამპმა და მისმა მხარდამჭერებმა.

წარმატებები ვუსურვოთ მათ.

გიორგი ჩხეიძე

SOS! საქართველოში ტრანსნაციონალური კრიმინალური დაჯგუფებების მომრავლება და გააქტიურებაა მოსალოდნელი

ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში მომხდარმა სისხლიანმა ინციდენტმა, რომლის დროსაც ჩინური კომპანიის („23-ე ბიურო“) წარმომადგენლები სასტიკად გაუსწორდნენ ქართველ მუშებს, როგორც იქნა გამოაფხიზლა ხელისუფლება და საზოგადოება. დაპირისპირების მიზეზი ადგილობრივების მიერ ტყეპარკში შეშის მოჭრა გახდა. როგორც ირკვევა, ეს ხსენებული კომპანიის ხელმძღვანელობასა, რომელიც რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობას აწარმოებს და ქართველებს შორის დაპირისპირების პირველი შემთხვევა არ ყოფილა, თუმცა მანამდე საქმე „სისხლისღვრამდე“ არ მისულა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ იმ ე.წ. დამსაქმებლის წარმომადგენლები, ადგილობრივ მუშახელს, რომელსაც ჩინეთიდან „იმპორტირებულებზე“ გაცილებით მეტ ხელფასს უხდის, ნაჯახითა და რკინის ხელკეტებით დაერივნენ და სისხლი ადინეს. გაფიცულმა ქართველებმა რამდენიმე დღიანი პროტესტის შემდეგ კი მიაღწიეს კომპანიის მენეჯმენტის შეცვლას, მაგრამ რა მოხდება მომავალში, არავინ იცის. როდესაც საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა უმუშევარია და ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთშია გადახვეწილი, რატომღაც უცხოელებისთვის საქართველოში დასაქმება, დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. სხვათა შორის, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ეკონომისტი დავით გაგნიძე თავის ადრინდელ ინტერვიუებში ლარის კურსის მკვეთრ დაცემას, საქართველოდან დიდი ოდენობით მყარი ვალუტის გადინებასაც უკავშირებდა. ვალუტის გადინება მარტო იმპორტზე არ არის დამოკიდებული, უამრავი უცხოელია საქართველოში დასაქმებული, რომელთაც ხელფასს დოლარსა თუ ევროში უხდიანო.

დავით გაგნიძე: „თითქოს ჩვენ არ გვყავდეს სპეციალისტები, ყველა სახელმწიფო დაკვეთას რატომღაც უცხოური კომპანიები ასრულებენ, რომლებსაც მუშახელიც თავიანთი ქვეყნებიდან შემოყავთ. უცხოელებმა თუ როგორღაც დაიქირავეს ადგილობრივები, მათ კაპიკებს უხდიან, თავიანთ ხალხზე კი უზარმაზარ ხელფასებს გასცემენ. მავანნი ადგილობრივ ფირმებს ფაქტობრივად, მუშაობის საშუალებას არ აძლევენ, რომ მათ ჩვენი ხალხი დაასაქმეონ და ხელფასი ლარში გადაუხადონ. უცხოელები შესრულებული სამუშაოს მოცულობას და ღირებულებას სპეციალურად ზრდიან, ნაკლებ მოგებას აჩვენებენ, რომ რაც შეიძლება მეტად ისარგებლონ ჩვენს ხარჯზე. მათ ხელისუფლებიდან რომ არ ლობირებდნენ, ამას ვერავინ გაბედავდა. ჩაატარონ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს რევიზია იქნება თუ მონიტორინგი, შეამოწმონ რამდენად რეალურია მათი ხარჯთაღრიცხვა და შესრულებული სამუშაოს ხარისხი, როცა ამას არ აკეთებენ, ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლებიდან ვიღაც ლობირებს უცხოურ ფირმებს, მათთან წილშია. ფაქტია, უცხოელებს სასათბურე პირობებს უქმნიან, ადგილობრივებს კი ახრჩობენ. თუ სახელმწიფო დაკვეთა რომელიმე ადგილობრივმა კომპანიამ მიიღო, ისიც ხელისუფლების წარმომადგენლებთანაა დაკავშირებული. ჩვენს კომპანიებთან დარღვევის შემთხვევაშიც არ მაქვს დიდი პრეტენზია, ადგილობრივებს მაინც ასაქმებენ, უცხოელებს რატომ აშოვნინებენ უკანონოდ ფულს ბიუჯეტის ხარჯზე? ინვესტიციების შემოსვლას რა ჯობია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თაღლითებთან გვაქვს საქმე. ასე იყო ნაციონალების მმართველობისას და დღესაც იგივე გრძელდება, თუმცა რა შეიცვლებოდა, როცა ყველგან ისევ ნაციონალები არიან“.

რესპოდენტის განცხადებით, საქართველოში უცხოელების ინტენსიური შემოდინება, გარდა იმისა, რომ ადგილობრივებს უქმნის პრობლემას, სხვა მხრივაც ძალზე სახიფათოა. ეკონომიკური ქაოსის დროს და მით უმეტეს, მაშინ, როცა ქვეყანა იძენს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციას, მის ტერიტორიაზე თურმე ეთნიკურ-კრიმინალური დაჯგუფებების შექმნა იწყება, ბუნებრივი პროცესი ყოფილა, რადგან, როგორც წესი, ეს დაჯგუფებები იქ მიდიან, სადაც დიდი ფულის შოვნა შეიძლება.

დავით გაგნიძე: „ეს პრობლემა მარტო საქართველოს კი არა, მთელ მსოფლიოს აწუხებს, მაგალითად, რუსეთში ჩინურის გარდა, უკვე ნიგერიული და ვიეტნამური დაჯგუფებების პრობლემა აქვთ. ახლახანს გრიპის საწინააღმდეგო ვიეტნამური მალამოს რეკლამას მოვკარი თვალი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ უკვე ჩვენთანაც ჩამოდიან ვიეტნამელები. უცხოელმა კრიმინალებმა ჩვენზე კარგად იციან, სად „კეთდება“ დიდი ფული, რადგან ეთნიკურ-კრიმინალური დაჯგუფებების ხელმძღვანელები თავიანთი ქვეყნების სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან. თუ ეს ხალხი სამართალდამცავებმა დაიჭირეს, აღმოჩნდება, რომ ყველა სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომელია, ყოფილი სპეცსამსახურელი კი არ არსებობს, მით უმეტეს უცხოეთში. ე.წ. აბრეშუმის გზის მატარებელმა უკვე გაიარა საქართველოში, ასე რომ, ეთნიკურ კრიმინალურ დაჯგუფებებსაც უნდა ველოდოთ, თუ უკვე აქ არ არიან. ვფიქრობ, უზბეკური დაჯგუფება უკვე იქნება, რადგან საქართველო დიდი ხანია ნარკოტრანზიტული ქვეყნის ფუნქციის მატარებელია, თუმცა დამატებითი დაჯგუფებაც შეიქმნება. ჩამოყალიბდება ჩინური მაფიის „ტრიადის“ ე.წ. ფილიალიც, საქართველოში უკვე უამრავი ჩინელია, რუსული დაჯგუფება კი ყოველთვის იყო, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ერთის მხრივ კარგიც იყო, რადგან რუსები ასე თუ ისე გვიცავდნენ სხვა კრიმინალებისგან. საცრება ხდება, „შავი სამყაროს“ ქართველი წარმომადგენლები კი გავყარეთ ქვეყნიდან, მაგრამ ახლა უცხოელებს ვუწყობთ ხელს, რომ აქ თავიანთი კრიმინალური დაჯგუფებები ჩამოაყალიბონ და „ამინდი“ შეგვიქმნან. მოკლედ, კრიმინალების „იმპორტსაც“ ვეწევით. რამდენიმე წლის წინ, თბილისში იმასაც ამბობდნენ, ვიღაც ჩინელია ჩამოსული და ვიღაცებს ფულს „აწერს“ თუ რაღაც ამგვარიო. სხვათა შორის, ამ ინფორმაციამ მედიაშიც გაიჟღერა გაკვრით, თუმცა მერე ვეღარ მოვიძიე, არადა აშკარად ეწერა. ე.ი. იმ დროიდან მოყოლებული მიდის ეს პროცესი. ალბათ ამიტომაც არიან სულ ერთად თუნდაც ჩინელები. რამდენიმე ადამიანმა მომიყვა, რომ თბილისის ზღვაზე, სადაც ჩინელები რაღაცას აშენებენ, ერთ ჩინელს ისე სცემეს თავისიანებმა, სულ დაასისხლიანეს, მაგრამ პოლიციისთვის არავის შეუტყობინებია, არ არის გამორიცხული, რომ ის ადამიანი მოკლეს კიდეცო. ფაქტია, ამ უცხოელებს შორის, შიგნით ხდება ანგარიშსწორებებები, მაგრამ ინფორმაცია გარეთ არ გამოდის. ისე, დაზარალებულებს რომც უნდოდეთ, პოლიციას ინფორმაციას ვერ მიაწვდიან, რადგან მარტო თავიანთი ენა იციან“.

ზვარეში მომხდარი სისხლიანი ინციდენტის შემდეგ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ეთნოკრიმინალებმა „გარე პერიმეტრზეც“ ხომ არ გადმოინაცვლეს, რადგან საეჭვოა ნორმალურ ადამიანი, მით უმეტეს სტუმრის „სტატუსის“ მქონე, ასე უმოწყალოდ გასწორებოდა ადგილობრივებს. „საერთო გაზეთის“ ინფორმაციით, ჩინელ დამსაქმებლებს საქართველოში პატიმრებიც ჩამოყავთ სამუშაოდ, თუ ეს სიმართლეა, რა კატეგორიის დანაშაულისთვის არიან ეს „მუშები“ სამშობლოში მსჯავრდებული ვინმემ იცის? „მარბიელები“ კი დააკავეს, მაგრამ საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, რეალურად ვინ არიან ეს ადამიანები და რა ბრალდებით მოუწევთ პასუხისგება. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ჩინური მხარის ულტიმატუმი მათ დაკავებასთან დაკავშირებით, თუმცა საზოგადოების აქტიურობის შემდეგ მათი ტონი შერბილდა. ხელისუფლებამ კარგად უნდა გაითავისოს, რომ არცერთი ინვესტიცია არ ღირს საკუთარი ხალხის სიცოცხლედ და ღირსებად. რა სიკეთეს მოუტანს საქართველოს „დერეფნის“ ფუნქცია, ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული, სამაგიეროდ ის არის აშკარა, რომ ამ უსაზღვრო „სტუმართმოყვარეობამ“ დიდი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა.

დავით გაგნიძე: „უამრავი ნიგერიელია საქართველოში, რომლებიც ძირითადად ნარკოტიკის გადატანაზე „მუშაობენ“, კუჭით გადააქვთ, ბევრი ასეთი „გადამტანი“ იყო დაკავებული. ჩემი აზრით, მათაც აქვთ შექმნილი კრიმინალური დაჯგუფება, ეს შეიძლება ვარაუდია, მაგრამ სათანადო სამსახურებმა ყველაფერს უნდა მიაქციონ ყურადღება. ჩემი ვარაუდით, ვიეტნამურ მალამოს და „აბრეშუმის გზის“ ამოქმედებას ვიეტნამური კრიმინალური დაჯგუფებაც მოყვება, ჩინური რომ უკვე არის, ორი აზრი არ არსებობს. გასულ წელს, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის „კანონიერ ქურდებს“ ერევანში ჰქონდათ „სხადნიაკი“, რისი მიზეზიც ვფიქრობ, ისაა, რომ მათ იცოდნენ საქართველოში რაც უნდა მომხდარიყო. ისინი კი გაუწევენ წინააღმდეგობას კრიმინალების „იმპორტს“, მით უმეტეს, რომ რუსული კრიმინალური დაჯგუფების ერთ-ერთი ძლიერი შტო ქართულია, მაგრამ მარტო მათ იმედზ ვერ ვიქნებით. ჩვენმა სამართალდამცავებმა და უსაფრთხოების სამსახურმა უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები კრიმინალური ტალღის შემოდინების აღსაკვეთად. რამდენიმე წლის წინ, როცა საქართველოში სულ 20-30 ვაჰაბიტი თუ იქნებოდა, განგაში ავტეხე, ვაჰაბიზმი შემოდის-თქო საქართველოში, მაგრამ ყველაფერი თვითდინებაზე მიუშვეს. ირაკლი ალასანია მაშინ უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო, მაგრამ რატომღაც არაფერი უთქვამს ამ საფრთხის შესახებ. მერე რამდენი პრობლემა შეგვიქმნა ამ ყურის მოყრუებამ, რუსეთმა არაერთხელ დაგვადანაშაულა ტერორისტების ხელშეწყობაში და არცთუ უსაფუძვ-

ლოდ. ის თურქები, რომლებსაც ჩეჩნეთში უნდოდათ გადასვლა „ბოევიკების“ დასახმარებლად, თბილისში დავაკავეთ, მაგრამ ყველა გაუშვეს. ნარკოტიკებისა და იარაღის ტრანზიტი ისედაც ხდებოდა საქართველოს გავლით, მაგრამ „აბრეშუმის გზის“ ეგიდით მატარებლები რომ დაიწყებენ მოძრაობას, კრიმინალი გაცილებით მოიმატებს, ადვილი გგონიათ, მატარებელში აკრძალული ტვირთის, თუნდაც 100 კგ „ჰეროინი“ პოვნა? ჩვენმა ძალოვნებმა რამდენჯერმე კი ამოიღეს დიდი ოდენობით ნარკოტიკი, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია, რადგან საქართველოს გავლით ტონობით ნარკოტიკი გაედინება ევროპაში. ჩვენმა უსაფრთხოების დაცვისა და სამართალდამცავმა სტრუქტურებმა ინტენსიურად უნდა იმუშაონ, სერიოზული კონტროლია საჭირო. ამას გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება, რადგან ტრანსნაციონალურ კრიმინალში, როგორც გითხარით, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებიც არიან ჩართულ-გარეულნი. ვფიქრობ, ამ კუთხით საჭირო რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა, რადგან მათ დიდი გამოცდილება აქვთ, ფართო აგენტურულ ქსელს ფლობენ და შესაბამისად საიდან რა უკანონობას უნდა ველოდოთ. ჩვენი სპეცსამსახურების თანამშრომლებს გამოცდილება აკლიათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათ სერიოზული მუშაობა დაიწყეს, ისე ებრძოდნენ ნაციონალები მათი სატელიტები, რომელთაც პირადად მე, კრიმინალურ დაჯგუფებებს დავარქმევდი. მათ ქმედების შემხედვარეს, შთაბეჭდილება მრჩება, რომ „შეკრულები“ არიან ეთნო-კრიმინალურ დაჯგუფებებთან. ცნობილ ამერიკელ განგსტერს ალ კაპონეს უამრავი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ ვერ უმტკიცებდნენ, ბოლოს გადასახადების გადაუხდელობისთვის დასაჯეს. მას იმ დანაშაულობებს ვერც „დაუმტკიცებდნენ“, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებს ფულს უხდიდა და შესაბამისად, მტკიცებულებებიც ქრებოდა.

იმ ხალხის მიმართ, ვინც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან დეტალური ანგარიშის ჩაბარებას მოითხოვს, პოზიცია იქნება, ოპოზიცია თუ არასამთავრობო სექტორი, ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება, ან არანორმალურები არიან, ანდა უცხო ქვეყნების სასარგებლოდ „მუშაობენ“. საქართველოში უკვე ყალიბდება სხვადასხვა ეთნო-კრიმინალური დაჯგუფებები, ჩვენი სპეცამსახურები შეიძლება სულაც ამ თემაზე მუშაობენ და ეს ინფორმაციები უნდა გაასაჯაროონ? ეს ვითომდა დიდი დემოკრატები იქამდეც კი მივიდნენ, ქართული სპეცსამსახურები საერთოდ გავაუქმოთო. გავაუქმოთ კი არა, იმ დანაშაულებისთვის რისთვისაც რიგითი მოქალაქეები ისჯებიან, სპეცსამსახურის თანამშრომელს პასუხი არ მოვთხოვოთ, ასეთი ორმაგი სტანდარტი ყველა ნორმალურ სახელმწიფოში მოქმედებს. მთავარია, მისი უწყება გაერკვეს, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ეს დანაშაული. უმთავრესი კი ისაა, რომ უსაფრთხოების სამსახური პატრიოტებით დაკომპლექტდეს. ჩვენი სპეცსამსახურის თანამშრომელი იგივე ჩინურ „ტრიადაში“ რომ შევიდეს და იძულებული გახდეს დანაშაული ჩაიდინოს, თუნდაც ვინმე მოკლას, ის არ უნდა დაიჭირო, ერთია, რომ იქიდან მტკიცებულებას ვერ გამოიტან, დანაშაული გაუხსნელი დარჩეს, რომ შენს მიერ „ჩანერგილები“ არ გაიშიფრნენ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ სხვა ეთნოსის კრიმინალური დაჯგუფებებს, რომელიც საქართველოში ყალიბდება, ხელისუფლებაში, იგივე პარლამენტში ლობისტები ეყოლება, რადგან ფულს დიდი ძალა აქვს. იმ ეთნო-კრიმინალურ დაჯგუფებებთან დაკავშირებით, რომლებსაც საკუთარი ქვეყნების სპეცსამსახურები ხელმძღვანელობენ, განგაშის ზარები გვაქვს შემოსაკრავი, თუ რამე შეგვრჩა იმასაც ხომ წაიღებენ და დამატებით ყოველგვარ კონტრაბანდასაც გაატარებენ. ამ ყველაფრის გამოვლენა-აღკვეთაზე ჩვენმა სპეცსამსახურებმა უნდა იმუშაონ, ისინი მარტო ვერაფერს გახდებიან, თუ ყველა არ დავუდგებით გვერდით. უამრავი ჩინელი ჩამოვიდა, რომლებიც ხალხის მასაში გაიწოვა, ჩამოვიდა უამრავი ნიგერიელიც, არადა ჩვენი ხალხი ვერ საქმდება და უცხოეთში გარბის ლუკმაპურის საშოვნელად. ე.ი. ვიღაცა შემოყავს ეს უცხოელები, ორგანიზებულად ხდება უცხოელების „იმპორტი“, მავანნი ამით სარგებლობენ, რომელთაც ხელისუფლებიდან ლობირებენ. ძნელი გასაშიფრი არ არის ვინც ლობირებს, მაგრამ ძალზე შრომატევადი სამუშაოა. ჩინელები რომ დაიწყეს ჩამოსვლა, მათ თავისი სახელმწიფო გარკვეულ თანხას უხდიდა (30 თუ 35 ათას დოლარს) საქართველოში დასამკვიდრებლად, დარწმუნებული ვარ, ეს იქაური სპეცსამსახურების ხელით ხდებოდა, რატომ მისცემდა სპეცსამსახური ამ ფულს თუ თავისი ინტერესი არ ჰქონდათ? ჩინეთს ვერც გამტყუნებ, ის თავის ინტერესს ახორციელებს, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ, არ უნდა ვიცოდეთ ვის რა უნდა, რითაა აქ დაკავებული? იცით, რომ უამრავმა ჩეჩენმა მოაწერა ქართველ ქალებთან ხელი, მათი გვარები აიღეს და მთელ ევროპას მოედნენ, სადაც ქართველებად ასაღებენ თავს. გერმანელები რომ ამბობენ, ევროპაში უამრავი ქართველი კრიმინალიაო, ყველა ქართველი კი არ არის, გერმანელს კი არა, შეიძლება თქვენც გაგიჭირდეთ ჩეჩნის ქართველისგან გარჩევა. ასე რომ, ამ ყველაფერს აღრიცხვა, სერიოზული მუშაობა ჭირდება. თუ მოსახლეობასა და სპეცსამსახურებს შორის ნდობა და კავშირი არ იქნა, ძალიან გაუძნელდებათ მათ მუშაობა, საზოგადოების მხარდაჭერა აუცილებელია, რადგან ეთნოკრიმინალური დაჯგუფებები უკვე საქართველოში არიან.

მსოფლიო „მამები“ წლებია ყველანაირ პირობას ქმნიან, რომ საქართველო აბორიგენი მოსახლეობისგან დაიცალოს, ჩემი აზრით, ეს ვიზალიბერალიზაციაც მაგას ემსახურება, უნდათ ყველაფერი უცხოელებმა აიღონ ხელში. ჩვენებს კი უხარიათ, ვიზალიბერალიზაცია, „აბრეშუმის გზა“, იმას ვერ საზღვრავენ, რომ ეს გზა ათას უბედურებას მოგვიტანს, ისევე როგორც ბაქო-ჯეიჰანის „ტრუბამ“ მოგვიტანა. ყველანაირად ცდილობენ რუსეთი „ტუპიკად“ გადააქციონ, რასაც ეს უკანასკნელი არ დაუშვებს. ამ ეთნოკრიმინალურ დაჯგუფებებთან დაკავშირებით, ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ არ არის გამორიცხული საქართველო ამ „დაუპატიჟებელ სტუმრებს“ შორის დაპირისპირების არეალად იქცეს, რაც ომის ტოლფასი იქნება. რუსეთი და სხვა დიდი ქვეყნები ასეთ დაპირისპირებას ადვილად გაუმკლავდებიან, საქართველოსთვის კი უდიდესი ტრაგედია იქნება. ვიმეორებ, „აბრეშუმის გზის“ ამოქმედება, საქართველოს ტერიტორიაზე კრიმინალის მკვეთრ ზრდას გამოიწვევს, რისთვისაც ჩვენი ქვეყანა მზად არ არის. არავინ იფიქროს, რომ ამ პროექტის წინააღმდეგი ვარ, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩინეთიდან წამოსულ მატარებლებს სხვადასხვა ეთნიკური დაჯგუფებების კრიმინალებიც ჩამოყვებიან, რომლებიც ადგილზე კრიმინალურ ამინდს შექმნიან. როგორც გითხარით, ამ დაჯგუფებების სათავეში მათი ქვეყნების სპეცსამსახურები დგანან, ვინმეს სჯერა, რომ ეს უკანასკნელნი მოთხოვნის შემთხვევაში, ჩვენს სამართალდამცავებს და უსაფრთხოების სამსახურს რეალურ ინფორმაციას მიაწვდიან? ხსენებული დაჯგუფებები საქართველოში გარკვეულწილად უკვე მოქმედებენ, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ ჩანს, რადგან ამ ეტაპზე სხვა ეროვნებებს არ უპირისპირდებიან, ჯერ საკუთარ ხალხს სჯიან. სანამ ჩვენ „იმპორტულ“ კრიმინალებს გავშიფრავთ, ქვეყანა თავზე დაგვემხობა. ჩვენი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, კრიმინალი ძირითადად კონტრაბანდულ ტვირთებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა დანაშაულობები არ გაიზრდება. წინა ინტერვიუებში უკვე ვისაუბრეთ დედაქალაქში, პუშკინის ქუჩის დასაწყისში 90-იან წლებში მოქმედ ინდურ რესტორანზე, რომლის თანამშრომლებიც აზიიდან ევროპაში ხალხის უკანონო გაყვანას ახორციელებდნენ, ასევე ნარკოტრეფიკსა, იარაღითა ადამიანების ორგანოების უკანონო ვაჭრობაზე. პოლიცია, როგორც კი დაინტერესდა ხსენებული ინდური რესტორნით, ის მაშინვე დახურეს და უცხოელი მფლობელ-პერსონალი უკვალოდ გაუჩინარდა. სხვათა შორის, ქართველმა სამართალდამცავებმა რადიაციული ნივთიერებების ტრანზიტის ფაქტებიც დააფიქსირეს, ე.ი. ტრანსნაციონალური კრიმინალური სამყარო მუდმივ მოქმედებაშია და ყველა ეს დანაშაული საგრძნობლად მოიმატებს. ისედაც მაქვს ეჭვი, რომ ეთნიკურ დაჯგუფებებს ხელისუფლებიდან ლობირებენ, მაგრამ ვფიქრობ, უფრო სერიოზული ლობი გამოუჩნდებათ, თანაც ღიად, არავისთვისაა საიდუმლო, რომ სახელისუფლებო სტრუქტურები, პოლიტიკური სპექტრი თუ არასამთავრობო სექტორი უცხოური სპეცსამსახურების აგენტებითაა გაძეძგილი. ჩვენ თუ სასწრაფოდ არ დავიწყეთ სერიოზული ბრძოლა ტრანსნაციონალური კრიმინალის წინააღმდეგ, ისედაც უკვე დაკარგვის პირას მყოფ ქვეყანას, საბოლოოდ მთლიანად დავკარგავთ“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

„საერთო გაზეთის“ რედაქციას „თბილისის წყალის“ დირექციას თბილისის მერიას

თბილისის ზღვაზე, სანატორიუმ „ქართლის“ ზემოთ, ასიოდე მეტრში, სექტემბრის დასაწყისში დაზიანდა ნაძალადევისკენ მიმავალი მაგისტრალური წყალსადენი.

700 მმ-იანი მილიდან ამოხეთქილმა სასმელმა წყალმა წალეკა დევნილების ბოსტნები, ჭაობად აქცია რამდენიმე ჰექტარი სავარგული.

მივმართეთ პატრულს, „თბილისის წყალის“ ნაძალადევის განყოფილებას. ამოვიდა საავარიო სამსახური, ამოთხარა ქვაბული და ამით დამთავრდა მათი რეაგირება. წყლის ნაკადი კი ძლიერდება. თბილისის ზღვის მთელ სანაპიროს აჭაობიანებს.

განგაშის ზარებზე „თბილისის „წყლის“ ნაძალადევის განყოფილებიდან გვიპასუხეს: „აღარ დარეკოთ, თორემ მთელ კორპუსს გადაგიჭრით სასმელ წყალსო“.

გაუგებარია, პასუხისმგებელი პირების რეაქცია, რაც ლოგიკას არ ექვემდებარება. რაიონი ამიტომაც განიცდის წყლის ნაკლებობას, „თბილისის წყალის“ დირექცია კი, ალბათ, დააყენებს საკითხს წყლის საფასურის გაზრდის შესახებ, რათა დანაკარგი აინაზღაუროს.

უმოქმედოდაა თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური, რომელსაც, მინიმუმ, ჯარიმის დაკისრება შეუძლია დიდი ტერიტორიის დაჭაობების გამო.

დაგვეხმარეთ!

სანატორიუმ „ქართლის“ მაცხოვრებლების სახელით, „ქართლის“ კომიტეტის წევრი

ვლადიმერ ჭანტურიძე
9.11.2016 წ.

ძლიერი რეგიონები

გრემი

ყვარელი – გრემში ახალი საწარმო გაიხსნა

„ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში კიდევ ერთი ახალი საწარმო – „სარაჯიშვილი დისტილერი“ გაიხსნა. სოფელ გრემში მდებარე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სპირტსახდელი საწარმო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დაათვალიერა.

გიორგი კვირიკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ეს საწარმო სულ მალე ადგილობრივ ბაზარზე უმაღლესი ხარისხის პროდუქციას გაიტანს, სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ფინანსური მხარდაჭერა კი ხელს შეუწყობს წარმოების განვითარებას.

„სარაჯიშვილი დისტილერი“ სახელმწიფოს მხარდაჭერით და „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში აშენდა. პროექტის განსახორციელებლად 827 000 დოლარი დაიხარჯა, აქედან, აგროკრედიტის მოცულობამ 600 000 დოლარი შეადგინა. ქარხანა აღჭურვილია შარანტის ტიპის რვა აპარატით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს, ღვინის ბრენდის კლასიკური ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნას ადგილობრივი ბაზრისთვის განკუთვნილი უმაღლესი ხარისხის პროდუქცია. კომპანია წელიწადში 500 000 ლიტრ საბრენდე სპირტს აწარმოებს. საწარმოში 150-მდე ადამიანი დასაქმდება.

სახელმწიფოს მხარდაჭერით კახეთის რეგიონში უკვე გაიხსნა 52 ახალი საწარმო და გაფართოვდა 303 საწარმო. „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში ამ პროექტების მხარდაჭერისთვის 17 მილიონ დოლარზე მეტია გაცემული.

ყვარელი

ყვარელი – ალმოჩენა, რომელმაც შესაძლოა ისტორია შეცვალოს

ყვარელში, მდინარე დურუჯის მარჯვენა სანაპიროზე არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს. მკვლევრები დოლოჭოპის V საუკუნის სატაძრო კომპლექსის არსებობაზე საუბრობენ. მათი აზრით, შესაძლოა ეს მსოფლიოში ერთადერთი ადგილი აღმოჩნდეს, სადაც ტაძრის შიდა ტერიტორიაზე, საუკუნეების წინანდელი ნაკურთხი წყლით სავსე ქვევრი ინახებოდა.

ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადგინდა ბაზილიკის გარე ზომები – 41X29 მ. ის ბევრად აღემატება კავკასიასა და მეზობელ რეგიონებში დღემდე მიკვლეულ ყველა ქრისტიანულ ბაზილიკურ ტაძარს. არქეოლოგიური კვლევა ეროვნული მუზეუმის მიერ წარდგენილი პროექტის მიხედვით გაგრძელდება, საბოლოო დასკვნა ორ წელში იქნება ცნობილი. კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა აღმოჩენის ადგილი დაათვალიერა და სპეციალისტების მოსაზრებები მოისმინა.

ჩოხატაურის ინფრასტრუქტურული პროექტები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მუნიციპალიტეტის ქალაქებში, სოფლებში თუ დაბებში. ჩოხატაურში, ნიკო მარის ქუჩაზე სანიაღვრე არხები ეწყობა, ხოლო მდინარე სუფსაზე საავტომობილო ხიდების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ვანში წყალგაყვანილობის სამუშაოები მიმდინარეობს

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში წყალგაყვანილობის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა გიორგი კობერიძემ დაათვალიერა.

სალხინოში მოეწყო წყალმომარაგების ახალი ქსელი, რომელიც 162 აბონენტს მოემსახურება.

სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა სოფელში უკვე ათეული წელია არსებობს, აღნიშნული პროექტის განხორციელებით კი სოფელ სალხინოს მოსახლეობას წყლის პრობლემა აღარ შეაწუხებს.

როგორც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ვანის სერვისცენტრის მენეჯერმა გიგა ხურციძემ განაცხადა, „2016 წელს სოფელ სალხინოში, თავისუფლების ქუჩაზე, მოეწყო 1200 გრძივი მეტრი წყალმომარაგების ქსელი, რომელიც მოემსახურება 70 აბონენტს, ასევე თავისუფლების ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებლებში 130 აბონენტია წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი. უახლოეს დღეებში კი მიმდინარე სამუშაოები დასრულდება სოლომონ მეორისა და კეკელიძის ქუჩებზე, რაც 50 აბონენტს წყლით უზრუნველყოფს. საერთო ჯამში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ 2016 წელს ვანის მუნიციპალიტეტში 400 აბონენტი უზრუნველყო წყალმომარაგებით“.

მიმდინარე სამუშაოები დეკემბრის ბოლომდე დასრულდება.

საჩხერის სოფლებში

სოფელი მოხვა: გაბიონის მშენებლობას 6 048 ლარი მოხმარდა.

რკინაბეტონის გზა დაიგო ორ მონაკვეთზე. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 19 187 ლარი დაიხარჯა. თანხა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდიდან გამოიყო.

საჩხერე

სოფელი ჯალაურთა: სოფელში, ე. წ. ბეგიაურის შესასვლელთან ხიდბოგირი გაკეთდა. იმავე ტერიტორიაზე დაიგო 300 კვ. მეტრი რკინაბეტონის გზა. სამუშაოებზე 25 945 ლარი დაიხარჯა. თანხა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდიდან გამოიყო.

სოფელი მერჯევი: მერჯევში, ქემერტელიძეებისა და კუსიანების უბანში კეთილმოეწყო წყაროს მიმდებარე ტერიტორია, სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 1003 ლარი დაიხარჯა.

მერჯევში, ყოფილი აბანოების მიმდებარე უბანში 130 მეტრზე დამონტაჟდა წყალგაყვანილობის სისტემა.

ორივე პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა.

სოფელი სარეკი: სოფელ სარეკში, ლაბაძეების უბანში 103 მ. სიგრძის სანიაღვრე არხისა და გარე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციას ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 23 811 ლარი მოხმარდა.

სოფელი ივანწმინდა: უკვე დასრულდა სოფელ ივანწმინდის ერთ-ერთი ხიდბოგირის მოწყობა, რომელიც სოფელს მოსახლეობის სავარგულებთან დააკავშირებს. სამუშაოებისთვის 22 642 ლარი სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან გამოიყო.

თელავი – აჩინებულის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის ასფალტი იგება

თელავში, კომპანია GWS-თან მისასვლელი გზის (აჩინებულის მიმდებარე ტერიტორია) სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე, ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი კიკნაძე, GWS-ის გენერალური დირექტორი და მთავარი მეღვინე, ფილიპ ლესპი ადგილზე გაეცნენ.

აღნიშნული გზა 25 წელზე მეტია არ შეკეთებულა, რაც პრობლემას უქმნიდა გზით მოსარგებლეებს.

„ამ გზის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ტურიზმისა და ბიზნესის განვითარებას. როგორ ჩვენი ქვეყნის, ისე უცხო ქვეყნების მოქალაქეები უსაფრთხო და კომფორტული გზით ისარგებლებენ. “, – აცხადებს პლატონ კალმახელიძე.

სამუშაოები 4000 კვ. მეტრის გზის საფარის სრულ რებილიტაციას გულისხმობს, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 80 ათასი ლარი დაიხარჯება.

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის პრეზენტაცია ახმეტაში

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდული კლუბის დარბაზში სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ პრეზენტაცია გამართეს. შეხვედრას გამგეობისა და სა-

ძლიერი საქართველოსთვის

ინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები, რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და ადგილობრივი ფერმერები ესწრებოდნენ.

„აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“ ინიციირებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში. პროგრამას აფინანსებენ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდი (GEF).

„აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ მიზანია, სტიმული მისცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციას, მცირე ფერმერების, ფერმერთა ჯგუფებისა და აგრობიზნესის შემოსავლების ზრდას და ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას.

სიღნაღი – ახალი სპორტული მოედანი სოფელ ილიაწმინდაში

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდაში ახალი სპორტული მოედანი მოეწყო. ოთხმოცი მაყურებლისთვის გათვლილ ახალ მოედანზე დამონტაჟდა მინი-ფეხბურთის კარები და კალათბურთისთვის განკუთვნილი ფარები, დაიგო ხელოვნური ბალახის საფარი, მოეწყო გარეგანათება.

ახალი სპორტული მოედნის მოწყობაზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 40 000 ლარი დაიხარჯა.

მესტიაში სანოტარო ბიურო ამოქმედდა

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სანოტარო მომსახურების მიღება უკვე დაბა მესტიაშიც შეუძლია. აქამდე ადგილობრივ მოსახლეობას სანოტარო სერვისების მისაღებად სხვადასხვა ქალაქში გამგზავრება უწევდა.

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ადგილზე სანოტარო მომსახურებას კვალიფიციური ნოტარიუსი გაუწევს.

ხობი – ხეთაში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ოხვამეკარში შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში დაიგება ბეტონის საფარი, ამოიწმინდება სანიაღვრე არხები და მოეწყობა რკინის ცხაურები.

ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 152 166 ლარია.

ადიგენი – ზარზმობა 2016

ადიგენის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ სახალხო-ტრადიციული დღესასწაული „ზარზმობა“ იზეიმა.

11 ნოემბერი ისტორიული მოღვაწისა და საეკლესიო აღმშენებლის სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით ზარზმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა-ლოცვა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე თეოდორემ აღავლინა. სადღესასწაულო ლიტურგიას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული საერო და სასულიერო პირები ესწრებოდნენ.

სადღესასწაულო წირვის შემდეგ კულტურული ღონისძიება მოეწყო, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები და „ერისიონთან“ არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მომავალი“.

სახალხო დღესასწაულზე ჩასულ სტუმრებს ხელოვნებისა და ხალხური რეწვის ადგილობრივი ნამუშევრების დათვალიერების საშუალებაც ჰქონდათ.

ზარზმობის დღესასწაული მოსახლეობას ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ, ახალციხისა და ადიგენის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი კომაძემ და ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაქარია ენდელაძემ მიულოცეს.

სხვილისში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში გზაზე დაიგება ბეტონის საფარი და მოეწყობა სანიაღვრე არხები. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ამჟამად გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ურაველში, საყუნეთში, აგარაწინუბანში, წყალთბილა-ნაოხრებში (მეორე ეტაპი) და ქალაქ ვალეში.

გზების მოხრეშვა ბორჯომის სოფლებში

სოფელ კორტანეთსა და სოფელ ზანავში დასრულდა შიდა საავტომობილო გზების მოხრეშვის სამუშაოები.

სოფელ ზანავში გზის რეაბილიტაცია ე. წ. ბანიხევის უბანში განხორციელდა, სადაც გზის საფარი 1 200 მეტრ მონაკვეთზე მოეწყო. სოფელ კორტანეთში კი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 534 მეტრი სიგრძის შემოვლით გზას.

გზების მოხრეშვის სამუშაოები იგეგმება სხვა სოფლებშიც.

ამჟამად შიდა ქუჩების მოწესრიგება მიმდინარეობს სოფლებში: ცემში, ლიბანში, ტაძრისსა და დგვარში.

პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროფრამის ფარგლებში 40 284 ლარით დაფინანსდა.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ პრეზენტაცია ქალაქ გორში

გორის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ქალაქ გორის მუნციპალიტეტის მერიამ პირველი „სამოქალაქო (თანამონაწილეობითი) ბიუჯეტის“ პრეზენტაცია გამართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქ გორის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი, მერიის წარმომადგენლები, სამსახურების უფროსები, საკრებულოს წევრები, გუბერნატორის მოადგილე, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროექტების ავტორები და კოორდინატორები.

შუახევი – ჭვანაში ბალის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში ჭვანის ბაგა-ბაღს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. მიმდინარე სამუშაოებზე 117 000 ლარი დაიხარჯა.

გამგეობის გადაწყვეტილებით სრულად გარემონტდა ნაგებობის მეორე სართული, რომელიც გამოუყენებელი იყო. იქ განთავსდა საძინებლები, გასართობი ოთახები, სველი წერტილები, სამზარეულო და ადმინისტრაცია. დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის თანამედროვე სისტემა, შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

ბაღში შეტანილია საჭირო ინვენტარი, ტექნიკა და საბავშვო ლიტერატურა. საბავშვო ბაღში 30-მდე აღსაზრდელია. დასაქმებულია 10 ადგილობრივი მოსახლე.

სულ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში ბაგა-ბაღების რეაბილიტაციაზე 300 000 ლარზე მეტი დაიხარჯა.

გამგებელმა სტიქიით დაზარალებულები მოინახულა

ქობულეთის გამგებელმა სულხან ევგენიძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუკრი ბეჟანიძესთან ერთად ციხისძირში სტიქიის შედეგად დაზარალებული გოლიაძეებისა და ბოლქვაძეების ოჯახები მოინახულა. მუნიციპალიტეტის პირველი პირი დაზარალებულთა მდგომარეობას ადგილზე გაეცნო და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას დაჰპირდა.

ერთი თვის წინ სტიქიამ დაზიანა გოლიაძეების საცხოვრებელი სახლის ეზო, რომელიც გეოლოგებმა უკვე შეისწავლეს. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს პროცედურული ღონისძიებების გატარება, რომლის შემდგომაც ეზოში ფერდსამაგრი სამუშაოები განხორციელდება, ხოლო ბოლქვაძეების საცხოვრებელ სახლს რამდენიმე დღეში გეოლოგიური კვლევა ჩაუტარდება და მათი დახმარების საკითხს სტიქიის შემსწავლელი კომისია განიხილავს.

შენც, გუბაზ?

პოლიტიკოსები ჯიუტად და პერმანენტულად აგრძელებენ ჩვენს გაოცებას – ამჯერად, დიდმა სიზმარამ – გუბაზ სანიკიძემ დატოვა „ეროვნული ფორუმის“ რიგები...

სისხლისგან მეწრიტება გული, როცა ვხედავ რა უყო 2016 წლის არჩევნებმა ამდენ ურეიტინგო ქართულ პარტიას...

სული მეხუთება, როცა ვუყურებ პოლიტიკოსების დაბნეულ და არეულ სახეებს, პოლიტიკოსების, რომლებიც მიდიან და გვაიმედებენ, რომ იციან, სად მიდიან...

შენც, გუბაზ?!

ასეთ პოლიტიკურ მახვილს აღარ ველოდი ზურგში... არ ვიცი, თქვენი ძილმორეული თვალების გარეშე, რა იქნება ქართული მასმედია, ვერ წარმომიდგენია, რა ერქმევა ქართულ პოლიტიკას, თქვენი გაბუტული ტუჩებისა და საყვარელი ბურდღუნის გარეშე... მაგრამ, ჩვენ მრავალჯერნახული ერი ვართ და ამ უბედურებასაც გადავიტანთ, მთავარია, თქვენ გვეყოლეთ კარგად...

მაზარ ოპოზიციურ პარტიაზე ვფიქრობდი, რომ „ეროვნული ფორუმის“ კიდევ ერთმა ლიდერმა კახა შარტავამ გახსნა გუდა: გუბაზ სანიკიძის წასვლა პარტიიდან „ეროვნული ფორუმის“ იმ იდეის გააგრძელებაა, რომელიც ახალი პოლიტიკური წარმონაქმნის შექმნას გულისხმობსო...

უფ, გაიხარეთ, ბატონო კახა, მე კიდევ რა აღარ ვიფიქრე...

ანუ, წარმონაქმნის შექმნა გსურთ და ამიტომ გამოგეყოთ, ბატონო გუბაზი?

ისე, როგორ წარმოგიდგენიათ ერთი ურეიტინგო პარტიის მეორე წარმონაქმნი, თანაც ხელოვნურად შექმნილი ?

მე ვერ წარმომიდგენია, მაგრამ მე რა მესმის ან პოლიტიკის, ან წარმონაქმნების...

ჰოდა, სანიკიძემ იმიტომ წავიდაო, რომ ახალი პოლიტიკური წარმონაქმნის შექმნას, პიროვნებებს შორის საუბრის დაწყებას, პოლიტიკურ ველზე პარტიებისგან თავისუფალი პიროვნებების არსებობა სჭირდება და მოუხდებაო – მოგვახსენა ბატონმა კახამ.

ესე იგი, სანიკიძეს უბრალოდ „ეროვნული ფორუმი“ არ უხდებოდა, თორემ...? ჰა?

ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ახალი ქმარი თუ გინდა რომ გყავდეს, ჯერ ძველს რომ უნდა დაშორდე და თავისუფალი რომ უნდა იყო, ჰო?

აჰა, ახლა გავიგე. არ ყოფილა რთული ასახსნელი, გეთქვათ ასე, რა გულები დაგვიხეთქეთ...

მაინც, ნეტა ვინ დაგპირდათ, პარტიებს ჩამოშორდით და ვისაუბრებთო, ჰა? ვისი და რისი იმედით ისკუპეს ლიდერებმა ჩასაძირად განწირული ხომალდიდან?

კარგი, ყველაფერი გავიგე, არ მოსწონდათ და უხდებოდათ ლიდერებს ძველი პარტიები და ახლის მოლოდინში მარტოებმა უნდა იკეკლუცონ, მაგრამ მზითვად რა გამოატანეთ, მზითვად? ამომრჩეველს და რეიტინგს ვერ გამოტანდით, არა გყავთ და არა გაქვთ და იმიტომ... მილიონსაც ვერ გამოატანდით, თავად ეძებთ და იმიტომ, თანამებრძოლებსაც ვერ გამოაყოლებდით, არ წამოიყვანდნენ და იმიტომ და აბა, დავიჯერო „სტენკა“ გამოგატანათ თქვენც? და სადანა დადგამენ „სტენკას“ ნეტავი, სადანა?!

ბატონმა სანიკიძემ არაერთხელ დაგვმოძღვრა, ცუდები არიან ყველანი ეგენიო, მხოლოდ მე ერთი ვარ კაცობრიობის სინდისიო...

კაცობრიობის სინდისი კარგია... მაგრამ, ძალიან მორიდებული სინდისი გყავთ, ბატონო გუბაზ, არაფერზე გაწუხებთ და იმიტომ... მთხოვეს და იმიტომ ვიყარე 2012 წელს კენჭი ქუთაისშიო... გეტყობოდათ, რომ გთხოვეს და რომ არ გაინტერესებდათ ქუთაისი, ძილზე გეტყობოდათ, ძილზე...

მილიონი გსურდათ, როგორც მახსოვს... ოცნებაც კი რა მორიდებული გქონიათ, მე მაგალითად, დათვლილი მაქვს, ორმილიონ ნახევარი მჭირდება, თქვენ ერთი მილიონი როგორ გეყოფათ, არ ვიცი...

ისე, რას გადაეკიდეთ ამ პოლიტიკას, ისევ მილიონის შოვნა რომ სინჯოთ-თქო, ჩავეკითხე მეც მოკრძალებით, ბატონ გუბაზს...

კარგად ვიქნებიო, დაგვაიმედა სანიკიძემ... მე „ფორუმიდან“ მივდივარ, თორემ პოლიტიკიდან კი არაო... ნუ, აი, როგორც უსუფაშვილი, ჰო? ეგაც პარტიიდან წავიდა და არა პოლიტიკიდან, რა დამთხვევაა?

მე დიდი ოპოზიციური ძალის ჩამოყალიბებას ვგეგმავო, ანუ, ისევ და ისევ, როგორც უსუფაშვილი, ჰო? ისა და, ერთად მიდიხართ? კარგ საქმეზე მიდიოდა უსუფაშვილი და გაგიყოლათ, ბატონო გუბაზ? მეც გამიყოლეთ, თუ კარგ საქმეზე მიდიხართ–თქო გეტყოდით, მაგრამ თქვენი დატრიალებული და მობრუნებული კარგი საქმეები მახსოვს და არ მინდა...

იქნებ, უკვე ჩამოყალიბებულია სადმე ეგ თქვენი დიდი ოპოზიციური ძალა და ჩვენ ვერ ვხედავთ, ჯერ? აჰ, იქნებ იატაქქვეშა ორგანიზაციაა? თუ პარტიზანული? წარმოგიდგინეთ ტყეში გაბნეულნი უპატრონოდ, თვალწინ დამიდგა დათვის ბუნაგში გამოძინებული სანიკიძე და შაშხანით ხელში, გორაკზე შემდგარი უსუფაშვილი... იქვე თინათინი უგებს მახეს ტყის ქათამს... არა, ეს ჩემი ფანტაზიისთვისაც კი მეტისმეტია...

თავი გამისკდეს ლამის იმაზე ფიქრით, სად მიდიხართ, სად მიერეკებით ნაგროვებ და ნალოლიავებ მუჭანახევარ ამომრჩეველს...

ერთი კითხვა მაქვს, სადაც წაბრძანდებით, ამერიკის ჯარსაც იქ ჩაიყვანთ და დააბანაკებთ თუ გადააგდეთ ამერიკელი სამხედროები?

ის იყო, ისევ ამ დიდ და უზარზიდენტი ეთნიკურ უმცირესობებს მეტი შემართებით დაეხმარებაო...

პირზე ააფარეს თურმე ხელი, ჰა, არ შეეპასუხო მარგველაშვილსო, ეგ იმ ბოკერიას მეგობარია, საკუთარ კათოლიკოს პატრიარქს რომ შეუთვალა, არც შენი სიკვდილია პრობლემაო...

როგორო, გაჰკვირვებია ეპისკოპოსს, მე, ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი, ღირსების ორდენით დამაჯილდოვეს და საკუთარ კათოლიკოს პატრიარქზე ასე საუბრობენო?

ეჰ, რას გაუგებთ, ქართველ პოლიტიკოსებს...

კიდევ? კიდევ წერილი მისწერა ჩვენმა პრეზიდენტმა ამერიკის პრეზიდენტს და სულ „თქვენო აღმატებულებავ“ ეძახა...

აღმატებულ ხარისხში რატომ, ბატონო პრეზიდენტო? ბევრი ფული რომ აქვს, იმიტომ? ამერიკის პრეზიდენტი რომ გახდა, იმიტომ? თქვენ რომ გეწურებათ მალე საპრეზიდენტო ვადა, იმიტომ?

მოკლედ, ჩვენი აღმატებულება პრეზიდენტი ფრიად ზრდილობიანი და მაღალფარდოვანი ყოფილა, მე კი რა არ ვეძახე, რად არ შევრაცხე, მომიტევეთ, თქვენო აღმატებულებავ, მომიტევეთ ჩემი მკრეხელობა და გთხოვთ, ნუ დამსჯით სიკვდილით ურჩ და სულელ მონას...

რა ვიცი, ამერიკის აღმატებულ პრეზიდენტს რომ გამარჯვება მიულოცეთ და უნივერსალური ღირებულებების: თავისუფლების, დემოკრატიის და მშვიდობის მცველად მოიხსენიეთ, სწორედ იმ დღეს, აშშ–ში საპრეზიდენტო არჩევნების პარალალურად სხვადასხვა შტატში მიმდინარეობდა რეფერენდუმი სიკვდილით დასჯის ხელახლა შემოღების თაობაზე და სამმა შტატმა – კალიფორნიამ, ნებრასკამ და ოკლოჰომამ მხარი დაუჭირა სიკვდილით დასჯის შემოღებას...

შეეშინდისავით...

საქართველოში რეფერენდუმი, ოჯახის ცნების განმარტების შესახებ, არ შეიძლება ჩატარდეს, არადემოკრატიულიაო და აჰა, სიკვდილით დასჯას მიუძღვნეს რეფერენდუმი ამერიკელებმა... რავა სულ ასე უნდა გვაჯობონ მაგათ დემოკრატიასა და აზრის თავისუფლებაში...

სულ ასე დემოკრატიულად, თქვენი აღმატებულობით უნდა მოგმართოთ დღეიდან, ბატონო პრეზიდენტო და იცოდეთ...

თქვენ კი, დადგით ეგ „სტენკები“ სადმე, ჩამოგწყდათ, ბიჭებო, ჭაჭები...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

ქვეჯელავას საბაყაყეთი და კომბალი – ყველაზე უხერხული მახათი

ერთხელაც იქნება ჩამოიღებს ჭერიდან კომბალს და დრუზებს და დრუზებს, ასე ბაყაყებს ვერ დააყრევინებს მაგრამ ჯავრს მაინც ამოიჰყრის

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა სოფელი – საბაყაყეთი.

სოფელში ბედნიერად ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ ადამიანებიცა და ბაყაყებიც, სანამ ერთ მშვენიერ თუ მოწყენილ დღეს ბაყაყისმჭამელი ბიჭუნა – ქვეჯელავა არ დაიბადა...

იზრდებოდა ბიჭუნა და ბაყაყის ჭამას მაინც ვერ ეშვებოდა... სწყინდა, ძალიან სწყინდა ბაყაყის ჭამას რომ უშლიდნენ, რაც მეტად უშლიდნენ, მით მეტად იკეტებოდა საკუთარ თავში და მით მეტი კომპლექსი უჩნდებოდა...

ვერ გაეგო, რატომ კითხულობენ ბავშვებმა ზღაპრებს და უყურებენ მულტფილმებს, არ იცოდა, რა იყო ტრადიცია და ვერ იზეპირებდა რუსთაველის პოემიდან ნაწყვეტებს...

მხოლოდ ერთი ოცნება ჰქონდა: გავიზრდები და მაგათ ოთხში ამოვალო...

ჰოდა, ჯერ კომპიუტერული

მეცნიერებები ისწავლა, მერე პროექტების მართვა და ტრენერობა დაიწყო...

კარგ ტრენერს საკუთარი პროგრამა სჭირდება, ყველასგან განსხვავებული და საინტერესო... იფიქრა ქვეჯელავამ, იფიქრა და ვერაფერი მოიფიქრა, მაგრამ ქვეჯელავა, რისი ქვეჯელავა იქნებოდა, აქაც ქვემოდან რომ არ გამომძვრალიყო. გადაწყვიტა, გენიოსი ქართველების ფრაზები, ან ძველი ხალხური ანდაზები გამოეყენებინა, ოღონდ მანამდე ეს ძველი ისე უნდა დაემახინჯებინა, რომ ვერავის გაეგო მისი პლაგიატორობის ამბავი... და დაიწყო გადაკეთება...

ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილიო, გადააკეთა ფრაზით – ჯერ ბაყაყი და მერე ტორტიო...

ფულმა კი არ უნდა შეგჭამოს, შენ უნდა სჭამო ფულიო – შემოეკეთა შემდეგნაირად – ფულმა ბედნიერება უნდა მოგიტანოთო... და ა.შ.

ჰოდა, ამ გადაკეთებულ–შეკეთებული ფრაზებით ბევრი იტრენერა თუ ცოტა იტრენერა, ჰოპ და განათლების მინისტრობას გამოჰყო ხელი... არა, ტრენერობით კი არა, ნაცნობობით გამოჰყო, მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია გამოჰყო...

აი, ახლა დადგა შურისძიების დროო, გაიხსენა ბავშვობა...

კომბლე ძებნილად გამოცხადა – მოძალადეა ეგაო; ხუთკუნჭულა გარეთ გააგდო, ვერა ხედავ სახლს ოთხი კუნჭული აქვს და ზედმეტი ხარო; ნაცარქექიას ევროკომისია და ადამიანის უფლებების დამცველნი მიუსია – სასტიკი და არაადამიანური მეთოდებით ებრძოდა დევსო; ასფურცელას დასცინა, ასი რა, ღორი ხარო? ჰაჰაჰაო; წიქარას მოტეხილი რქა დაუმალა და ბომბორას ქინძისთავი ააცალა შარვლიდან; წუნას და წრუწუნას ოჯახი ევროკონვენციის თანახმად არაკანონიერად სცნო, ნახევარქათამა სამზარეულოში შეაგდო, ქალი ვიცი მე „კუხნაშიო“...

ფიფქიაო?, ჰკითხეს...

ეგ იყოს, გამომადგებაო – ჩაღიმილა... ჰო, ცნობისთვის, ფრიად სექსუალური ღიმილი ჰქონდა ქვეჯელავას...

შეესივნენ ქვეჯელავას, აავსეს საყვედურებით, ნეტავ ან კომბლემ რა დაგიშავა, ან ხუთკუნჭულამ და წიქარამო?

ისევ თავისი სექსუალური ღიმილი მოიშველია ქვეჯელავამ: არა, რას ამბობთ, კონკრეტულად კომბლეს რას ვერჩი, ზოგადად ქართული ზღაპრებისა და მულტფილმების წინააღმდეგი ვარო...

აი, „სპაიდერმენი“ სხვა რამეაო...

ანუ, ადამიანი ობობაო?, ჩაეკითხა პატარა ბიჭუნა...

არ მოეწონა ქართულად ნათარგმნი სათაური ქვეჯელავას, არა „სპაიდერმენი“ და „სუპერმენიო“ ... და ეგენი არიან ნამდვილი გმირები და არათუ გმირები, ეგენი არიან ჩვენი შვილების მასწავლებლებიო...

ჰოდა, ხვალ ბავშვები შხამიან ობობებს დაუწყებენ ძებნას, რომ ხელზე აკბენინონ განსაკუთრებული ძალ–ღონის მოსანიჭებლად და ზეგ „სუპერმენისგან“ დარიგებულ–აღზრდილნი ფრენას მოისურვებენ გაშლილი ხელებით... ქვეჯელავა კი სექსუალურ ღიმილს და ბაყაყების ჭამას სადილობამდე, არც აქამდე იშლიდა და არც მერე მოიშლის...

დიდი საქმე დახვდა განათლების მინისტრს მოსაგვარებელი, დიდი საქმე... პატარა საქმე ხომ არ გგონიათ ამდენი ზღაპრისა და მულტფილმის ჩანაცვლება ერთი ქეციანი „სუპერმენით“ და ერთიც ასეთივე ობობიანი „მენით“?

მეორე მხრივ, სასიხარულოა, თუ მეტი სხვა პრობლემა არაფერი აქვს განათლების სამინისტროს... უსაქმურობის მახათია ქართული ზღაპრები ქვეჯელავასთავის და რა ჰქნას...

ჰოდა „მაშა და დათვს“ რომ უყურებენ ჩვენი შვილები, არც ეგ მომწონსო... მერე კიდევ გაგიკვირდებათ, საიდან გვაქვს რუსეთის მიმართ მეგობრული განწყობაო...

ბიჭოს, ჯერ ერთიც, დევის მიმართ მტრულადგანწყობილი ნაცარქექია რომ დამიწუნე, ძალადობრივი მეთოდით აღმოფხვრა მაგან პრობლემაო, ის კაცი არა ხარ შენ? დევი უნდა გვიყვარდეს და ადამიანები უნდა გვძულდეს, თან ბავშვობიდან?

მეორეც, „მაშა და დათვი“ რუსეთს შეგვაყვარეს და „სპაიდერმენი“ – ამერიკას?

ეჰ, არც დათვია რუსი და არც ობობა ამერიკელი, ორივენი ქვეჯელავას ბედკრულნი მსხვერპლნი არიან...

ქვეჯელავამ კი, მე მინდაო, განათლებითა და სიკეთით გამარჯვება სიბოროტეზეო და არა ისე, წითელქუდაში რომ ბებია ამოიყვანეს საცოდავი მგლის მუცლიდანო...

ისე ბაყაყის ჭამაც ძალადობაა. თუ მაინცდამაინც აკოცეთ მაინც, სანამ შეჭამთ... პრინცად არა, მაგრამ იქნებ კარგ მინისტრად გადაიქცეთ და ჩვენც გვეშველოს და თქვენც...

გავბედავ და გირჩევთ, მახათს შეეშვათ და დაფიქრდეთ... დაფიქრდეთ, იქნებ განათლების სიტემას სხვა პრობლემებიც აქვს, ჰა?

რაღაც ისე გამოდის, რომ არავის არავინ და არაფერი მოსწონს და მაინც ყველაფერი კარგადაა: მასწავლებლებს სახელმძღვანელოები არ მოსწონთ, მინისტრი მასწავლებლებს იწუნებს, დირექტორებს დაფინანსებები არ მოსწონთ, მშობლებს დირექტორები...

ბავშვებს? მოსწავლეების უმრავლესობას თვალით არ უნახავს, რა არის ფიზიკის ან ქიმიის ლაბორატორია, არ ამოუხსნიათ ამოცანები, რომლებიც მერე გამოცდებზე შეხვდებათ, უკვირთ: თუ საზეპიროები არ სჭირდებათ და შეუძლიათ გუგლში იპოვნონ საჭირო პასუხები, მაშინ მისაღებ ან გამოსაშვებ გამოცდებზე, რატომ არ შეიძლება გუგლის გამოყენებით პასუხის გაცემა კითხვებზე? ან, კი რა საჭიროა საერთოდ გამოცდები? ვისღა შეაყარონ თვალებში ნაცარი, თუ ნაცარქექიაც კი მოხსნილია...

კარგია თავისუფლება, უკეთესია დემოკრატია, ბედნიერია ამერიკა, ამერიკა რომელსაც კომბლე არ ესხმის თავს, უბედურია რუსეთი, სადაც მოცუცქნული გოგონა მაშა მუტრუკ დათვთან მეგობრობს, მომხიბვლელია შვეიცარია, სადაც ერთი სქესის ადამიანები ქორწინდებიან და ძალიან ლამაზია ამსტერდამი დაბოლილზე...

თავისუფლებაო და თავისუფალი აზროვნებაო... რისი და ვისი თავისუფლება? კომბლე სასკოლო მასალაში არ შედის, მაგრამ სახლში მივარდები და მიხსნი, რა შემიძლია ჩემს შვილს წავუკითხო ძილის წინ და რა არა... მაშ, ვის თავისუფლებაზე ვსაუბრობთ? ჩემი თავისუფლების შეზღუდვაზე და თქვენი ფსევდო თავისუფლების თავზე მოხვევაზე? ერთმა ტრენერმა უნდა ამოკვეთოთ საუკუნეების შემონახული ქართული ხალხური ზღაპრები და ეს არის თავისუფლება?

არ მოგწონთ ტრადიციები... გავიგეთ, მაგრამ, ეს ცოტა არ იყოს უცნაურია, იმიტომ რომ საკუთარ ოჯახში შვილების ტრადიციულად აღზრდას ცდილობთ...

ანუ, თქვენს შვილს უხდება ქართული და ჩემსას – არა? თქვენი შვილისთვის გინდათ ტრადიციული ორიენტაცია და ჩემი შვილისთვის – არა? თქვენს შვილს გინდათ, რომ მშობლები უყვარდეს და პატივს სცემდეს და ჩემსას –არა? თქვენს შვილს პატრიარქს შეახვედრებთ და დალოცვას თხოვთ და ჩემსას ეკლესიაში სიარულს უწუნებთ?

სელფი არსად დაგეკარგოთ...

„სუპერმენი“ და „სპაიდერმენი“ ჩამოდიან თურმე საქართველოში, ის კაცი უნდა გავიცნოთ, ვინც ჩვენ ბავშვების აღზრდელებად დაგვასახელაო, ხელი უნდა ჩამოვართვათო, ჩვენზე ნაკლები მეზღაპრე არც ეგ ყოფილა, მეტი თუ არაო...

კომბლეს უკითხავს, ორი ცხვარი დამიწუნეს და ბევრი რომ მყოლოდა რას ვიზამდი განსაკუთრებულსო?

რა და გამდიდრდებიო, ჩაუღიმილებია მინისტრს...

და მერეო?

მერე თანაშემწეებს აიყვანდი, რომ ცხვრის ფარისთვის მიეხედათ, შენ კი შენი საყვარელი საქმით დაკავდებოდი და ბედნიერი იცხოვრებდიო...

მა, ახლა რა ჩემს ფეხებს ვაკეთებო, გაჰკვირვებია კომბლეს...

ჰოდა, თლის კომბლებს და აწყობს ჭერში... ერთხელაც იქნება, ჩამოიღებს და დრუზებს და დრუზებს... ალბათ, ბაყაყებს ვერ დააყრევინებს, მაგრამ ჯავრს მაინც ამოიჰყრის...

ისე, ძალიან უხერხული მახათი გამოდგა კომბალი...

P.S. და მაინც... ყველაზე დიდი კომპლექსი – უკომპლექსობის კომპლექსია...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

1. ფასადური, შესანგრევი
2. ვაჟის ლექსი
3. ეოლელ სანტრალური ლექსი
4. ... ზერა-გადმული
5. სიბალის ფასადება
6. ჭარბობის ვარდა-ვანი
7. ქვეყნ-სარეფერა
8. სამანა-ფაქ ფასდებრება
9. ეარეფალი
10. ინალი-ური ფოლის ბრენელი
11. ეანალელი ბანაილა ეიძეგრეა..
12. სელეი ანალეფელი
13. ეერნის ბანარი
14. ბალეფა-ალი ბილ
15. ბარეფნ ქენალელი
16. ეიბარ ძეა
17. ი. ბეიბეა ბანალ „ბი-ბილეფან"
18. ეიბა-ბალეფალი ბანალელ
19. ეარანგ ბარალეფა ლინანია
20. ბანარ ეანანეფალ
21. ინალეფალ ბანალეფალ ეარანეა..
22. ალეფალ ანალეფალ
23. ანარ
24. ანალ ეანალ
25. ეარეანა-ლი ბანალ
26. ინالეفالي ანეარალეფა-ალეا
27. ლეგა-ნალ ლინანეარ ალ..
28. ეიბ ببانالي ببانالي
29. ე. ალ-ლინანالي ببانالي
30. ببانالي ببا-ببانالي ..
31. ببانالي ببا-ببانالي
32. ببانالي-ببا ببانالي
33. ببانالي-ببا ببانالي
34. ببانالي ببانالي ببا..
35. ...
36. ببانالي-ببا ببانالي ببا
37. ببا-ببانالي ببا-ببانالي

ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘᲚᲘ



მარჯვნივ: 1. ქარიანელი მიფიდავე, პირველი მაოფლიო ჩემპიონი ხპორტსმენთა შორის. 2. ნ/კუნძული ჩრდ. ევროპაში. 3. „თეორმეტი ხეაბის" პერსონაჟი ოსტაპ ... 4. ჯიხი, რომელზედაც ხავერში ამოვლებული ჩეარი ახვევენ, ხმაროსანებს გასანაცვლებლად. 5. უფასლოესი ერა დედამინის გეოლოგიურ ისტორიაში, მოსდევს მეზოზოურ ერას. 6. „ხამი მუშკეტერის" პერსონაჟი ბატონ დერბლე იგივე ... 8. დაავადება, ე.წ. პოდაგრა. 14. ქვეყანა ინდოჩინეთში. 15. წყალქვეშა მცენარე, ხშირად აქვთ აკვარიუმებში. 17. მკვრივი ქაღალდი, რომელიც ცვიმაა და ხისველეს არ ატარებს. 19. მოძველებული, ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვა ან გამოთქმა. 21. მიწისქვეშა ხაფანგი გეირაბი, რომელიც მინის ზედაპირზე უშუალოდ არ გამოდის. 22. რვაკუთხედი, რომელზეც ტარდება ბრძოლები წესების გარეშე. 23. ხიდღერაში ნვრილი ხმა, რომელიც სრულდება ხმის აუწევლად. 29. მარტო მეოფი, მარტოხელა ადამიანი. 30. ფრედი მერკურის ახლაშვლის გიტარისტი ბრიაინ ...

თარაზულად: 4. ბოსტნის დასამუშავებელი მაგარა ბოხი. 7. არაბების ძველი სახელი. 9. ესპანელი მეკარე. 10. მნყავე ტკივილის შეტევა ვულის არეში, გულია ანგინა. 11. ღიად დატოვებული ადგილი კედელში. 12. ქ. თურქეთში. 13. ორთობედიული საფენი, რომელსაც იყენებენ ფეხსაცმელში პრტელეტერფიანობისას. 15. დიდი ხელიკი, ბინადრობს აღმ. ნახევარსფერის უდაბნოებში. 16. მბატერულ ნაწარმოებში გარკვეული ადგილის ამოღება, შემოკლება. 18. რუსი საბჭოთა რადიოდიქტორი, რომელსაც მიტლერი ჩამოხრჩობით ემუქრებოდა. 20. რუსი რეჟისორი, „ილბლიან ჯენლტმენებში" დამდგმელი. 23. სახურავის ლატანი, რომელზეც მაგრდება კრამიტი, ყაერი. 24. უღელტეხილი რაქის ქედზე, მასზე გადის ტყიბული ამბროლაურის გზაგკეცილი. 25. ქ. ბრაზილიის ამშენებელი არქიტექტორი. 26. ლიტერატურაში მხატვრული შემეცნების მეთოდი, სინამდვილის მართალი ასახვა. 27. ხორცის ნაწარმის ქართული ფირმა. 28. ეაჭრობაში სხვადასხვა სახეობისა და ხარისხის საქონელი. 31. ერთადერთი, ძალიან იშვიათი რამ. 32. უნგრეთში მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲘ

ი	ი	ი	დ	ი	ს	ვ	ი	ი	ნ	ა	მ	რ	ტ
ა	ს	ი	ნ	უ	გ	ა	რ	ო	დ	ტ	ა	ა	ი
დ	რ	ლ	დ	ა	ა	ნ	ი	ი	ა	რ	ლ	კ	ა
ო	ა	ე	ე	მ	ი	ა	ხ	მ	უ	უ	ა	ზ	ი
ნ	ი	ა	დ	ი	Ვ	ა	ო	ო	რ	ი	კ	რ	ა
ი	ბ	გ	ნ	უ	ი	ი	ნ	რ	ი	ი	უ	ა	ვ
ტ	ო	დ	რ	ო	მ	ი	ი	ი	ე	ლ	ლ	კ	ი
ო	ი	ა	გ	ნ	ი	ბ	ლ	ი	ძ	ი	ტ	ა	ხ
მ	რ	ა	უ	ო	ი	ა	ვ	უ	ვ	ი	უ	რ	ო
ი	ი	ი	ლ	ი	კ	ე	ბ	ა	ნ	ა	ი	ც	რ

1. შხამიანი მწერი. 2. მხალეული. 3. შინაური ფრინველი. 4. ზდინარე იაპონიაში. 5. ყვავილების შეკვრის ველოვნება. 6. უმცროსი მეზღვაური. 7. მტაცებელი ცხოველი. 8. ძვირფასი ქვა. 9. აზიური ეოხი. 10. ძველი ეპოქია ბერძნული ქალაქი. 11. ერთერთი პლანეტა. 12. მდინარე საქართველოში. 13. ცეკვების შეაჯიბრი მოედანი. 14. ებრაელთა სახელმწიფო. 15. მგალობელი ფრინველი. 16. რაიონი რაჭაში. 17. საავტო დაწესებულება. 18. ადამიანის თავაზიანობის გამოხატველი ფენომენი. 19. ფრიდებითი სიდგლეში. 20. სათამაშო ქალალდი. 21. ცხოველური წარმონიშნა საკვები. 22. ადამიანი პატარობისას. 23. ყელურების გვაროვნული ჯგუფი.

ᲛᲘᲤᲠᲘᲕᲝᲠᲔᲚᲘ



„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის
იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

— ითვალისწინებს თუ არა საჯარო სამსახურის კანონმდებლობა საჯარო სამსახურში პირთა მიღებას კონკურსის გარეშე?

— დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

მუხლი 30. თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები;

ა1) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები;

ბ) მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები და მრჩევლები;

გ) თანამდებობაზე დროებით შემცვლელები;

დ) დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს;

ე) სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში.

* * *

— ითვალისწინებს თუ არა საჯარო სამსახურის კანონმდებლობა სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელის კომპენსაციას?

— დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში მოხელეს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

* * *

— შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა?

— თქვენს შეკითხვას პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლი.

ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.

* * *

— წარმოშობს თუ არა ჯვრისწერა მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს?

— არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

— შეიძლება თუ არა ჩემი 15 წლის ქალიშვილი მშობლების თანხმობით სამოქალაქო წესით დაქორწინდეს ვაჟზე, რომლისგანაც ბავშვს ელოდება?

— არა. ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ 16 წლის ასაკიდან, მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით / საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილი/.

* * *

— როგორია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩვენი მოქალაქეების მიერ ან მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სსკ კოდექსის მე-5 მუხლი. კონკრეტულად:

მუხლი 5. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის

1. საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით.

2. საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

3. საზღვარგარეთ დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

* * *

— რა არის მეუღლეთა თანასაკუთრება?

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას / თანასაკუთრებას/, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ–ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ამავე კოდექსის 1159– ე მუხლის მიხედვით, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

* * *

— რა ფორმით და რა პირობებით ხდება ჯარიმის, როგორც სასჯელის სახის, გამოყენება ?

სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის შინაარსს:

— მუხლი 42. ჯარიმა

1. ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი.

2. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.

3. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით.

4. სასამართლომ განაჩენში უნდა მიუთითოს გადასახდელი ჯარიმის ოდენობა ლარებში.

5. ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის.

51. თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

6. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან თავისუფლების შეზღუდვის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე, თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე. ამასთანავე, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან თავისუფლების შეზღუდვისათვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, ამ კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით.“

38 წლის **ლევან გეგიძე**, რომელსაც ავტოკატასტროფის შედეგად უამრავი დაზიანება აქვს მიღებული და უკვე მეორე თვეა კომაშია, სასწრაფოდ საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას, რისი საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია.

ლევან გეგიძის საბანკო რეკვიზიტებია:

თიბისი ბანკი, ანგ # **GE72TB7805445 165 100 009.**

მადლობას გიხდით გულისხმიერებისთვის.

ლ. გეგიძის ოჯახი

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450; 558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24 საათის განმავლობაში

ბასკები – ევროპის უძველესი ხალხი?

ყოველი ახალი თაობის მოსვლასთან ერთად ხალხები კარგავენ თვითმყოფადობას, როდესაც მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ერთვებიან. თუმცა ზოგიერთი მათგანი ახერხებს თვითმყოფადობის შენარჩუნებას საუკუნეების მანძილზე. ერთ-ერთი ასეთი ხალხია ბასკები.

დღეს ევროპის თითქმის მთელ ტერიტორიაზე აღარ დარჩა საზღვრები, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კი თავისუფლად ლაპარაკობს რამდენიმე ენაზე და თავს, პირველ ყოვლისა, ევროპელად და უკვე შემდეგ რომელიმე ერის წარმომადგენლად თვლის. მაგრამ პირენეის ნახევარკუნძულზე ცხოვრობს პატარა ერი, რომელსაც უნიკალური ეთნიკური თვითშეგნება გააჩნია და არასოდეს გაცვლის თავის ნაციონალურ იდენტობას „საერთოადამიანურ ფასეულობებზე“. ეს ერი გახლავთ ბასკები.

წარმომავლობის საიდუმლო

ბასკების წარმომავლობა დღემდე გაურკვეველია. ისინი მსოფლიოს ერთ-ერთ იდუმალ ხალხად ითვლებიან. თითქმის ყველაფერი, რაც მათთან არის დაკავშირებული, იდუმალებითაა მოსილი – წარმომავლობა, ისტორია, პირენეებში მათი გამოჩენა და გარეგნობაც კი.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი ჰიპოთეზებისა, ზუსტად არავინ იცის, როგორ აღმოცენდა ეს უნიკალური ეთნოსი.

არსებობს საფუძველი იმის მტკიცებისთვის, რომ ბასკები არა მარტო პირენეის ნახევარკუნძულის, არამედ ევროპის უძველესი მოსახლეები არიან. ზოგიერთი მკვლევარი მათში ხედავს კრომანიონების შთამომავლებს, რომლებიც კონტინენტზე 35 ათასი წლის წინათ სახლობდნენ. ხოლო ზოგიერთს სჯერა, რომ ბასკები კატასტროფის შემდეგ გადარჩენილი ატლანტები არიან.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ ბასკური ენა – ეუსკარა ინდოევროპულ ენობრივ ჯგუფს არ მიეკუთვნება და მას მონათესავე ერები არ ჰყავს. ჯერ კიდევ XVI ს-ში გამოითქმებოდა მოსაზრება, რომ ეს ენა პირველი საკომუნიკაციო ენა იყო სამხრეთ ევროპაში. ეუსკარა არ ჰგავს ევროპის, აზიისა და ამერიკის არც ერთი ქვეყნის ენას, ამიტომ ფილოლოგებმა მოილაპარაკეს, ჩათვალოს ეუსკარა ცოცხალ ინდოევროპულამდელ ენად „ჯგუფის გარეშე“.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ფრანგი ლინგვისტების ჯგუფმა დაამტკიცა, რომ ეუსკარა დამოუკიდებლად ვითარდება აგერ უკვე, მინიმუმ, რვა ათასი წლის განმავლობაში! ამ დასკვნას ადასტურებენ არქეოლოგებიც. გამოქვაბულ ურიაგაში ნაპოვნი თავისქალების საშუალებით დადგინდა, რომ ბასკები ამ მიწებზე ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში ცხოვრობდნენ. ისინი დასავლეთ ევროპის აბორიგენები არიან, რომელთა ტომები ჯერ კიდევ კრომანიონების დროიდან ვითარდებოდნენ სხვა ხალხებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად. ამიტომ სრულიად დადასტურებულად შეიძლება ისინი უძველეს და სუფთა ეთნოსად მივიჩნიოთ.

თავისუფლებისთვის ბრძოლა

უძველეს დროში ბასკები სახლობდნენ არა მარტო პირენეის ნახევარკუნძულზე, არამედ საფრანგეთისა და ბელგიის ნაწილსაც მოიცავდნენ, თუმცა, მეზობლების ზეწოლის გამო იძულებულნი გახდნენ კანტაბრიის მთებისკენ გადაენაცვლებინათ. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ კელტებს, ფინიკიელებს, ბერძნებს, რომაელებს, ვესტგოთებს, ფრანკებს, ნორმანებს; შუა საუკუნეებში – მავრებს, უფრო მოგვიანებით კი – ნაპოლეონის გვარდიელებსა და ფრანკისტებს.

ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ შეძლო ამ ხალხის დაპყრობა. ძლევამოსილმა რომმაც კი მხოლოდ ბაასკეთის ტერიტორიის ნაწილი დაიპყრო. რომაელი ავტორები ადასტურებდნენ ამ მხარეში ბასკონების ტომის არსებობას, რომლებსაც ისინი იდუმალებით მოსილ და ამოუცნობ ხალხად მიიჩნევდნენ.

ბასკებმა ირიბად შეუწყეს ხელი შუა საუკუნეების დიადი ეპოსის „სიმღერა როლანდზე“ შექმნას. 778 წელს მათ გაანადგურეს ფრანკების ერთი რაზმი, როდესაც რონსელვალის ხეობაში კლდეების წვეროებზე ჩაუსაფრდნენ მტერს. ამ შეტაკებაში დაღუპულთა შორის იყო კარლოს დიდის ძმისშვილი, მარკგრაფი როლანდი. ამგვარად, ბასკების წყალობით, იგი ამ ეპოსის მთავარი გმირი გახდა.

VI-VIII საუკუნეებში დაიწყო ბასკების ტერიტორიების გადანაწილების მცდელობა. პირენეების ორივე მხარეს სხვადასხვა დროს ფლობდა ხან ინგლისის სამეფო (1154 წლიდან), ხან აკვიტანიის საჰერცოგო, ხან საფრანგეთი და ხან ესპანეთი. ყველა მათგანს სურდა, მთლიანად დაემორჩილებინა ეს ამაყი ერი. ბოლოს და ბოლოს, ბასკეთის დამოუკიდებლობა ადგილობრივმა ავტონომიამ ჩაანაცვლა. ბასკები, როგორც ესპანეთში, ისე საფრანგეთში, ხუთ საუკუნეზე მეტი ინარჩუნებდნენ პრივილეგიებს და ჰქონდათ განსაკუთრებული სტატუსი.

თითქმის ყველა ქალაქს და მცირე დასახლებასაც საკუთარი აქტი ჰქონდა, რომლებშიც შეღავათები აისახებოდა. ეს აქტები მხოლოდ XIX საუკუნის ბოლო მესამედში გაუქმდა. და სწორედ ამ დროიდან იწყება ბასკების დაუცხრომელი და თავდადებული წარაფვა დამოუკიდებელ ქვეყნად ყოფნისა. მათი მიზანი თითქოს მიღწევადი გახდა, როდესაც რესპუბლიკელებნის დროს, 1936 წელს, შეიქმნა ავტონომიური რაიონი, რომელსაც ბასკების ქვეყანა ეწოდა.

მაგრამ მემარცხენეების მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა და სამოქალაქო ომის შემდეგ მოსულმა დიქტატორმა ფრანკომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება. მას სძულდა ბასკები. მუდმივი ავტონომია ბასკებმა კვლავ 1980 წელს მოიპოვეს, მაგრამ დამოუკიდებლობაზე ოცნებაზე უარის თქმას არ აპირებენ.

მწყემსები და კონტრაბანდისტები

ამჟამად ბასკების ქვეყანა ორ ნაწილად არის გაყოფილი: ფრანგულ და ესპანურ ნაწილებად. 860 ათასი ბასკი ამჟამად ესპანეთის ჩრდილოეთით ცხოვრობს, 140 ათასი კი საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით. ბასკების რაოდენობა მსოფლიოში დაახლოებით მილიონს აღწევს.

თავიდან ბასკები მეცხოველეობას მისდევდნენ, მაგრამ ზღვასთან მდებარეობამ თავისი როლი ითამაშა. ძველ დროში ისინი შესანიშნავი მეზღვაურები იყვნენ. შემთხვევითი როდია, რომ ზღვაოსანი ვასკო დე გამა, კოლუმბის კარაველების კაპიტნები და ეკიპაჟის წევრთა უმრავლესობა ბასკები იყვნენ. კაპიტანი ელკანო, რომელიც მაგელანის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ექსპედიციას და პირველმა იმოგზაურა დედამიწის გარშემო, ასევე ბასკი იყო!

ბასკი გლეხების შესანიშნავი სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათება გააკეთა ესპანელმა ეთნოგრაფმა ხულიო კარომ წიგნში „ბასკები“. თავისი გმირი მან აღწერა, როგორც ადამიანი, რომელიც წმინდად აღასრულებს წინაპართა ანდერძს, ინარჩუნებს სტაბილურ ყოფას ოჯახში, უაღრესად ნაციონალური, მშვიდობისმოყვარე და მშვიდია.

ბასკი აგრესიული და ფეთქებადი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა მის ჩვეულ ცხოვრების წესს არღვევენ. მთიან რეგიონში, სამრეწველო რაიონებისგან მოშორებით, გლეხები ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან და ძალიან რელიგიურები არიან. მაგრამ ეს არ უშლით ხელს, ეწეოდნენ არც თუ კანონიერ. მაგრამ შემოსავლიან საქმიანობას – კონტრაბანდას.

ბასკები, ესპანელების მსგავსად, ძალიან მხიარულები არიან, მაგრამ ინარჩუნებენ ცხოვრების პატრიარქალურ ყოფას. ისინი ძალიან უფრთხილდებიან საკუთარ ტრადიციებს.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com